ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

გამოცემის 75-ე წელიწადი

№ 009 (12688) 15 იანვარი ხუთშაბათი 2009 ფასი 50 თეთრი



# ოპერაცია?

## კალაძემ შეიძლება სეზონის ბოლომდე ვერ ითამაშოს



ინტერვიუ

>> 2



ქართველი NBA-ში

>> 12

## ზაზას ორმაგი დუბლი შაქთან ქიდილში



ქართველი ევროთასზე

## შენგელიას დებიუტი ვალენსიაში

საქართველოს ნაკრების 17 წლის ფორვარდ **თორნიკე შენგელიას** ვალენსიაში დებიუტი ჰქონდა. მან ევროთასზე ბოლონიის „ფორტიტუდოს" წინააღმდეგ 8 წუთი ითამაშა და პირენეული გაზეთების მტკიცებით, ნამდვილად არ ეტყობოდა, რომ ახალბედა დებიუტანტი იყო. თორნიკემ 2-დან 1 ორქულიანი, 2-დან 2 საჯარიმო ჩააგდო და 4 ქულას 2 მოხსნა და ერთიც შედეგიანი გადაცემა დაუმატა.

შენგელიას „პამესამ" „ფორტიტუდოს" ბოლო წუთებზე 80:74 აჯობა და ევროთასის პირველი ჯგუფური ეტაპი პირველ ადგილზე დაასრულა (6 მატჩი, 6 მოგება). გამარჯვებაში თავისი წვლილი შეიტანა ვალენსიელთა ლიდერმა **შემონდ უილიამსმა** (11 ქულა, 4 პასი), რომელსაც ქართული პასპორტი აქვს და სამი წლის წინ ჩვენი ეროვნული გუნდის ღირსებას იცავდა.

მომდევნო ჯგუფურ ეტაპზე „პამესა" უკრაინის „აზოვმაშის", სერბეთის „ცრვენა ზვეზდისა" და ასევე სერბული „ჰემოფარმის" წინააღმდეგობის დაძლევას შეეცდება. ახალგაზრდა ქართველ დებიუტანტზე მატჩის შემდგომ გამოხმაურებას ხვალინდელ ნომერში შემოგთავაზებთ.

ვაჟა სიმონიშვილი



## დაფნის გვირგვინი ცოლის დაკვეთით

სომეხმა გულშემატკივრებმა მატჩის საზეიმო დახურვისას მანქანის გასაღები აჩუქეს, ქართველებმა კი სომეხი კლასიკოსის მარტიროს სარიანის სურათი, რომელიც დღეს ნებისმიერ მერსედესზე ძვირი ღირს...

ეპიზოდები ჩემპიონის ცხოვრებიდან

>> 13

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ — კახა კალაძე

# მეტის მოთმენა აღარ შემეძლო, სეზონის ბოლომდე ვერ ვითამაშებ...



კახა კალაძე

საქართველოს ნაკრების კაპიტანი და „მილანის“ მცველი კახა კალაძე, შესაძლოა, რამდენიმე თვით უქმად დარჩეს. ამ მხრივ, ყველაფერი 19 იანვარს გაირკვევა. შეგახსენებთ, სერიას A-ს ბოლო ტურში „მილანი“ „რომას“ ესტუმრა (2:2) და ქართველს იმ შეხვედრაში არ უთამაშია, სათადარიგოთა შორის იყო. ერთმა იტალიურმა წყარომ კარლო ანჩელოტის სიტყვები მოიყვანა - კალაძემ „ტექნიკური მიზეზების“ გამო ვერ ითამაშაო, მეორე წყაროს კი უფრო დაეჯერებოდა - კახას ძველმა ტრავმამ შეახსენა თავიო...

ცხადია, დავინტერესდით, რა იყო „რომასთან“ კალაძის უთამაშებლობის ზუსტი მიზეზი და ეროვნული გუნდის კაპიტანს, როგორც იქნა, მილანში დავუკავშირდით...

- „რომასთან“ სათადარიგო რომ ვიყავი, ამის მიზეზი ძველი ტრავმაა. ორშაბათს ბელგიაში მივფრინავ, იქაურ პროფესორს უნდა გავესინჯო და მერე მეცოდინება ზუსტად, რა და როგორ იქნება.

**- მაინც როგორია ვარაუდი? რა სიმძიმის ტრავმა უნდა იყოს? რაკი იტალიიდან სხვა ქვეყანაში მიდიხართ, ალბათ, ტრავმა არცთუ მსუბუქია...**

- ეტყობა, ოპერაციის გაკეთება მომიწევს, სავარაუდოდ, იანვრის ბოლოს...

**- რომელ „ძველ ტრავმას“ გულისხმობთ?**

- მარჯვენა ფეხზე გარე მენისკი ჯერ კიდევ მაშინ დამიზიანდა, 17 წლის რომ ვიყავი.

**- მენისკი სერიოზულ ტრავმად არ ითვლება და, ალბათ, მალე გამოჯანმრთელდებით...**

- ვნახოთ, ზუსტ პასუხს ბელგიაში მეტყვიან... თუმცა, ჩემი ვარაუდით, თუ ოპერაცია გავიკეთე, სეზონის ბოლომდე ვერ ვითამაშებ.

**- გამოდის, რომ ეროვნულ ნაკრებს ვერც ირლანდიასთან უახლოეს შეხვედრაში დაეხმარებით და ვერც მომდევნო მატჩებში?**

- თუ ოპერაცია გავიკეთე, სამწუხაროდ ასე იქნება. ისეთ მდგომარეობაში ვარ, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია, ტკივილი შარშანაც მაწუხებდა და მას მერე, არა და არ გამიარა. ნემსებსაც ვიკეთებდი, მაგრამ... მოკლედ, ასე გაგრძელება აღარ შეიძლება.

**- თუ საოპერაციო გახდით, ბელგიაში დარჩებით?**

- ოპერაციას, თუ დამჭირდა, ბელგიაში გავიკეთებ. მენისკის მორჩენას მაქსიმუმ ერთი თვე კი უნდა, მაგრამ ალბათ სხვა რამეც არის ჩათრეული. მოკლედ, ვნახოთ, რას მეტყვიან ბელგიაში.

**- „რომასთან“ მატჩს დავუბრუნდეთ. „მილანს“ ორივე გოლი მირკო ვუჩინიჩმა გაუტანა. ის ჩერნოგორიის ნაკრების თავდამსხმელიცაა, ჩერნოგორია კი ამ შესარჩევში ჩვენი ნაკრების მეტოქეა. რას იტყოდით ამ ფორვარდზე?**

- ვერ ვიტყვი, რომ ვუჩინიჩი დიდი ვარსკვლავია, თუმცა მართლაც ნიჭიერი თავდამსხმელია და „მილანთანაც“ ძალიან ძლიერად ითამაშა. რაც შეეხება ჩერნოგორიის ნაკრებს, შეკრული გუნდია და მასთან თამაში ძნელი იქნება.

**- „მილანიდან“ ორივე გოლი პატომ გაიტანა. ამ დროისთვის ის ითვლება „მილანის“ საუკეთესო თავდამსხმელად?**

- ძნელია ამაზე გადაჭრით რაიმეს თქმა, თუმცა პატოს „მილანისთვის“ მართლაც ძალიან მნიშვნელოვანი გოლები გააქვს. მისი მთავარი ნაკლი არასტაბილურობაა. ის ჯერ 19 წლისაა, თორემ, დიდი ტალანტის პატრონია და მშვენიერი მომავალიც აქვს.

**დავით თავართქილაძე**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# აიაქსი ძალაშია, მაგრამ...

## რუსეთის საფეხბურთო კავშირი თავისას არ იშლის: გრიგალავა იქაური ახალგაზრდულისთვის უნდათ

**გია გრიგალავა** თითქოს ახლოსაა მიზანთან - 19 წლის ქართველი მარცხენა მცველის მიმართ „აიაქსი“ კეთილგანწყობილია. ერთკვირიანი პაუზაც, როგორც გვითხრეს, მის რუსულ კლუბ როსტოვის სკა-სთან მოსალაპარაკებლად დასჭირდათ. მანამდე კი ფეხბურთელი ერიდება საუბარს იმაზე, შესთავაზებს თუ არა ჰოლანდიური გრანდი კონტრაქტს. გუშინ გიას სწორედ ამსტერდამში დავუკავშირდით. 19 წლის ფეხბურთელმა ლაკონურად და ტაქტიანად გვიპასუხა.

*„კარგად გამიგეთ, კლუბში ყველა სახის ინტერვიუს მიცემა ამიკრძალეს. თუ რამდენწლიან კონტრაქტს მთავაზობენ, ამაზე ჯერ ვერ ვისაუბრებ. მალე ყველაფერი გაირკვევა და აუცილებლად შეიტყობთ. ინტერვიუზე უარი არასოდეს მითქვამს და არც ახლა ვაპირებდი, მაგრამ... რაც მითხრეს, იმას ვერ გადავუხვევ“,* - გვითხრა გია გრიგალავამ.

ჩვენამდე კი მოდის ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ გრიგალავას რუსეთის ახალგაზრდულ ნაკრებში მისაწვევად ამ ქვეყნის საფეხბურთო კავშირის ხელმძღვანელობა და ნაკრების მწვრთნელებიც გამალებით მუშაობენ. ძნელი სათქმელია, ამით არის თუ არა გამოწვეული გრიგალავას დუმილი, მაგრამ რუსული წყაროები სწორედ იმას გვიმტკიცებენ, რომ რუსეთის ნაკრებში გრიგალავას თამაში საფეხბურთო კავშირისთვის პრინციპულ და პოლიტიკური მნიშვნელობის საკითხადაც კი გადაიქცა. გრიგალავა 11 წლიდან რუსეთში, კერძოდ როსტოვში იზრდებოდა და თუ საქართველოს ნაკრებში მოხვდა, რუსეთის საფეხბურთო კავშირს ეს დიდ ფიასკოდ ჩაეთვლება და ეგებ, „ზემოდან“ სერიოზულადაც გაბრაზდნენ...

**მერაბ მამულაშვილი**

## გრიგალავას საათი

**გია გრიგალავამ** „აიაქსის“ კიდევ ერთ სპარინგმატჩში მიიღო მონაწილეობა. შეგახსენებთ, რომ ქართველს ჰოლანდიური კლუბის ხელმძღვანელობამ კიდევ ერთი კვირით გაუგრძელა სინჯების ვადა. როსტოვის სკა-ს მცველი ახალგაზრდულ „აიაქსთან“ ერთად ვარჯიშობს. გუნდმა 5:3 დაამარცხა „ლისე“. გრიგალავა სასტარტო შემადგენლობაში იყო, ის მე-60 წუთზე, **სუპუსესამ** შეცვალა. ორშაბათს „აიაქსის“ ახალგაზრდული გუნდი ფეიენოორდელ თანატოლებს ეთამაშება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ლეგიონი


გიორგი ციმაკურიძე

# ციმაკურიძე უკრაინელი ხდება

## გურულის საგოლე პასი

როგორც უკრაინული სააგენტო „ტერიკონი“ იუწყება, **გიორგი ციმაკურიძე** რჩება ლუგანსკის „ზარიაში“, სადაც სინჯებზე კიდევ ერთი ქართველი ფეხბურთელი, **დავით ლომაია** იმყოფება. „ზარიის“ მთავარმა მწვრთნელმა **ანატოლი ვოლობუევმა** „ტერიკონს“ ასეთი რამ განუცხადა:

*„ალალად გეტყვით, რომ ალბათ ვიჩქარე, როცა ციმაკურიძე ტრანსფერზე დავაყენე. ახლა გადაწყვეტილება შევცვალე, თანაც, გიორგი თითქმის მზადაა, მიიღოს უკრაინის მოქალაქეობა. ასე რომ, ის 99 პროცენტით გუნდში რჩება“.*

ახლა, უკრაინაში მყოფ სხვა ქართველებზე: თურქულ შეკრებაზე მყოფი ლვოვის „კარპატი“ ამხანაგურ მატჩში გროზნოს „ტერეკს“ გაეჯიბრა. უკრაინულმა გუნდმა რუსულ პრემიერლიგაში მე-10 ადგილზე გასულ ჩრდილოკავკასიელებს 2:1 მოუგო. **სანდრო გურული**, „კარპატის“ ერთადერთი ქართველი ლეგიონერი, სასტარტო შემადგენლობაში იყო. ანგარიში 29-ე წუთზე **კოპოლოვეცმა** გახსნა - ქართველმა ის მეკარესთან პირისპირ დატოვა, დანარჩენი კი უკვე ტექნიკის საქმე იყო. მალე ლვოველებმა მეორე გოლიც გაიტანეს. შესვენების შემდეგ „კარპატის“ შემადგენლობა მთლიანად შეიცვალა...

გაერთიანებულ საემიროებში შეკრებაზე მყოფი ხარკოვის „მეტალისტი“ ტაშკენტის „პახტაკორთან“ 0:1 დამარცხდა. უკრაინული გუნდის შემადგენლობაში **ლაშა ჯაკობია** არ გამოჩენილა.

16 იანვრიდან კიევში იწყება ოლეგ მაკაროვის სახელობის თასის გათამაშება. ამ შეჯიბრებაში კიევის „დინამო“ ორი გუნდით (დუბლებით და „დინამო 2“) გამოვა. შეგახსენებათ, რომ „დინამო 2-ში“ **დავით იმედაშვილი** ირიცხება.

# რომ არა კობიაშვილი...

ვალენსიაში ქართველთა „შალკემ“ სპარინგმატჩი გამართა. გერმანული გუნდი **შოთა არველაძის** ყოფილ კლუბ „ლევანტეს“ დაუზავდა - 0:0. შეხვედრას დაახლოებით 500 მაყურებელი დაესწრო. **ლევან კობიაშვილმა** სასტარტო შემადგენლობაში, დაცვის მარცხენა ფლანგზე ითამაშა. 41-ე წუთზე მან „შალკე“ აშკარა გოლს გადაარჩინა, როცა ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა. კობიაშვილმა სრულად ითამაშა, 18 წლის **ლევან ყენია** კი მოედანზე მხოლოდ 83-ე წუთზე, **ჰაიკო ვესტერმანის** ნაცვლად გავიდა. **ფრედ რუტენი** თავისი გუნდის თამაშით კმაყოფილი დარჩა...


ლევან კობიაშვილი შალკეს ვარჯიშზე

# ტაიმები გაინაწილეს

გუშინ თურქულ შეკრებაზე რუსეთის ჩემპიონმა „რუბინმა“ გერმანულ „ნიურნბერგთან“ 1:3 წააგო. ყაზანურმა კლუბმა ტაიმები განსხვავებული შემადგენლობით ითამაშა. პირველ ნახევარში მოედანზე **დავით კვირკველია** იყო, მეორეში **ლაშა სალუქვაძე, ნუკრი რევიშვილს** კი, ტრადიციისამებრ, არ უთამაშია.

„ფრაიბურგი“ კი სპარინგმატჩში „ჰერტას“ დაუზავდა - 1:1. ქართველი ნახევარმცველი **დავით თარგამაძე** 71-ე წუთიდან ჩაერთო თამაშში.

# ქართული გამარჯვება

ანთალიაში შეკრებას გადის მახაჩყალის „ანჟი“, რომელიც უცხოეთში ყველაზე „ქართული გუნდია“. დაღესტნელებმა ყაზახეთის ჩემპიონი „აკტიობე“ 2:1 დაამარცხეს. ორივე გოლი ჩვენებურთა ანგარიშზეა, პირველ ტაიმში თავი **ზურაბ არზიანმა** და გუნდის ახალწვეულმა **კახა ალადაშვილმა** გამოიჩინეს. მათ გარდა, შეხვედრის დაწყებიდან შესვენებამდე **გიორგი ნავალოვსკიმ, ოთარ მარცვალაძემ** და **სანდრო იაშვილმა** ითამაშეს. მეორე ტაიმში მოედანზე **გოჩა ხოჯავა** და **ედიკ საჯაია** გამოჩნდნენ, **რევაზ ჯიქიას** კი საერთოდ არ უთამაშია.

მოამზადა
**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ფიფას რეიტინგი

# უძრაობა ფეხბურთის არიერგარდში

გუშინ ფიფამ იანვრის თვის რეიტინგი გამოაქვეყნა. **ექტორ კუპერი** ძალიან კარგი სპეციალისტია, მაგრამ, ვაგლახ, მისი გუნდი საფეხბურთო არიერგარდშია და არც იქიდან „ამოყვინთვის“ გზები ჩანს. ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ამ თვეში პოზიცია არ შეუცვლია (რადგან ძალიან ცოტა სანაკრებო მატჩი გაიმართა მსოფლიოში) - 328 ქულით ისევ 108-ე პოზიციაზეა. მეზობლებიც იგივენი გვყავს - კაბო ვერდე 4 ქულით გვისწრებს, გვატემალა კი სამით ჩამოგვრჩება. შესაშური სამეზობლოა ვერაფერს ვიტყვით. სხვათა შორის, გვისწრებენ ისეთი „საფეხბურთო“ ქვეყნები, როგორებიც არიან ტანზანია, ეთიოპია, მალავი, ფიჯი... სიას აღარ გავაგრძელებთ, თქვენს ნერვებს გავუფრთხილდებით. ევროპელთა შორის საქართველოს ნაკრები 42-ე პოზიციაზეა, მოლდოვასა და სომხეთს შორის.

შევეშვათ არიერგარდს - სიას სათავეში ევროპის ჩემპიონი ესპანეთი უდგას, 1663 ქულით, მეორე გერმანიაა (1389), მესამე - ჰოლანდია (1338). პირველ ათეულში ცვლილება საერთოდ არ მომხდარა. გაგაცნობთ ჩვენი ჯგუფის სხვა მონაწილეთა მდგომარეობას: 4. **იტალია** - 1326 ქულა; 28 (-1). **ბულგარეთი** - 782; 37 (1). **ირლანდია** - 711; 94. **კვიპროსი** - 376; 113 (-1). **ჩერნოგორია** - 310.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**
მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**
1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 1964-76), **ერემო მახათაძე** (1952-53), **ირაკლი უგულავა** (1953-64), **ანზორ ბასილაია** (1976-83), **არჩილ გოგელია** (1984-85), **თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან).
*თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge*
მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: 42 32 73, 899 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 32 38 08 63; ელფოსტა: leloltd@gmail.com; ინდექსი 66435 INDEX. რეკლამა: 37 78 07
დამფუძნებელი და გამომცემელი
**შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

თემურ ლონლაძე



# ძველებურად აღარ ვნერვიულობ

## ოლიმპის წარმატების უცნობი მიზეზი: თმები შევიჭერი და გვეშველაო...

რუსთავის „ოლიმპს“ მეშვიდე ტურის შემდეგ ზედიზედ 12 შეხვედრა არ წაუგია. არეულ-დარეულ გუნდში შეიცვალა მწვრთნელი და ჩემპიონატის დაწყებამდე ოქროს მედლების პრეტენდენტად შერაცხული გუნდი ისევ ფავორიტებში გაერია. ჩვენ კი ვიცოდით, რომ ამ ყველაფრის მიზეზი იყო მთავარი მწვრთნელი ვარლამ კილასონია, რომელმაც გუნდში ვითარება დაალაგება და ატმოსფერო შეცვალა, მაგრამ, თურმე, ვცდებოდით - რუსთავის „ოლიმპში“ აღიარებენ, რომ ყველაფერი იმ მშვენიერ დღეს შეიცვალა, როცა გუნდის მარჯვენა ნახევარმცველი, თმახუჭუჭა თემურ ლონლაძე ვარჯიშზე თავგადახოტრილი გამოჩნდა. გუნდში ხუმრობენ კიდეც - სწორედ ამის შემდეგ გავიხსენეთ მოგების გემოო.

ლონლაძე 23 წლისა. ის „ოლიმპში“ „მესხეთიდან“ 2008 წელს გადაიყვანეს, მანამდე „ვიტ ჯორჯიას“ ეკუთვნოდა, მაგრამ გუნდიდან წასვლა დაიჟინა და გათავისუფლების ფურცელიც მოიპოვა...

თემური მხიარული და იუმორის გრძნობით დაჯილდოებული ადამიანი და ინტერვიუც ხალისიანად დაიწყო...

- დიახ, მე ვარ ყველაფრის თავი და თავი. მას შემდეგ, რაც დალაქთან მივედი, გუნდსაც ეშველა და მეც, ჩემპიონატში პირველად მოვიგეთ და საქმეებიც კარგად წავიდა. მანამდე კი, ვინც მიცნობს, ყველამ იცის, უზარმაზარი თმებით დავდიოდი და საშინელი უიღბლობის სერია რომ წავიდა, რატომღაც გადავწყვიტე, რომ თავი გადამეხოტრა. ეს იყო ცხინვალის „სპარტაკთან“ მატჩამდე და მას შემდეგ თავზე თმებს არ ვიჩერებ. ხომ იცით, ეშმაკს არ სძინავს და სად მაქვს ასატკიებელი თავი? ხუმრობა იქით იყო და, იმ არეულ პერიოდში „ოლიმპს“ ჩემი დალაქი და გადახოტრილი თავი ვერ უშველიდა. რეალურად, გუნდმა მოახერხა წარუმატებლობის დაძლევა. ალბათ, ყველა გუნდს აქვს ჩავარდნა - ზოგს სეზონის დასაწყისში, ზოგს ბოლოში. მაგალითად, „ლოკომოტივმა“ ისე დაიწყო ჩემპიონატი, ვერავინ იფიქრებდა, რომ ვინმე დაეწეოდა. თუმცა ჩავარდნას მაინც ვერ ასცდა. ჩვენ და „დინამომ“ გვიან ავკრიფეთ ტემპი.

- მაინც რატომ გაგიჭირდათ მოგება?

- ალბათ, იმიტომ, რომ გუნდი შეუთამაშებელი იყო. ბევრი ახალი მოთამაშე მოვიდა. ფაქტობრივად, გუნდი თავიდან ჩამოყალიბდა და ეგრევე ლიდერები ვერ გავხდებოდით. თუმცა გავიდა დრო და ისე ავთამაშდით, სიმართლე გითხრათ, ჩემპიონატში პაუზა რომ დადგა, არ მესიამოვნა. საშუალება რომ ყოფილიყო, ასეთი გუნდით 1 იანვარსაც სიამოვნებით ვითამაშებდით. ისე წაგვივიდა თამაში, ყველას ყველაფერი გამოსდიოდა, ძირითადის მოთამაშეებსაც და შემცვლელებსაც. ასეთ გუნდში თამაში სასიამოვნოა.

**- სხვათა შორის, „მესხეთში“ გაცილებით აგრესიული იყავი, შეტევებშიც ხშირად ერთვებოდი, „ოლიმპში“ კი თავიდან შებოჭილი ჩანდი...**

- შებოჭილი კი არა, ტრავმირებული ვიყავი. სეზონის დაწყებამდე მოსამზადებელი ეტაპი არც გამივლია. კისერი მტკიოდა, ტრავმირებულს კი შეკრებაზე ვინ წამიყვანდა? ამის გამოც მიჭირდა თამაში და გუნდის ცუდი სტარტის გამოც. როცა საერთო ჩავარდნაა, ცალკეული მოთამაშე კარგად ვერ გამოჩნდება. ბოლოს კი, ხომ გითხარით, მარტო მე არა, მთელი „ოლიმპი“ ისე ათამაშდა, ჩვენი გამჩერებელი გუნდი არ იყო. ალბათ, ამან მეც გამხსნა და ვგრძნობ, ახლა უფრო თავისუფლად ვარ, ძველებურად აღარ ვნერვიულობ.

**- როგორც შენმა მოგვარემ, მამუკა ლონლაძემ აღიარა, იყო შანსი, ერთად გეთამაშათ...**

- ერთმანეთს ახლოს არ ვიცნობთ, მაგრამ მართლა კარგი მოთამაშეა და „ოლიმპში“ მისი გადმოსვლა ძალიან გამიხარდებოდა. რაც მეტი ლონლაძე ვიქნებით ერთად, მით უკეთესი. თუმცა არ ვიცი, რამდენად რეალურია ეს.

**- დანამდვილებით ვიცით, რომ შენით აზერბაიჯანისა და საქართველოს ლიდერი კლუბები დაინტერესდნენ...**

- არ მსურს ლაპარაკი იმაზე, რაც ჯერ გადაწყვეტილი არ არის. ვიცი, მითხრეს, რომ რამდენიმე კლუბი მართლაც დაინტერესდა, მაგრამ ახლა ვარ „ოლიმპის“ მოთამაშე და კლუბის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს, დავრჩები თუ არა კლუბში. თუკი კონტრაქტს გავაფორმებ, ამ თემაზე მერე ვილაპარაკოთ. სანამ 100-პროცენტიანი ვარიანტი არ იქნება, მანამდე ტრანსფერზე ლაპარაკი უხერხულია. თუმცა არ დავმალავ, რომ რამდენიმე ძლიერი კლუბი ნამდვილად დაინტერესდა.

მერაბ მამულაშვილი

# ქართული მიდი-მოდი

| გუნდი | წავიდნენ | მოვიდნენ | შეკრება |
|---|---|---|---|
| ვიტ ჯორჯია<br>რამაზ მუმლაძე | დ. ლომაია (ზარია, უკრაინა) | მგელაძე (გაგრა) | 8 იანვრიდან - თბილისში<br>18 იანვრიდან - ანთალიაში |
| დინამო<br>რაინერ ცობელი | **ოდიკაძე (დიორი, უნგრეთი)**, შ. კაშია (?) ელიავა (არენდა დაუმთავრდა) | **კოშკაძე (სიონი), ლომია (მგლები),** შ. გრიგალაშვილი (მესხეთი, არენდა დაუმთავრდა), ქავთარაძე (ბორჯომი, არენდა დაუმთავრდა), მეგოტი (კამერუნი), სალიჰოვიჩი (სერბეთი), ტოპიჩი (ჩერნოგორია) | 10 იანვრიდან - თბილისში<br>23 იანვრიდან - ანთალიაში |
| ოლიმპი<br>ვარლამ კილასონია | გ. ონიანი (?), მერლანი (გაბალა, აზერბაიჯანი), მიკუჩაძე (?), კ. ალადაშვილი (სიონი) | შეყრილაძე (ბორჯომი), თედიაშვილი (მესხეთი), სარალიძე (ლოკომოტივი), რეხვიაშვილი (მგლები, არენდა დაუმთავრდა), ხუბუა (სიონი, არენდა დაუმთავრდა), მიქაბერიძე (მგლები, არენდა დაუმთავრდა) | 10 იანვრიდან - რუსთავში<br>23 იანვრიდან - ანთალიაში |
| ზესტაფონი<br>გია გეგუჩაძე | რ. ონიანი (მგლები), ლომაშვილი (?), ბოიომო (?), **ბ. გოცირიძე (დნიპრო, უკრაინა)** | ლ. მელქაძე (უგუნდოდ), მამალაძე (მგლები), კაჭკაჭიშვილი (დინამო 2), მ. კაკალაძე (სამტრედია), წინამძღვრიშვილი, ელბაქიძე (ორივე - ამერი), ტეტუნაშვილი (გაგრა) | 5 იანვრიდან - ზესტაფონში<br>18 იანვრიდან - თურქეთში |
| სიონი<br>ოთარ კორღალიძე | ს. იაშვილი (არენდა დაუმთავრდა, ანჟი, რუსეთი), **კოშკაძე (დინამო)**, ჩივაძე, ქურასბედიანი, ოქროპირიძე, შ. ჯიქია (ყველა სპარტაკი), ბ. ნოზაძე (მგლები), დიდავა (?), ქვაჩახია (?), შავგულიძე (?), ხუბუა (არენდა დაუმთავრდა, ოლიმპი) | ი. ვაშაკიძე (მარტვილი), ლ. ვაშაკიძე (ბორჯომი), ხიდეშელი, შალამბერიძე, თარხნიშვილი (სამივე სპარტაკი), ჯ. მუჯირი (ირანი), კ. ალადაშვილი (ოლიმპი), კაპანაძე (გერმანია) | 5 იანვრიდან - თბილისში |
| ლოკომოტივი<br>გიორგი კიკნაძე, ზაზა ზამთარაძე | გ. ლომაია (ალტახი, ავსტრია), სარალიძე (ოლიმპი) | ქუცურუა (მგლები, არენდა დაუმთავრდა) | 11 იანვრიდან - თბილისში |
| მგლები<br>ბესიკ შეროზია | **ლომია (დინამო)**, მამალაძე (ზესტაფონი), ქუცურუა (ლოკომოტივი, არენდა დაუმთავრდა), დარსანია (?), გრიგოროვიჩი (?), რეხვიაშვილი, მიქაბერიძე (ოლიმპი, არენდა დაუსრულდათ) | რ. ონიანი (ზესტაფონი), ბ. ნოზაძე (სიონი) | 8 იანვრიდან - ზუგდიდში<br>15 იანვრიდან - ჩაქვში |
| მესხეთი<br>კობა თედიაშვილი | გ. კვახაძე (სპარტაკი), სომხიშვილი (?), თედიაშვილი (ოლიმპი), გრიგალაშვილი (დინამო, არენდა დაუმთავრდა) | | |
| გაგრა<br>ვლადიმერ ხაჩიძე | **მგელაძე (ვიტ ჯორჯია)**, მეტრეველი (სპარტაკი), ტეტუნაშვილი (ზესტაფონი) | ბ. ცხადაძე (სტანდარდი, აზერბაიჯანი), როსტობაია, ეძგვერაძე (ორივე 35-ე საფეხბურთო სკოლა), სართანია | 9 იანვრიდან - ზესტაფონში<br>15 იანვრიდან - ანთალიაში |
| ბორჯომი<br>გიორგი სუხიაშვილი | ქარქუზაშვილი, ავალიანი (ორივე სპარტაკი), შეყრილაძე (ოლიმპი), ქავთარაძე (დინამო, არენდა დაუმთავრდა), კიკნაძე (?), **ლაცაბიძე (კარიერა დაასრულა)** | | |
| სპარტაკი<br>სერგო გაბელაია | ხიდეშელი, თარხნიშვილი, შალამბერიძე (სამივე სიონი), მ. ლონლაძე (?), თექთურმანიძე (?) | ჩივაძე, შ. ჯიქია, ოქროპირიძე, ქურასბედიანი (ოთხივე სიონი), მეტრეველი (გაგრა), გ. თურმანიძე (სამტრედია), ქარქუზაშვილი, ავალიანი (ორივე ბორჯომი), გ. კვახაძე (მესხეთი), მგალობლიშვილი (ჩიხურა) | 20 იანვრიდან - ქობულეთში |

შენიშვნა: მუქი შრიფტით აღნიშნულია გადაწყვეტილი ტრანსფერები

მივიწყებული სახელები

## კახა სიდამონიძე

# ჯერ მომენატრებოდა ფეხბურთი, მერე კი გული მიცრუვდებოდა...



ფეხბურთი ულმობელია. ის იმ მატარებელს ჰგავს, რომელიც მგზავრებს წამითაც არ ელოდება. ის შანსს იძლევა, მაგრამ ვინც ვერ გამოიყენებს, იოლად ელევა. კახა სიდამონიძეს ჰქონდა შანსი, ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი ქართველი ფეხბურთეული გამხდარიყო, მაგრამ... მიზეზთა გამო, დიდი ტალანტი ვერ გამოიყენა.

90-იან წლებში კახა ძალზე პერსპექტიულ მოთამაშედ ითვლებოდა. 20 წლის ბიჭი უმაღლეს ლიგაში გამოჩნდა და თბილისის „მრეტებში" ისეთი აზრიანი ფეხბურთი ითამაშა, ეროვნულ ნაკრებში ცენტრალური მცველის პოზიციაზეც კი დამკვიდრდა. 1993 წელს კი ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი შიდა ტრანსფერის გმირი გახდა - „მრეტი" „სამტრედიის" პრეზიდენტმა ტარიელ ჩაჩუამ გადაიყვანა და საკონტრაქტო თანხასთან ერთად, „მერსედესიც" აჩუქა. ეს დღეს ალარ გვიკვირს, თორემ მაშინ სიდამონიძისთვის ნაჩუქარ ავტომობილზე ლამის მთავრობის სხდომის დროსაც ლაპარაკობდნენ.

სამწუხაროდ, ისევე, როგორც იმ თაობის უმრავლესობამ, კახა სიდამონიძემაც საკუთარი შესაძლებლობა ვერ გამოავლინა. მისგან ძლიერ ევროპულ ლიგაში გადასვლას ელოდნენ...

**- კახა, თქვენი თაობიდან უმრავლესობა ვერ გაიხსნა. არ გაგიმართლათ, თუ თავად ვერ გაამართლეთ?**

- ძნელი სათქმელია, რა დაგვემართა. რთული პერიოდიც იყო - ომიანობა, გაჭირვება, ქვეყანა ლამის ორად იყო გაყოფილი... ზოგიერთს გაუმართლა, ზოგმა კი ცხოვრების ისეთი რეჟიმი აირჩია, კარიერაში ველარაფერს მიაღწია. არადა, ჩემი აზრით, მაშინდელ საქართველოში ეს იყო ყველაზე ნიჭიერი თაობა, დიდი ფეხბურთის თამაში ძალიან ბევრს შეეძლო. მაგალითად, ბავშვობაში, სკა-ში, ჩემთან ერთად ვარჯიშობდნენ მელიცკაური და კუხიანიძე, რომელთაც საქართველოში კი არა, ნებისმიერ დონეზე შეეძლოთ თავისი სიტყვის თქმა. მათ ვთხოვდი კიდეც, რომ „მრეტებში" წამოსულიყვნენ, მაგრამ არ ისურვეს. ღმერთმა უწყის, რამდენი ნიჭიერი ბიჭი დავკარგეთ ასე. ომმა და გაჭირვებამ ბევრს ხალისი წაართვა, ბევრსაც - ფეხბურთზე სიარულის სურვილი.

**- ანუ, მთავარი მიზეზი მაინც ცუდი დრო იყო და არა - ნეგატიური გარემო და სიზარმაცე?**

- სიზარმაცეც იყო, მაგრამ ზოგს ვარჯიშზე სიარულის ფული არ ჰქონდა და ფეხბურთისკენ გული აღარ მიუწევდა. არადა, მე ვთამაშობდი 1971 წელს დაბადებულთა სკა-ში, რომელიც იმავე ასაკის „დინამოს" კონკურენტი იყო. რეზო გაგუას გუნდიდან ბევრმა (ნემსაძე, ნინიადისი, გუჯაბიძე, დევაძე, ყიზილაშვილი, ბერიშვილი) ნაკრებში ითამაშა, ჩვენგან კი ეროვნულ გუნდში მხოლოდ მე მოვხვდი. ფეხბურთში ჩემი თანაგუნდელებიც რომ დარჩენილიყვნენ, გაცილებით მაღალი დონის ნაკრები და გუნდები გვეყოლებოდა.

**- როგორც მახსოვს, 1993 წელს დაგჭრეს და რეალურად სწორედ მაშინ შეფერხდა თქვენი კარიერა...**

- მთლად ასეც არ იყო. მას შემდეგ გერმანიაში წავედი, მაგრამ ჩემი ხასიათიდან გამომდინარე, იქ ვერ გავძელი. თბილისისადმი ნოსტალგია მტანჯავდა და ვერ ვჩერდებოდი. 1994 წელს ერთ-ერთ გერმანულ გუნდში გამსინჯეს. დაჭრის შემდეგ, იმ დროს უვარჯიშებელმა მოედანზე დაბრუნება ვცადე. დაიწყო გუნდის შეკრება, ჩავატარეთ საკონტროლო შეხვედრები და ველარ ვძლებდი, წამოსვლა მინდოდა. არადა, საკითხი გადაწყვეტილი იყო, ერთწლიანი კონტრაქტი გამიფორმეს, მაგრამ ხომ გითხარით, ვერ გავჩერდი და თბილისში გამოვიქეცი. მაშინ იოლად წარმომედგინა ცხოვრება, მეგონა, სულ ასარჩევად მექნებოდა საქმე.

**- მართალია, რომ ფეხბურთს უამრავჯერ დაანებეთ თავი?**

- კი, სულ ასე იყო - ვიწყებდი და უცებ მბეზრდებოდა. ახალგაზრდა ვიყავი, ჯერ მომენატრებოდა ფეხბურთი, მერე კი უცებ გული მიცრუვდებოდა... მეცხრე კლასში ჰეპატიტი დამემართა და შვიდი თვე დავისვენე. სკოლის შემდეგ, ოლიმპიური მომზადების ცენტრში დავდიოდი და კიდევ ერთხელ შევეშვი ფეხბურთს. მერე „შევარდენზე" დავიწყე ვარჯიში, ჯარის პერიოდში კი სკა-ში. სწორედ ამ დროს იყო - „მრეტებს" შევხვდით და მათ პრეზიდენტ ვაჟა ჩხაიძეს მოვეწონე. ძლიერი გუნდი იყო, ლამაზ ფეხბურთს თამაშობდა... „მრეტებში" თამაში ჯარში სამსახურად მეთვლებოდა და უარს რატომ ვიტყოდი?

**- თქვენ იყავით პირველი ქართველი ფეხბურთელი, რომელსაც „მერსედესი" აჩუქეს. კარგად მახსოვს, „სამტრედიის" პრეზიდენტ ტარიელ ჩაჩუას მაშინდელმა საქციელმა რამხელა რეზონანსი გამოიწვია...**

- ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი სიხარული იქნებოდა 22 წლის ბიჭისთვის „მერსედესის" ჩუქება? ნამდვილად არ ვაჭარბებ. დღევანდელი საზომით რომ ავილოთ, იგივეა, საქართველოს ჩემპიონატის ფეხბურთელს „ფერარი" რომ აჩუქონ. ცხონებულმა ტარიელ ჩაჩუამ „სამტრედიაში" ისეთი პირობები შეგვიქმნა, უკეთესს ვერც ინატრებდი.

**- დღეს იმ „სამტრედიის" დონის კლუბი გეგულებათ?**

- რა თქმა უნდა, არა. დღეს რასაც ვუყურებ, არის სრული კატასტროფა. არც შეიძლება ძველთან შედარება. მე თუ მკითხავთ, თავიდან საკმაოდ მაღალი დონის პირველობა გვქონდა, მაშინ საქართველოში უამრავი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობდა. დარწმუნებული ვარ, მაშინდელი აუტსაიდერები დღევანდელი პირველობის ლიდერებზე ძლიერები იყვნენ.

**- ნაკრებზე რას იტყვით?**

- ვფიქრობ, ჩვენ გაცილებით ძლიერი ნაკრები უნდა გვყავდეს. არიან მაღალი კლასის მოთამაშეები და ასეთი გუნდი ნამდვილად არ გვეკადრება.

**მერაბ მამულაშვილი**

დინამო

# ორი პლუს ოთხი

თბილისის „დინამოს" ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, რომ თურქეთში გუნდი 24 იანვარს გაემგზავრება. მანამდე კი ორ საკონტროლო მატჩს საქართველოში გამართავს. საქართველოს ჩემპიონი 18 იანვარს ცხინვალის „სპარტაკს", სავარაუდოდ, საკუთარ ბაზაზე, დილომში უმასპინძლებს, 23 იანვარს კი ბათუმში ადგილობრივ „დინამოს" გაეჯიბრებიან. სწორედ ამის შემდეგ იწყება ანთალიური შეკრება, რომლის დროსაც საქართველოს ჩემპიონი ოთხ საკონტროლო მატჩს ჩაატარებს. აქედან, 3 მეტოქის ვინაობა უკვე ცნობილია. 28 იანვარს „დინამო" პერმის (რუსეთი) „ამკარს" შეხვდება, 30-ში ლიეპაიას (ლატვია) „მეტალურგს", 5 თებერვალს კი სიმფეროპოლის (უკრაინა) „ტავრიას". 2 თებერვალს დაგეგმილია კიდევ ერთი მატჩის ჩატარება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, „დინამო" სპარინგპარტნიორს მოგვიანებით გაარკვევს.

როგორც ხედავთ, „დინამომ" სოლიდური მეტოქეები შეარჩია. რუსეთის პრემიერლიგაში „ამკარმა" მეოთხე ადგილი დაიკავა, „მეტალურგსი" ლატვიის ვიცე-ჩემპიონია... ვფიქრობთ, არც „ტავრიასთან" მატჩი უნდა იყოს უინტერესო. ვნახოთ, მეოთხე ვინ იქნება...

**მერაბ მამულაშვილი**

ქართველები აზერბაიჯანში

ინტერვიუ გიორგი ადამიასთან



# შეიძლება, კარიერა სხვა ქვეყანაში გავაგრძელო

## ...თუმცა ის ბაქოს ანთალიაში მიჰყვება

**გიორგი ადამიას ტრანსფერი საფრთხის ქვეშაა. ფეხბურთელი ამჟამინდელ კლუბ „ნეფთჩისა" და სავარაუდო ნავსაყუდელ „ბაქოს" შორის დავაში იჩაგრება. საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ შესაძლოა, ქართველ ლეგიონერს სეზონის ბოლომდე უქმობამაც კი მოუწიოს. თუმცა თავად გიორგი ჯერ კიდევ იმედიანადაა. ოპტიმიზმის საფუძველი მართლა არსებობს, ის „ბაქოს" ანთალიაში მიჰყვება. ჩვენებურს ინტერვიუ აზერბაიჯანულმა „აზერისპორტმა" ჩამოართვა...**

**- რატომ ვერ მოხერხდა აქამდე „ბაქოსთან" კონტრაქტის გაფორმება?**

- ბაქოში ჩამოსვლის შემდეგ გუნდთან პირადი კონტრაქტის ყველა საკითხი შევათანხმე. არ მეგონა, თუ სხვა პრობლემაც შემექმნებოდა. ახლა კი კითხვის ნიშნის ქვეშ მთელი ჩემი სამომავლო კარიერაა.

**- განა არ იცოდით, რომ კლუბს, რომელსაც ეკუთვნით, აქვს უფლება თქვენ სანაცვლოდ გარკვეული თანხა მოითხოვოს?**

- მეგონა, კლუბები ერთმანეთში მოილაპარაკებდნენ, მაგრამ გაირკვა, რომ „ნეფთჩი" ძალიან ბევრს ითხოვს. ამიტომაც ჩემი ტრანსფერი ჩაშლის პირასაა.

**- „ნეფთჩის" ხელმძღვანელებთან არ გისაუბრიათ?**

- დიახ, ვიცე-პრეზიდენტ ილგარ გულუზადეს ველაპარაკე. „ნეფთჩი" ჩემ ნაცვლად გარკვეულ თანხას ითხოვს.

**- ამბობენ, ეს თანხა 180 ათასი მანათიაო...**

- მოდით, არ დავაკონკრეტებ. უბრალოდ, თამაში მსურს, გუნდს კი არ ვჭირდები, მაშინ წასვლაში მაინც დამეხმარნონ.

**- „ბაქო" ამ თანხის გადახდას არ აპირებს?**

- ახალი კლუბი მე ხელფასისა და სატრანსფერო თანხის გადახდას მპირდება. „ნეფთჩის", ალბათ, არ გადაუხდიან.

**- და რას აპირებთ ასეთ შემთხვევაში?**

- ვიმედოვნებ, რომ ჯერ კიდევ შევძლებთ პრობლემის გადაჭრას. უახლოეს დღეებში კიდევ ერთხელ შევხვდები „ნეფთჩის" ხელმძღვანელობას და ვნახოთ. იმედი მაქვს, სეზონის ბოლომდე კიდევ მოვასწრებ „ბაქოში" თამაშს.

**- თუ არა და...**

- მაქვს კარგი შემოთავაზებები, რომლებზეც დაფიქრება ღირს. შესაძლოა, კარიერა სხვა ქვეყანაშიც გავაგრძელო.

# ლეგიონერს ლეგიონერი უფრო გაუგებს

**ქართველი ლეგიონერი რევაზ გეწაძე აზერბაიჯანის ვიცე-ჩემპიონ „ოლიმპიკს" სეზონის წინ შეუერთდა. ჩვენს თანამემამულეთაგან, ის ყველაზე უკეთ გაუშინაურდა გუნდს და სადღეისოდ ბაქოური კლუბის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშედ ითვლება. ახლახან, მას ინტერვიუ აზერბაიჯანულმა „ექსტრა ტაიმმა" ჩამოართვა...**



რევაზ გეწაძე (№19)

**- როგორ ემზადებით სეზონის განახლებისთვის?**

- ყველაფერი ნორმალურადაა, გუნდთან ერთად გამალებით ვემზადები. მადლობა ღმერთს, ტრავმებიც არ მაწუხებს.

**- პირველ წრეში რომელ მატჩებში გაგიჭირდათ ყველაზე მეტად?**

- ასეთი შეხვედრა ბევრი იყო. მაგრამ „ნეფთჩისთან" დაპირისპირება ცალკე მინდა გამოვყო. ამ შეხვედრაში გავიტანე გოლი, რომელიც ჩემს აზერბაიჯანულ კარიერაში ყველაზე გადამწყვეტი იყო.

**- „ოლიმპიკში" ადაპტაცია არ გაგიჭირდათ?**

- ამას დიდი დრო არ წაუღია, მალევე შევეგუე ახალ კოლექტივს. მთავარი მწვრთნელი ასკერ აბდულაევი ყოველთვის მაძლევდა თავის გამოჩენის შანსს. ვფიქრობ, მეც გავამართლე მწვრთნელის ნდობა.

**- კლუბში ბევრს დაუმეგობრდით?**

- დიახ, ყველამ კარგად მიმილო, განსაკუთრებით, დამეხმარნენ ქართველები და საქართველოში დაბადებული აზერბაიჯანელები. ყველაზე ახლოს რომან ახალკაცთან ვარ. ყველა ლეგიონერთან ძალიან კარგი ურთიერთობა მაქვს - ლეგიონერს ლეგიონერი ყველაზე კარგად გაუგებს.

**- აზერბაიჯანში რამდენ ხანს აპირებთ დარჩენას?**

- ჯერ არ ვიცი, მაგრამ აზერბაიჯანში ყველაფერი კარგია - გუნდი, ჩემპიონატი, საცხოვრებელი პირობები... კონტრაქტი ამ წლის ბოლომდე მაქვს და ჯერ ადრეა ამაზე საუბარი.

**მოამზადა ნიკოლოზ ნეფარიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მესხეთი

# ისევ ყოფნა ან არყოფნა

## მესხეთი ხვალ გაარკვევს...

სეზონის დასაწყისში ახალციხის „მესხეთში" ისეთმა ფეხბურთელებმა მოიყარეს თავი, ვინ იფიქრებდა, თუ 2008 წელს გუნდი ჯახირით ჩაამთავრებდა, მაგრამ ფინანსურმა პრობლემებმა ასე მოიტანა - „მესხეთი" მერვე ადგილით წავიდა არდადეგებზე და ახლა საკითხავი ის არის, გააგრძელებს თუ არა გუნდი არსებობას.

ერთი სიტყვით, სეზონის განახლებისთვის „მესხეთი" არ შეკრებილა და შესაბამისად, ვარჯიშიც არ დაუწყია. გუშინ ახალციხელთა მთავარ მწვრთნელ **კობა თედიაშვილს** შევეხმიანეთ და კლუბის ავან-ჩავანი გამოვკითხეთ.

„ახალი არაფერია, გუნდი ჯერაც არ შეკრებილა. „მესხეთის" მომავალი, ალბათ, 16 იანვარს გაირკვევა, მათ შორის ისიც, კლუბი საერთოდ გააგრძელებს თუ არა არსებობას" - გვითხრა თედიაშვილმა.

დავით თავართქილაძე

ლეგიონერი



რომან გოგინაშვილი

# პუნტუსის გული ვერ მოიგეს...

## შახტიორმა რომანთან რომანი დაასრულა

2008 წლის სეზონის განმავლობაში ბრესტის „დინამოდან" სოლიგორსკის „შახტიორში" ქართველი ლეგიონერი **რომან გოგინაშვილი** გადავიდა. გოგინაშვილსა და **გია თოდუას** „დინამოს" თავკაცი აღარ წყალობდა და ისინი დუბლებში გადაიყვანა. თოდუა საქართველოს დაუბრუნდა, გოგინაშვილმა კი სხვა კლუბი მონახა. მაგრამ სეზონის მეორე ნახევარში რომანს უმთავრესად დუბლებში უწევდა თამაში. 24 წლის ფორვარდისთვის კი ეს მიუღებელი იყო. „შახტიორმა" უკვე დაიწყო ახალი სეზონისთვის მზადება, თუმცა უქართველოდ - გოგინაშვილმა გუნდი დატოვა.

ამასობაში, ბელარუსის ჩემპიონატის პრიზიორ „მტზ-რიპოს" თავკაცმა **იური პუნტუსმა** დაასახელა შემადგენლობა, რომელიც მოსკოვში დსთ-ს თასზე ითამაშებს. განაცხადში არც ერთი ჩვენებური არ არის. **გივი კვარაცხელია**, ალბათ, დატოვებს გუნდს, სიაში ვერ მოხვდნენ **ირაკლი მაისურაძე** და **არჩილ ფარტენაძე**. მაისურაძემ ორ სპარინგში ორი გოლი გაიტანა, თუმცა მაინც ვერ შეძლო პუნტუსის გულის მოგება.

ნიკოლოზ ნეფარიძე

ფეხბურთელის ბედი საქართველოში

# ზაზა ზირაქიშვილი: რაც ზესტაფონში ვიყავი, ილია კოკაია დიდ ტყუილში იყო გახვეული

**ფეხბურთელის ბედი საქართველოში - არ უნდა იყოს უმნიშვნელო თემა და ამიტომაც გთავაზობთ ახალ რუბრიკას. არ არის ადვილი, იყო ფეხბურთელი საქართველოში, თუნდაც იმიტომ, რომ აქ მოთამაშე ფეხბურთელებს, მეტწილად, ცარიელი ტრიბუნების წინ უწევთ თამაში. საშხაპე, კარგი მინდორი, ხელფას-პრემიის დროულად აღება, ნორმალური მწვრთნელი და ნორმალური პრეზიდენტი - საქართველოში მოთამაშე ფეხბურთელისთვის ყოველივე ეს მართლაც აქტუალურია.**

**საქართველოში მოთამაშე ზოგ ფეხბურთელს იმდენი ჯამაგირი აქვს, რასაც ზოგიერთი ჩვენი ბიურგერი წელიწადში ვერ გამოიმუშავებს, მაგრამ ეს არ უნდა იყოს მთავარი - ქართულ ფეხბურთში ძალიან ბევრი რამ ნაღმა კი არა, უკუღმა კეთდება...**

**რუბრიკის პირველი სტუმარი კი თავდამსხმელი ზაზა ზირაქიშვილი გახლავთ, ვისაც კარიერის განმავლობაში ცამეტჯერ(!) გამოუცვლია გუნდი და, შესაბამისად, ბევრის მნახველიცაა. 2001 წელს ის საქართველოს ჩემპიონატის ბომბარდირი და საუკეთესო ფეხბურთელიც გახდა, როცა თბილისის „დინამოში" თამაშობდა, იყო საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრიც, ახლა კი 33 წლისაა და უგუნდოდაა, თუმც კიდევ აპირებს თამაშს.**

**მის მონათხრობში ბევრ საინტერესოს ამოიკითხავთ, შესაძლოა, სკანდალურსაც კი და ყოველივე ეს საყურადღებო უნდა იყოს ქართული საფეხბურთო მილეთისთვის.**

**მოკლედ, ვიწყებთ რუბრიკას, რომელიც საინტერესო უნდა გამოდგეს...**

დავით თავართქილაძე

15 წლის ვიყავი, „ავაზიდან" თბილისის „მრეტებმა" რომ ამიყვანა, რომელიც საქართველოს ჩემპიონატის პირველ ლიგაში თამაშობდა. გუნდი უმაღლესში გადავიდა, სადაც 3 მატჩი ვითამაშე და „მრეტებმა" ხუთწლიანი კონტრაქტი შემომთავაზა. მაგრამ ამ დროს თვალი დამადგა **რევაზ ძოძუაშვილმა** და თბილისის „დინამოში" ამიყვანა. ყველაფერი სუფთად მოხდა, ჩემს ოჯახს ამაში ფული არ გადაუხდია, ქრთამი არც არავის მოუთხოვია. მერე ძოძუაშვილი წავიდა, „დინამოდან" რუსთავის „გორდაში" გადავიდა და მეც თან წამიყვანა. არ ვიცი, ხდებოდა თუ არა მაშინ თამაშების ჩაწყობა. იმ პერიოდში ახალგაზრდა ვიყავი და თუ იყო გარიგებული მატჩები, ასეთ რამეში მე არავინ ჩამახედებდა.

„გორდაში" თამაშით, ცოტა არ იყოს, განბილებული დავრჩი - ევროტურნირზე თამაშის საგზური ვერ მოვიპოვეთ. ერთ-ერთ შეხვედრაში თბილისის „დინამოს" ორი გოლი გავუტანე და „დინამოში" ჩემი აყვანით დაინტერესდნენ, მაგრამ ამ დროს გამოჩნდა პორტუგალიური ვარიანტი. მაშინ **ილია კოკაია** არ იყო ოფიციალური აგენტი, თუმცა პორტუგალიურ „ფარენსეში" გადასვლის შესაძლებლობა მისგან წამოვიდა. ტრანსფერი გამოვიდა, ოღონდ, კლუბმა კოკაიას არაფერი გადაუხადა, რადგან ის არ იყო ოფიციალური აგენტი.

„ფარენსეში" მართლაც კარგად წამივიდა საქმეები, პორტუგალიელები ახალ, ორწლიან კონტრაქტს მთავაზობდნენ, მაგრამ კოკაიამ და ძოძუაშვილმა მირჩიეს, ამ შეთავაზებისგან თავი შემეკავებინა და გერმანიაში წავსულიყავი - მეორე ბუნდესლიგის „უნტერჰახინგი" მელოდებოდა. დავუჯერე კოკაიასა და ძოძუაშვილს, ჩავედი გერმანიაში და ვივარჯიშე კიდეც „უნტერჰახინგში". ახლოვდებოდა „უნტერჰახინგის" ამხანაგური მატჩი მიუნხენის „ბაიერნთან" და სწორედ იმ შეხვედრაში უნდა გადაწყვეტილიყო ჩემი ტრანსფერის ბედი. მაგრამ გამომიძახეს ახალგაზრდულ ნაკრებში - **ვლადიმერ გუცაევის** გუნდს რუსთავში ჰქონდა მატჩი იტალიასთან. ერთხელაც დავუჯერე ძოძუაშვილსა და კოკაიას და ჩავედი საქართველოში. რაკი საქმე ნაკრებს ეხებოდა, ამ ფაქტორს გვერდს ვერ ავუვლიდი. გუცაევმა ჩემთვის უჩვეულო პოზიციაზე, მარჯვენა ფლანგზე გამამწესა და ასე უცბად ახალ ამპლუასთან მორგება გამიჭირდა. გუცაევმა პირველსავე ტაიმში, 21-ე წუთზე შემცვალა, თამაშზე „უნტერჰახინგის" წარმომადგენლებიც იყვნენ ჩამოსულები და ტრანსფერი ჩაიშალა. პორტუგალია და გერმანია - არც ერთი აღარ შემრჩა ხელში.

ჩემით ისევ დაინტერესდა „დინამო", კარგი ხელფასი და ოროთახიანი ბინა შემომთავაზეს. ტრანსფერის პირობა ასეთი იყო - „დინამოში" გადასვლის



ზაზა ზირაქიშვილი

შემდეგ ისრაელის ერთ-ერთ კლუბში უნდა გავეყიდე, „დინამოს" მხრიდან მოლაპარაკებებს **მერაბ რატიანი** უძღვებოდა. მაგრამ ისევ დავუჯერე ძოძუაშვილსა და კოკაიას. ძოძუაშვილს იმიტომ ვენდობოდი, რომ, ასე ვთქვათ, სწორედ მან „გამომჩხრიკა", როგორც ფეხბურთელი. კოკაია-ძოძუაშვილმა „მორკინალში" გადასვლა მირჩიეს იმ პერსპექტივით, რომ მალე ისევ ეცდებოდნენ გერმანიაში ჩემს მოწყობას. მეც წავედი „მორკინალში", მაგრამ გერმანიაში - ველარ. მარტყოფთან ახლოს ავტოავარიაში მოვყევი, მანქანა მომიცურდა და ხიდიდან მდინარეში გადავვარდი, დაახლოებით 15 მეტრი „ვიფრინე", არავინ მომეშველა, არადა, დიდი მოძრაობა იყო და არაერთი მძღოლი თუ მგზავრი დაინახავდა ამ ავარიას. გონება დავკარგე, მაგრამ ცივმა მდინარემ გამომაფხიზლა, თავიდან სისხლი თქრიალით მომდიოდა, ტრასაზე გავედი და მანქანას არავინ მიჩერებდა... როგორც იქნა, ერთმა ღვთისნიერმა ტაქსისტმა გამიჩერა და საავადმყოფოში წამიყვანა. ტვინის შერყევა, ფეხის მძიმე ტრავმა და ბევრი დაკარგული სისხლი - ასეთი ტრავმიდან „გამოძრომა" არ იყო ადვილი, ამან ბევრი დრო წაიღო და გერმანიაში ხელახლა ჩასვლაც არ მოხერხდა...

ბათუმის „დინამოს" მივაშურე, ცოლი მოვიყვანე და ძოძუაშვილმაც შემომითვალა, ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოსო. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, არაერთ გუნდში მითამაშია, ისეთშიც, სადაც ძალიან ცუდი სიტუაცია იყო. მწვრთნელს ჰყავდა თავისი ინფორმატორი, რომელიც თანაგუნდელებს აბეზღებდა. მწვრთნელს არ უნდოდა გუნდში კლუბის პრეზიდენტის მიერ მიყვანილი ფეხბურთელების ყოფნა და მათ იცილებდა. იგონებდა რაღაც ამბებს, რომელსაც კლუბის პრეზიდენტს უყვებოდა თავისთვის არასასურველი ფეხბურთელების კომპრომენტაციისთვის. მე ბევრი ვიცოდი იმაზე, რაც გუნდში ხდებოდა და მწვრთნელს, ალბათ, იმის ეშინოდა, ეს ყველაფერი კლუბის პრეზიდენტს არ უთხრასო. ალბათ, არ არის ძნელი მისახვედრი, ვისაც ვგულისხმობ.

2005 წელია, „ზესტაფონის" ფეხბურთელი ვარ, თასის ნახევარფინალის საპასუხო მატჩში „თბილისს" ვმასპინძლობთ. ცოტა ხნით ადრე ფოთში, „კოლხეთთან" გვქონდა თამაში, მაგრამ ამ მატჩზე პრინციპულად არ წავედი, რადგან ვიცოდი, რაშიც იყო საქმე. კოკაია უკვე „ზესტაფონის" პრეზიდენტი იყო და სულ სხვა ინფორმაცია მიუტანეს ჩემზე - ვითომ, ფოთში გუნდის დახმარებაზე უარს ვამბობდი. ჰოდა, დამირეკეს და მითხრეს - გაშვებული ხარ გუნდიდანო. უკვე მივხვდი, რომ ერთი სული ჰქონდათ, „ზესტაფონიდან" წავსულიყავი, ვიღაცას მაგრად ვეჩხირებოდი ხახაში...

არადა, „ზესტაფონამდე" ბაქოს „ინტერის" ფეხბურთელი ვიყავი და კოკაიამ მთხოვა - მოდი და დაგვეხმარეო. „ზესტაფონს" თასზე ჰქონდა თამაში ჭიათურის „მაღაროელთან". შემდგომ ეტაპზე გასვლა განაღდებული არ იყო. 4:2 მოვიგეთ, ორი გოლი გავიტანე და ამდენივე საგოლე გადაცემაც გავაკეთე. მაშინ, „ზესტაფონის" მწვრთნელი **თემურ მახარაძე** არ იყო. კოკაიას ოჯახის წევრივით ვენდობოდი, მაგრამ საბოლოოდ ისე მოხდა, რომ არასწორი ამბავი დაიჯერა და ჩვენი გზები გაიყარა...

„თბილისთან" თასის ნახევარფინალურ მატჩს დავუბრუნდეთ. თუ ფინალში ვერ გავიდოდით, მახარაძეს „ზესტაფონიდან" გაუშვებდნენ. მან სასტარტოში არ დამაყენა, 1:1 რომ იყო (პირველი მატჩი თბილისში 0:0 დასრულდა), მაშინღა შემიშვა მოედანზე. გოლი გავიტანე, 2:1 მოვიგეთ და ფინალში გავედით. ამის მერე კოკაიამ კონტრაქტის ორი წლით გაგრძელება შემომთავაზა, ხელშეკრულება სეზონის დასრულების შემდეგ უნდა გაფორმებულიყო, მანამდე კი ფინალი გვქონდა სათამაშო თბილისის „ლოკომოტივთან". ფინალისთვის მოსამზადებლად კი მწვრთნელმა შეკრებაზე გადაგვიყვანა, თანაც ქობულეთში, სადაც სულ სხვა კლიმატია, ვიდრე თბილისში. შეიძლება ითქვას, მახარაძემ ფეხბურთელები ყველანაირად დაგვრთრგუნა, „ლოკომოტივი" კი ფინალამდე მხოლოდ ერთი დღით გადავიდა შეკრებაზე და ცხადია, ჩვენზე უკეთეს სიტუაციაში აღმოჩნდა. ფეხბურთელი ვარ და კარგად ვიცი, თუ რას ნიშნავს ამგვარი ფაქტორები - ფინალამდე შეკრებაზე გამოკეტვამ ცუდად იმოქმედა ფეხბურთელებზე. მაინც, რატომ წავედით ქობულეთში? ვფიქრობ, დაკვირვებული, საქმეში ჩახედული ხალხი ყველაფერს ხვდება...

„ზესტაფონში" ყოფნისას ანთალიაშიც ვიყავით მოსამზადებელ შეკრებაზე და ძალიან არასასიამოვნო ფაქტი მოხდა - ორადგილიან ნომრებში დასაკეცი საწოლები შეიტანეს და ორის ნაცვლად სამ ფეხბურთელს აცხოვრებდნენ. ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის, რატომ გაკეთდა ასეთი რამ...

ერთი დეტალიც, თურქეთში რომ წავედით, ორკვირიანი ვიზა გვქონდა, შეკრება კი სამკვირიანი იყო. მე ორი კვირის შემდეგ საქართველოში დავბრუნდი, ხოლო იმ ფეხბურთელებს, ვინც იქ დარჩა, ვიზის ამოწურვის გამო არცთუ პატარა პრობლემები შეექმნათ. სანწყენია, რომ საქართველოს უმაღლესი ლიგის გუნდში ასეთი რამ მოხდა.

გუნდში თუ ერთიანობა არ არის და ფეხბურთელთა რაღაც დაჯგუფებები იქმნება, იქ კარგი არაფერი მოხდება. ის მწვრთნელები, რომლებიც ასეთ რამეს უწყობენ ხელს, ფეხბურთიდან უნდა მოიკვეთონ.

რაც „ზესტაფონში" ვიყავი, კლუბის პრეზიდენტი კოკაია დიდ ტყუილში იყო გახვეული. გული მტკიოდა ამაზე, ვერ ვეგუებოდი ასეთ სიტუაციას და ამას შევეწირე კიდეც - „ზესტაფონიდან" წასვლამ მომიწია. არადა, კოკაია ჩემთვის მართლაც არ იყო სულერთი...



ინდივიდუალური მომზადება კარატეში

ყალიბდება 10-კაციანი (ორივე სქესისთვის) ელიტარული ჯგუფი, რომელიც ფიზიკური მომზადების გარდა, გაივლის ზოგად ფსიქოლოგიას, ავტოტრენინგს, თერაპიის რამდენიმე სპეციფიკურ ფორმას.

ჯგუფს აყალიბებს საერთაშორისო კატეგორიის ინსტრუქტორი, ექსპერტი მამუკა დავითიშვილი-ბაგრატიონი, რომელსაც გავლილი აქვს სპეციალური მომზადება აღმოსავლეთის ქვეყნებში.

დაგვიკავშირდით: ოფისი (Tel/Fax) 963 189
ინსტრუქტორი 895 131 662

მისამართი: ქ. თბილისი, არმიის სპორტული კომპლექსი, უნივერსიტეტის 2.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვეტერანი

# კოვაჩევიჩი სიკვდილს გადაურჩა

## სერბმა ფორვარდმა კარიერა უნდა დაასრულოს, თორემ...

**დარკო კოვაჩევიჩს** კარიერის დასრულება, ალბათ, იმაზე უფრო ადრე მოუწევს, ვიდრე დაგეგმილი ჰქონდა. ექიმები მას ფეხბურთიდან სასწრაფოდ წასვლას ურჩევენ. სერბი ფორვარდი გულის შეტევის გამო საავადმყოფოში დააწვინეს. კარდიოლოგებმა მას ანგიოპლასტიკური მკურნალობა ჩაუტარეს და დაადგინეს, რომ ფეხბურთელს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით სერიოზული პრობლემები აქვს. გაირკვა, რომ კოვაჩევიჩს გული ბოლო ერთი რამდენიმე წელია აწუხებს და გასული თვეების განმავლობაში ექიმის მიერ გამოწერილ აბებს იღებდა. დარკო გუშინ გამოწერეს, ის ახლა კარგად გრძნობს თავს. კარდიოლოგებსა და ღმერთს ის მადლობას უნდა უხდიდეს, რადგან დიდი შანსი იყო ინფარქტი მიეღო. ექიმების თქმით, მისი ჰოსპიტალიზაცია დროულად რომ არ მომხდარიყო, პაციენტი შესაძლოა, დაღუპულიყო.

ათენის კარდიოლოგიურ კლინიკაში ჩატარებულმა გამოკვლევამ გამოააშკარავა, რომ დარკოს არტერია და გულის სარქველები საშინელ დღეში აქვს. გადაუდებელი ანგიოპლასტიკური მკურნალობა ამიტომაც ჩაუტარეს. სხვათა შორის, დარკოს სანსებასტიანელ ექიმ **მარიანო ლარმანთან** ხშირი ურთიერთობა ჰქონდა. წინა წლებში გულზე მას სწორედ ესპანელი კარდიოლოგი მკურნალობდა. სენიორ ლარმანმა როგორც კი გაიგო, რომ სერბ ფორვარდს პრობლემა შეექმნა, საკუთარი კლინიკა მიატოვა და უმალ ათენს გაემგზავრა. ის იქაური ექიმების პროფესიონალიზმით აღფრთოვანებული დარჩა: *„დარკოს საოცრად გაუმართლა, რომ ასეთი მცოდნე ხალხის ხელში მოხვდა. მას უმძიმესი დაავადება აღმოაჩნდა. ეს ძალიან მიკვირს, რადგან პაციენტს შესაბამისი ჩივილები ადრე არასოდეს ჰქონია. არადა, თურმე გულის მთავარი არტერიის პრობლემა ჰქონია. ბერძენ ექიმებს სწორი დიაგნოზი რომ არ დაესვათ და კარგად არ ემკურნალათ, ის ვერ გადარჩებოდა.“*

ფეხბურთიდან წასვლის გადაწყვეტილება კოვაჩევიჩმა თავად უნდა მიიღოს. ექიმები მას კატეგორიულად სთხოვენ, რომ ბუცები ლურსმანზე ჩამოკიდოს. ის, რომ სერბი საავადმყოფოდან ცოცხალი გამოვიდა, არხეინად ყოფნის საშუალებას არ იძლევა. მომდევნო 18 თვის განმავლობაში მას ძლიერი პრეპარატების მიღება მოუწევს. ამის ფონზე ფეხბურთის თამაში და ყოველ დღე მძიმე ფიზიკური დატვირთვების მიღება ყოვლად დაუშვებელია. კიდევ ერთხელ მოგახსენებთ, რომ კარდიოლოგები დარკოსგან კარიერის დაუყოვნებლივ დასრულებას მოითხოვენ...

კოვაჩევიჩს „ოლიმპიაკოსთან“ მიმდინარე წლის 30 ივნისამდე აქვს კონტრაქტი გაფორმებული. ბერძნული კლუბის ხელმძღვანელებმა რამდენიმე კვირის წინ განაცხადეს, სერბ ფორვარდთან თანამშრომლობის გახანგრძლივების სურვილი გვაქვსო, მაგრამ ამ ბოლო ამბის გახმაურების შემდეგ დასძინეს, ყველაფრისთვის მიგვიფურთხებია, მთავარია, დარკო ცოცხალი და უვნებელი გადარჩესო. მოკლედ, „ოლიმპიაკოსი“ მზადაა ფეხბურთელი გაათავისუფლოს, თუმცა თავად კოვაჩევიჩს სათქმელი ჯერ არ უთქვამს. ავადმყოფობამდე ის ამბობდა, მინიმუმ კიდევ 1 წელი უნდა ვითამაშოო. იმედია, „ოლიმპიაკოსის“ თავდამსხმელი გადაწყვეტილებას შეცვლის. ფეხბურთის თამაშის წყურვილი და პროფესიული ჟინი, რა თქმა უნდა, დასაფასებელია, მაგრამ მან ისიც უნდა გაითვალისწინოს, რომ 35 წლისაა და მისი გული ამხელა დატვირთვებს ველარ უძლებს.

**ილია ნიკოლაიშვილი**

დებატი

# მესი თუ რობენი?

## ჰოლანდიელი გარემარბი ლეოს გამარჯვებულად აცხადებს

ესპანეთში ახლა გულშემატკივრებისა და მიმომხილველების ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი სალაპარაკო თემა **არიენ რობენისა** და **ლეო მესის** შედარებაა. მას შემდეგ, რაც სამეფო კლუბის გარემარბი არაჩვეულებრივად ათამაშდა, რატომღაც გაჩნდა კითხვა, ვინ უფრო მნიშვნელოვანია მისი გუნდისთვის, არიენი, თუ ლეო. ამ ციებ-ცხელებამ ისეთი მასშტაბი შეიძინა, რომ რობენმა ტრადიციული პრესკონფერენციისთვის განკუთვნილი დროის დიდი ნაწილი სწორედ ამ დებატს მიუძღვნა, თუმცა ჟურნალისტებთან საუბარი მან მადლობის გადახდით დაიწყო: *„ძალიან მიხარია, რომ ტრავმა მოვიშუშე და გაცილებით უკეთ ვთამაშობ. პროგრესი საზოგადოებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. დაფასებისა და კომპლიმენტებისთვის დიდი მადლობა მინდა მოგახსენოთ. წინა შეხვედრებთან შედარებით, ახლა მართლაც ბევრად კარგად ვთამაშობ. იმედია, მომავალშიც პროგრესის გზით ვივლი.“*

რობენს მესისთან მის შედარებაზე სწორედ ამის შემდეგ ჰკითხეს. ჰოლანდიელმა ჟურნალისტს ასე უპასუხა: *„გულწრფელად გეტყვით, რომ ამ შედარების არსი ჩემთვის სრულიად გაუგებარია. მე იმის თქმა მინდა, რომ ახლა მესისა და ჩემი შედარება სრულიად უადგილოა. ლეო სხვა პლანეტისა და განზომილების ფეხბურთელია. ჩემი აზრით, დღეს ის მსოფლიოს საუკეთესო მოთამაშეა. მესის ბადალი არ ჰყავს. მესმის, რომ ფიფამ ეს წოდება კრისტიანო რონალდოს მიანიჭა. პორტუგალიელს უდიდეს პატივს ვცემ. ის ფენომენალური ფორვარდია, მაგრამ მიმაჩნია, რომ ლეო მესის მაინც ვერავინ შეედრება. არგენტინელის თამაშის ყურება უდიდეს სიამოვნებას მანიჭებს. ღმერთმა მას უდიდესი ნიჭი აჩუქა. ლეო ამ ნიჭს საუცხოოდ იყენებს და ყველაფერს აკეთებს იმისთვის, რომ მუდმივად მოვლენათა ეპიცენტრში იმყოფებოდეს და „ბარსელონას“ მაქსიმალურად დაეხმაროს. თუნდაც „ოსასუნასთან“ მატჩი რად ღირს. მაშინ, როცა „ბარსელონას“ ძალიან გაუჭირდა, ლეომ ინიციატივა ხელში აიღო და გასაოცარი გოლი გაიტანა. კატალონიელთა ვარსკვლავს ჩემგან გულითადი მოკითხვა გადაეცით.“*



არიენ რობენი

**ილია ნიკოლაიშვილი**

მანჩესტერ იუნაიტედი

# რონალდო რჩება

## ტოშიჩი ბექჰემს ჰგავს



კრისტიანო რონალდო

*„კრისტიანო რონალდოს* გარშემო ბევრი ჭორი და სპეკულაცია კიდევ აგორდება. როგორც ჩანს ეს გარდაუვალი პროცესია და მასთან შეგუება მოგვიწევს. ჩვენს კლუბში ყველა ძალიან ამაყობს, რომ რონალდომ ფიფას საუკეთესო მოთამაშის პრიზი დაიმსახურა და დაიმსახურა სწორედ „მანჩესტერ იუნაიტედის“ სახელით. ამაში მთელი გუნდის წვლილი ძალიან დიდია“, - ამტკიცებს „ალისფერი ეშმაკების“ თავკაცი სერ **ალექს ფერგიუსონი**. ამ სიტყვებით მან კატეგორიულად უარყო (ეს მერამდენედ) პორტუგალიელი ფეხბურთელის „რეალში“ გადასვლის პერსპექტივა.

შოტლანდიელმა სპეციალისტმა „იუნაიტედის“ კიდევ ერთ ფეხბურთელზე ინება კომენტარის გაკეთება. მან „დეილი მეილის“ კორესპონდენტს **ზორან ტოშიჩის** შესახებ გაუზიარა მოსაზრებები. *„ზორან ტოშიჩში არის რაღაც, რაც ახალგაზრდა დევიდ ბექჰემს მახსენებს. მაგალითად, გადაადგილებები მინდვრის კიდეზე, ჩაწოდებები. მერე რა, რომ ის ცაციაა? სერბეთის ნაკრებში ის მარჯვენა ფლანგზე თამაშობს. თუმცა მაინც ვფიქრობ, რომ მისთვის იდეალური სწორედ საპირისპირო ფლანგი იქნებოდა. ერთმნიშვნელოვანია, რომ ზორანს ძალზე კარგად ესმის ფეხბურთი. ის ჭკვიანი ფეხბურთელია, შესანიშნავად ეხერხება ჩაწოდებები და ფლობს კარგ დარტყმას. ამას გარდა, ის ძალზე ენერგიულია და ამით ის ნანის უფრო ჰგავს, ვიდრე რონალდოს. რა თქმა უნდა, დიდი სურვილი გვაქვს, რომ რონალდოს კალიბრის კიდევ ერთი ფეხბურთელი შევიძინოთ. ზორანი ზუსტად ჯდება ჩვენს სათამაშო სტილში, რადგან მას კარგად ეხერხება სულ მცირე სივრცის გამოყენებაც კი“*, - აცხადებს ფერგიუსონი.

ჩვენი გაზეთი უკვე გამცნობდათ, რომ ესპანური პრესის მტკიცებით, რონალდომ „რეალთან“ პირადი კონტრაქტი გააფორმა და ახლა ჯერი კლუბების ხელმძღვანელთა შეთანხმებაზე იყო. ამ ხმებზე კომენტარის გაკეთება მასმედიის წარმომადგენლებმა პორტუგალიელ ფეხბურთელს სთხოვეს. *„მიზნად დასახული მაქვს მაქსიმალურად ბევრი ტიტული მოვიგო ჩემს ამჟამინდელ კლუბთან ერთად. ჩვენ ახალგაზრდული, პერსპექტიული კლუბი ვართ და დიდი სურვილი მაქვს, მომავალი წარმატებების სულისჩამდგმელი მეც ვიყო. აქ კიდევ დიდი ხანი დავრჩები“*, - განუცხადა „სქაი სპორტსს“ მსოფლიოს საუკეთესო ფეხბურთელმა.

„ეშმაკების“ შოტლანდიელმა ნახევარმცველმა **დარენ ფლეტჩერმა** განაცხადა, რომ საჩემპიონო რბოლაში მისი გუნდი სერიოზულ უპირატესობას ფლობს, რადგან სეზონის გადამწყვეტი ნაწილის უკეთ ჩატარება შეუძლია. მათ ამისი კოლოსალური გამოცდილება აქვთ. *„ჩვენ გვაქვს ამ დაძაბულ რბოლაში მონაწილეობის გამოცდილება, „ლივერპულს“ კი წნეხის გაძლება პირველად უწევს. ასე რომ... ყველამ იცის, თუკი ჩვენ ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ, თუკი ბევრ რამეს მოვითმენთ, ჩემპიონობის სერიოზული შანსი მოგვეცემა“* - განუცხადა იმავე „სქაი სპორტსს“ ფეხბურთელმა.

**შალვა ბიბილაშვილი**

ფული და ფეხბურთი



დევიდ ბექჰემი, ბრიტანეთის უმდიდრესი ფეხბურთელი

# უმდიდრესნი ნისლიან ალბიონზე

„სანმა“ ბრიტანულ ფეხბურთში მოღვაწე უმდიდრესი ადამიანების სია გამოაქვეყნა. სია ორ ნაწილადაა გაყოფილი. ერთში კლუბების მფლობელებმა მოიყარეს თავი, ხოლო მეორეში – ფეხბურთელებმა. როგორც მოსალოდნელი იყო, ბრიტანეთის უმდიდრესი საფეხბურთო ფუნქციონერის ტიტული „მანჩესტერ სიტის“ მფლობელმა შეიხმა **მანსურმა** დაისაკუთრა. ოდესღაც ყველაზე მდიდარი **რომან აბრამოვიჩი** ამჯერად საპატიო მესამე ადგილს დასჯერდა.

ფეხბურთელებს შორის უკონკურენტოდაა **დევიდ ბექჰემი**. მას საერთო სიაში მოქმედი სპორტსმენისათვის საკმაოდ მაღალი, 38 ადგილი უჭირავს. აღსანიშნავია, რომ მეორე უმდიდრესი ფეხბურთელი, **მაიკლ ოუენი** ბექჰემზე სამჯერ ღარიბია. გთავაზობთ უმდიდრესი ფუნქციონერებისა და ფეხბურთელების სიის პირველ ათეულებს. თანხები გირვანქა სტერლინგებშია მოცემული

**შალვა ბიბილაშვილი**

| ფუნქციონერები | |
|---|---|
| 1. შეიხი ალ მანსური (მანჩესტერ სიტი) | 15 მილიარდი |
| 2. ლაქშმი მიტალი (ქუინზ პარკი) | 12.5 მილიარდი |
| 3. რომან აბრამოვიჩი (ჩელსი) | 7 მილიარდი |
| 4. ჯო ლუისი (ტოტენჰემი) | 2.6 მილიარდი |
| 5. ბერნი ეკლსტოუნი (ქუინზ პარკი) | 2.4 მილიარდი |
| 6. სტენ კროენკე (არსენალი) | 2.4 მილიარდი |
| 7. ალიშერ უსმანოვი (არსენალი) | 1.5 მილიარდი |
| 8-9. ლორდი გრაჩესტერი (ევერტონი) | 1.2 მილიარდი |
| დერმოტ დესმონდი (სელტიკი) | 1.2 მილიარდი |
| 10-11. ლორდი ეშკროფტი (უოტფორდი) | 1.1 მილიარდი |
| მალკოლმ გლეიზერი (მანჩესტერ იუნაიტედი) | 1.1 მილიარდი |

| ფეხბურთელები | |
|---|---|
| 1. დევიდ ბექჰემი (გალაქსი/მილანი) | 125 მილიონი |
| 2. მაიკლ ოუენი (ნიუკასლი) | 40 მილიონი |
| 3. უეინ რუნი (მანჩესტერ იუნაიტედი) | 35 მილიონი |
| 4-6 რიო ფერდინანდი (მანჩესტერ იუნაიტედი) | 28 მილიონი |
| რობი ფაულერი (უკლუბოდ) | 28 მილიონი |
| სოლ კემპბელი (პორტსმუთი) | 28 მილიონი |
| 7. რაიან გიგზი (მანჩესტერ იუნაიტედი) | 23 მილიონი |
| 8-9. მიხაელ ბალაკი (ჩელსი) | 20 მილიონი |
| ფრენკ ლემპარდი (ჩელსი) | 20 მილიონი |
| 10. სტივ ჯერარდი (ლივერპული) | 19 მილიონი |

ამბები

### ბენიტესი კონტრაქტს აგრძელებს

„ლივერპულის“ თავკაცმა **რაფაელ ბენიტესმა** ჟურნალისტებს აცნობა, რომ ის თითქმის შეუთანხმდა კლუბის მესაკუთრეებს ახალ კონტრაქტზე. *„ჩვენ შევთანხმდით საერთო პრინციპებზე. ლაპარაკია ხელფასის ოდენობასა და კონტრაქტის ხანგრძლივობაზე“*, - განუცხადა ბრიტანეთის სამაუწყებლო არხს ესპანელმა სპეციალისტმა. „სქაი სპორტსის“ ცნობით, მერსისაიდელებმა უკვე გადაწყვიტეს, რომ 20 წლის პერსპექტიულ შუახაზელ **ადამ ჰემილს** იჯარით გაუშვებენ. ფეხბურთელი სულ რამდენიმე დღეა, რაც „ბლექპულიდან“ მშობლიურ კლუბში დაბრუნდა, სადაც ასევე განათხოვრების წესით თამაშობდა. კლუბი სადაც მოთამაშე კარიერას განაგრძობს, ჯერჯერობით უცნობია. არ არის გამორიცხული, ფეხბურთელი ისევ „ბლეკპულს“ დაუბრუნდეს. ადამ ჰემილს „ლივერპულთან“ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. ბენიტესი იმედს გამოთქვამს რომ მოთამაშე სათანადო გამოცდილების მიღების შემდეგ კლუბს დიდი სამსახურს გაუწევს.

### ტოტენჰემი ადრიანოსთვის იბრძვის

„ტოტენჰემის“ მთავარი მწვრთნელი **ჰარი რედნაპი** და პრეზიდენტი **დენიელ ლევი** ამბიციურ გეგმას შეეჭიდნენ. მათ „ინტერიდან“ ბრაზილიელი **ადრიანოს** იჯარით გადაბირება სურთ. მოგეხსენებათ, სამხრეთამერიკელმა მილანური გრანდის ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა ვერ ააწყო. პრინციპში ამისთვის ის არც არაფერს აკეთებს. შესაბამისად, ლონდონელებს გარკვეული შანსი აქვთ, რომ ამღვრეულ წყალში თევზი დაიჭირონ. ლევი მზადაა მილანელებს ასევე ექვსთვიანი არენდით მარცხენა მცველი **გარეთ ბეილი** შესთავაზოს. მილანელთა პასუხი ჯერჯერობით უცნობია.

**შალვა ბიბილაშვილი**

რეალი

# კალდერონის იმპიჩმენტი რეალურ ელფერს იძენს

## მარკამ საიდუმლოს ფარდა ახადა. რა უნდოდა ატლეტიკოს სოსიოს სამეფო კლუბის ასამბლეაზე?




**რამონ კალდერონის** თავზე შავმა ღრუბლებმა მოიყარა თავი. ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში მოგახსენეთ, რომ სამეფო კლუბის პრეზიდენტს ოპოზიციისგან სერიოზული საფრთხე დაემუქრა. ამ გუნდის გულშემატკივრებმა ძალიან კარგად იციან, რომ გასული წლის 7 დეკემბერს მადრიდში სამეფო კლუბის ასამბლეა გაიმართა. იმ გაფართოებულ შეხვედრაზე დელეგატებმა პრეზიდენტის იმპიჩმენტზე იმსჯელეს. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად მაშინ კალდერონმა თავი გადაირჩინა, ხმების დათვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ გუნდის უმაღლეს ხელისუფალს საკმაო რაოდენობის დელეგატმა დაუჭირა მხარი. ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურ მონაცემებში ასე ეწერა. მაგრამ გუშინ ნათქვამს კიდევ ერთხელ გავიმეორებთ და გეტყვით, რომ კალდერონის ოპონენტების მტკიცებით, იმ დღეს დარბაზში ქუჩიდან მიყვანილი ხალხი შევიდა და ყველა კანონის დარღვევით კენჭისყრაში მიიღო მონაწილეობა. რა თქმა უნდა, არავინ ამბობს, კალდერონმა საკუთარი პოზიციების გასამყარებლად ასობით უცხო ადამიანი შეიყვანაო, მაგრამ აქ მთავარი ის არის, რომ პრეზიდენტმა ქუჩიდან შეგროვებულ ხალხს მადრიდის „რეალის" სოსიოს ყალბი საბუთები დაუმზადა და გუნდის თავგადაკლულ ფანებად გაასაღა. ჩვენთვის, ცხადია, შეუძლებელია, ბატონ კალდერონს თაღლითობა დავწამოთ, რადგან მოვლენათა ეპიცენტრში არ ვიმყოფებით და შესაბამისად ყველა დეტალზე ხელი არ მიგვიწვდება. ამ ინფორმაციას ესპანური პრესა ავრცელებს, თანაც სრული სერიოზულობით. აი, მაგალითად „დიარიო მარკას" ფურცლებზე ვკითხულობთ, რომ კალდერონის ინიციატივით ასამბლეაზე 6 ადამიანი ისე მოხვდა, რომ მანდატი ლეგალურად არ აუღია. კიდევ ოთხ კაცი კი სამეფო კლუბის სოსიო არასოდეს ყოფილა და დღესაც არ არის. უფრო მეტიც, ერთ-ერთი მათგანი სულაც სამეფო კლუბის დაუძინებელი მტრის, „ატლეტიკოს" სოსიოა. საგულისხმოა, რომ მადრიდულ გაზეთს ამ კანონდარღვევაზე ინფორმაცია ჯერ კიდევ დეკემბერში ჰქონდა, მაგრამ მის გადამოწმებას, გამოძიების ჩატარებასა და ფაქტების დალაგებას საკმაო დრო დასჭირდა. ინფორმაცია ასე დაგვიანებით ამიტომ გავრცელდა, თუმცა ამას ალბათ, გადამწყვეტი მნიშვნელობა არ აქვს. პროცესი დაიწყო და შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ რამონ კალდერონს უმძიმესი შეტევების მოგერიება მოუწევს. სხვა საკითხია, მოახერხებს თუ არა, გუნდის თავკაცი ამ სიტუაციიდან უვნებლად გამოძრომას.

როგორც ჩანს, „დიარიო მარკა" ასამბლეისთვის მთელი სერიოზულობით ემზადებოდა. ალბათ, გაინტერესებთ, ესპანურ გამოცემას დარღვევების შესახებ ინფორმაცია საიდან ჩაუვარდა ხელში. გაზეთის დირექტორთა საბჭომ და სარედაქციო კოლეგიამ ერთობლივ თათბირზე გადაწყვიტა, ყველა კავშირი გამოეყენებინათ და ასამბლეაზე ეგრეთ წოდებული აგენტები შეეგზავნათ. ამ ჩანაფიქრმა შესანიშნავი შედეგი გამოიღო. ჩვენი კოლეგები ამტკიცებენ, რომ სიმართლის დასამტკიცებლად ყველა საჭირო დოკუმენტი გააჩნიათ. მათ შორის, ფოტომასალაც. გამორიცხული არ არის, აგენტურას კალდერონის „პირადი არმიის" სრული შემადგენლობა 100-პროცენტიანი სიზუსტით ვერ დაედგინა, მაგრამ თუნდაც ერთი საბუთის გაყალბება უკვე საკმარისი საბაბია იმისთვის, რომ ოპოზიციამ იმპიჩმენტისთვის საჭირო საკითხების მომზადება დაიწყოს. დაძაბულობა და განხეთქილება უკვე სახეზეა. კალდერონს ახლა უკვე არა მხოლოდ ოპონენტები, არამედ მისი გუნდის წევრებიც უპირისპირდებიან. მედიის მიერ ატეხილ სკანდალს სამეფო კლუბის მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსი **მარტინ გონსალესი** გამოეხმაურა. აქამდე ის კალდერონის თანაგუნდელად მოიაზრებოდა, მაგრამ გუშინ ისეთი რამ განაცხადა, პრეზიდენტი კმაყოფილი ნამდვილად ვერ დარჩებოდა: *„ძალიან ვწუხვართ, რომ ჩვენი დიადი კლუბის გარშემო ასეთი მასშტაბური სკანდალი აგორდა. ახლა მთავარია, მშვიდ ატმოსფეროში დავბრუნდეთ, რათა ფეხბურთელებსა და მწვრთნელებს აუღელვებლად მუშაობის საშუალება მიეცეთ. პრესაში გავრცელებული ინფორმაცია ჩემთვის შოკისმომგვრელია. დამუნჯებული ვარ, არც კი ვიცი, რა უნდა ვთქვა. ჩემი აზრით, შექმნილ სიტუაციაში მთელი პასუხისმგებლობა რამონ კალდერონს ეკისრება. „დიარიო მარკას" ინფორმაციას მე ვერც უარვყოფ და ვერ დავადასტურებ. დროა, კალდერონმა ხმა ამოიღოს და ყველაფერზე გულღიად ისაუბროს. 21-ე საუკუნეში რაიმეს დამალვა ძალიან ძნელია, თითქმის შეუძლებელი. ამიტომ, დარწმუნებული ვარ, რომ საზოგადოება სიმართლეს აუცილებლად გაიგებს. ჩემი აზრით, არაფერი რომ არ ხდებოდეს, ამხელა სკანდალი არ ატყდებოდა."*

სენიორ ლუისმა პრესკონფერენციის დასაწყისში აღნიშნა, მოკლე განცხადებას გავაკეთებ და დავიშალოთო. მან პრესის წარმომადგენლებს კითხვების დასმის უფლება არ მისცა. კაცმა რომ თქვას, ჟურნალისტთა კორპუსს ამით ბევრი არაფერი დაუკარგავს. ისედაც ყველასთვის ცხადი გახდა, რომ სამეფო კლუბში განხეთქილება დაიწყო და სავარაუდოდ, დროთა განმავლობაში ის უფრო დიდ მასშტაბებს შეიძენს.

„დიარიო მარკამ" პირველ გვერდზე ძალიან საინტერესო ფოტო გამოაქვეყნა. სადაც სწორედ ის ხალხია აღბეჭდილი, რომელიც პრეზიდენტმა ასამბლეაზე კანონის დარღვევითა და ფარულად შეიყვანა. მადრიდული გაზეთი ამ ხალხზე ინფორმაციის მოგროვებას ყველა დასაშვები საშუალებით ცდილობს. მთავარი რედაქტორი მკითხველს პირობას აძლევს, რომ ამ სკანდალურ ისტორიას მეორე ნაწილიც ექნება, რომელიც კალდერონისთვის წესით კიდევ უფრო მძიმე და გამანადგურებელი უნდა აღმოჩნდეს.

კალდერონს „რეალში", რა თქმა უნდა, დამცველებიც გამოუჩნდა. სოსიოების დეპარტამენტის უფროსი **ლუის ბანსერა** პრეზიდენტს უდანაშაულოდ მიიჩნევს და პასუხისმგებლობას საკუთარ თავზე იღებს, თუ რატომ ამას სენიორ კალდერონის ინტერვიუდან გაიგებთ.



## რამონ კალდერონი

# არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, პრეზიდენტობისთვის აღარ ვიბრძოლებდი

**ბუნებრივია, ამ გრანდიოზულ სკანდალზე მხოლოდ „დიარიო მარკა" არ წერს. საკმაოდ საინტერესო და ანგარიშგასაწევი სამხილების მოძიება „დიარიო ასმაც" შეძლო. ამ გაზეთმა ეს თემა ერთ-ერთმა პირველმა წამოწია და ახლა პროცესების განვითარებას თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ მიჰყვება. გუშინ ხსენებული სპორტული გამოცემის წამყვან გვერდზე სენიორ რამონ კალდერონის ინტერვიუ გამოქვეყნდა. ბუნებრივია, საუბარი სკანდალურ ასამბლეას გვერდს ვერ აუვლიდა.**

**- სულ რამდენიმე წუთის წინ ერთ-ერთმა კორდობელმა მოქალაქემ „კადენა სერის" პირდაპირ ეთერში დარეკა და განაცხადა, ასამბლეის წინ „რეალის" წარმომადგენლები დამელაპარაკნენ და მომთხოვეს, რამონ კალდერონისთვის მხარი დამეჭირაო...**

- რა გნებავთ, რომ გიპასუხოთ? გამოდის კრიმინალი ვყოფილვარ... თუმცა დარწმუნებული ვარ, ამ ყველაფრით ძალიან ბევრი ხალხია დაინტერესებული. ჩემი აზრით, ეგრეთ წოდებული გამოძიება შორსაა ობიექტურობისგან. უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ ის მიკერძოებული და ანგარებიანია.

**- სოსიოების დეპარტამენტის უფროსს პრეკონფერენციის გამართვა თქვენ დაავალეთ?**

- არა. წინა ასამბლეის ორგანიზება მას ევალებოდა, ამიტომ ძალიან უხერხულად იგრძნო თავი და გადაწყვიტა საზოგადოებისთვის ახსნა-განმარტებით მიემართა. მოკლედ, სენიორ ლუისმა პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე აიღო და განაცხადა, კალდერონი არაფერ შუაშიაო.

**- თუ დადასტურდება, რომ უცხო ხალხმა კენჭისყრაში მონაწილეობა მართლა მიიღო, თანამდებობიდან გადადგებით?**

- ყველაფერი უნდა გაირკვეს. ეს ინფორმაცია ჩემთვისაც ამ დღეებში გახდა ცნობილი. აქამდე არაფერი ვიცოდით, არც მე და არც ჩემმა კოლეგებმა. სიმართლის დადგენას, რა თქმა უნდა, გარკვეული დრო დასჭირდება, მაგრამ მე ახლავე შემიძლია განვაცხადო, რომ ეს ყველაფერი ნაძირალა და გარეწარი ხალხის ნახელავია. კალდერონი ასამბლეის ქურდიაო რომ გაიძახიან, ცუდი არ იქნებოდა სცოდნოდათ, რომ მე ცხოვრებაში არავისთვის არაფერი მომიპარავს. ვფიცავ ჩემს ღირსებას, რომ არც მე და არც დირექტორატის არც ერთ წევრს მსგავსი რამ არ ჩაგვიდენია. ჩვენ ასამბლეაზე მანიპულაციები არ მოგვიწყვია.

**- ასეა თუ ისე, სკანდალი არნახული მასშტაბისაა. მოვლენათა შესაძლო განვითარებებისთვის როგორ ემზადებით? თუ ბრალდება დადასტურდება, რას გადაწყვეტთ?**

- ეს საკითხი აუცილებლად უნდა გაირკვეს. მე არაფრის მეშინია. მოდით, იმ უცხო ადამიანებს ვკითხოთ, ასამბლეაზე როგორ მოხვდნენ. სხვათა შორის, მე ძალიან სერიოზული ეჭვები მაქვს. გამორიცხული არ არის, ეს ყველაფერი დღევანდელი ხელისუფლების ოპონენტების მიერ იყოს პროვოცირებული. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ასამბლეაზე შესული უცხო ხალხი უნდა დაიკითხოს და დამნაშავეები დაისაჯონ. სხვათა შორის, სიყალბეში ის 10 ადამიანიც მონაწილეობდა და კარგი იქნება, თუ გამოძიება მათი ბედითაც დაინტერესდება.

**- სენიორ კალდერონ, მაპატიეთ, მაგრამ ეს ისტორია ქრთამის აღების ფაქტებს მაგონებს. არ ვამბობ, რომ დამნაშავე ხართ, უბრალოდ მაგალითი მომყავს. თუ ორი მხარე კორუფციულ გარიგებაში მონაწილეობს და ქრთამის მიმცემმა გამოძიებას ინფორმაცია მიაწოდა, ის პასუხისმგებლობისგან თავისუფლდება. ხომ შეიძლება, ამ შემთხვევაშიც ასე მოხდეს? გამოძიება იმ 10 კაცს საქმის გახსნისთვის აუცილებელი ჩვენების მიცემას დაუფასებს და პასუხისმგებლობისგან გაათავისუფლებს.**

- შესაძლოა, მაგრამ მე მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ დამნაშავე აუცილებლად უნდა დაისაჯოს.

**- თქვენი ოპონენტების მტკიცებით, იმ უცხო ხალხს მგზავრობის ფული გადაუხადეთ, ფეშენებელურ სასტუმროში მოაწყვეთ და რაც მთავარია, საფეხბურთო და საკალათბურთო მატჩების ბილეთები აჩუქეთ...**

- არა მგონია, ასეთი რამ ჭკუათმყოფელმა ადამიანმა დაიჯეროს. ეს ისეთივე სიმართლეა, თითქოს მე და ჩემმა კოლეგებმა ასამბლეაზე „ულტრა სური" შევიყვანეთ.

**- კი, მაგრამ „ულტრა სური" იქ მართლა იყო...**

- გააჩნია, ულტრასებში ვის გულისხმობთ. ძალიან იოლია ადამიანს ხელი დაადო და უთხრა, შენ ეგრეთ წოდებული სამხრეთი ტრიბუნის ულტრასი ხარო. მით უმეტეს, მე მათ საერთოდ არ ვიცნობ. მიპასუხეთ, ისინი ასამბლეაზე „ულტრა სურის" სიმბოლიკით იმყოფებოდნენ? მტკიცებულებების გარეშე რაიმეს დაბრალება ყველაზე მარტივი საქმეა. ისიც ტყუილია, თითქოს ულტრასები ორგანიზებულად, ავტობუსებით მივიყვანეთ.

**- ესე იგი ამტკიცებთ, რომ იმ დღეს ვინც კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო, ყველა კლუბის სოსიოა?**

- გამოძიებამ სწორედ ეს უნდა გაარკვიოს. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, თუ დამტკიცდება, რომ კენჭისყრაში უცხო ხალხმა მიიღო მონაწილეობა, მაშინ აუცილებლად უნდა დადგინდეს, ისინი დარბაზში ვისი დახმარებით მოხვდნენ.

**- ბოლო დროს ძალიან ბევრ უსიამოვნებაში გაყავით თავი...**

- მადრიდის „რეალის" პრეზიდენტისთვის მშვიდად მუშაობა შეუძლებელია. ყოველთვის გამოგიჩნდება მტერი, რომელსაც ყოველგვარი დამსახურების გარეშე შენს სავარძელში მოკალათება მოუნდება. ამით ძალიან დავიღალე, მაგრამ ჩემთვის ტალახის სროლის უფლებას არავის მივცემ.

**- უეფამ საბოლოო გადაწყვეტილება გამოაქვეყნა. ჩემპიონთა ლიგის განაცხადში ჰუნტელაარისა და დიარას ერთდროულად შეყვანა აგეკრძალათ. ამ შეცდომაზე პასუხი ვინ უნდა აგოს?**

- გარკვეული მიზეზების გამო, გუნდი ურთულეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ახალი ფეხბურთელები გვჭირდებოდნენ და ჩვენ ისინი ხუთი წლით შევიძინეთ. რატომ გგონიათ, რომ დიარა, ან ჰუნტელაარი რამდენიმეთვიანი ამოცანების გადასაჭრელად გადმოვიბირეთ. გიმეორებთ, ახალი სისხლის გადმოსხმა გვჭირდებოდა. ჰუნტელაარი და დიარა ჩემპიონთა ლიგაში ერთად უამრავ შეხვედრას ჩაატარებენ, ასე რომ, ვერ ვხვდები პასუხისმგებლობაზე რა მოტივით საუბრობთ.

**- გულშემატკივრები თქვენს გადადგომას ითხოვენ. ამაზე არასოდეს გიფიქრიათ?**

- გადადგომა ჩემს ხასიათში არ არის. ახლა გუნდის მიტოვება უპასუხისმგებლობა იქნება.

**- რიგგარეშე არჩევნებს გამორიცხავთ?**

- დიახ. ახლა რიგგარეშე არჩევნები რომ დავნიშნო, გუნდი ქაოსში აღმოჩნდება. პრეზიდენტობა უამრავ კანდიდატს სურს და თუ წყალი დაილექება, ტალახი წაგვლეკავს.

**- უკვე მეორედ აღნიშნეთ, რომ ამის გაკეთება ახლა არ შეიძლება. ეს როგორ გავიგოთ, შეიძლება სიტუაციის დამშვიდების შემდეგ გადადგეთ? თუ მანდატის ვადის ამოწურვამდე იმუშავებთ?**

- დიახ, მე არსად წასვლას არ ვაპირებ. ყველას ვთხოვ, მეტ-ნაკლებას მშვიდად მუშაობის საშუალება მომცეს. რაც თანამდებობაზე ამირჩიეს, უამრავი რამ დამაბრალეს, მაგრამ შემდეგ არაფერი დადასტურდა. ასეთი დაპირისპირება, პირველ რიგში, მადრიდის „რეალს" აზარალებს.

**- მორიგ საპრეზიდენტო არჩევნებშიც იყრით კენჭს?**

- არჩევნები დღეს რომ ტარდებოდეს, პრეზიდენტობისთვის აღარ ვიბრძოლებდი. ვამაყობ, რომ ჩემი მოღვაწეობის დაწყების დღიდან საჩემპიონო ტიტული ორჯერ მოვიპოვეთ. მინდა, კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მივაღწიოთ, მაგრამ „რეალის" პრეზიდენტის თანამდებობა ჩემი თვითმიზანი არ არის.

გვერდი მოამზადა
ილია ნიკოლაიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ

სილვიო ბერლუსკონი

# ბერლუსკონი მორატის სულელურმა ფრაზამ არ გააბრაზა

## სილვიო: კაკა მილანში დარჩება



**აპენინელ** ჟურნალისტებს სილვიო ბერლუსკონისთან საუბარი ძალიან უყვართ. იტალიის პრემიერმინისტრი ყოველთვის დიდი გატაცებით საუბრობს ფეხბურთსა და მის „მილანზე“, რომელსაც უკვე ოც წელიწადზე მეტია მართავს. ბერლუსკონიმ ამჯერად „კორიერე დელო სპორტის“ ჟურნალისტს დასდო პატივი და საკმაოდ ვრცლადაც ებაასა. დროა, საქმეზე გადავიდეთ...

**- როგორ მოგწონთ ასეთი „მილანი“?**

- ჯერ გუნდი ვერ აჩვენებს ისეთ თამაშს, როგორც გვინდა, თუმცა ამ ეტაპზე უკმაყოფილების საბაბი არ გვაქვს. პროგრესი სახეზეა და დროთა განმავლობაში, „როსონერი“ უკეთესად ათამაშდება. ამ ფორმაციის „მილანი“ ძალიან მომწონს ჩემი აზრით, მსოფლიოში საუკეთესო ფეხბურთელები სწორედ ჩვენს გუნდში ასპარეზობენ. ახლა უფრო დიდი ენთუზიაზმით დავდივარ თამაშებზე, ვიდრე უწინ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შესაძლებლობებით ეს გუნდი არც ერთ წინამორბედს არ ჩამოუვარდება.

**- ნუთუ ახლა უფრო გიყვართ „მილანი“, ვიდრე უწინ?**

- ეს არაფერ შუაშია. „მილანი“ ჩემი ცხოვრების ნაწილია, თუმცა მე პირველ რიგში ფეხბურთი მიყვარს. როდესაც სანახაობრივად თამაშობს, მეც მაშინ მიმიწევს გული სტადიონისკენ. დღეს, ჩვენს გუნდში ისეთი ფეხბურთელები ასპარეზობენ, რომ მათგან თითოეულ წამს რაღაც განსაკუთრებულს უნდა ელოდო. რონალდინიო, კაკა, პირლო, ზეედორფი, ბექჰემი, პატო - ვცდილობ, მათ თამაშს ყოველკვირა მივადევნო თვალი.

**- მიზანს მაინც მიაღწიეთ და რონალდინიო „მილანში“ გადაიბირეთ, კმაყოფილი ხართ მისი ასპარეზობით?**

- ისევე როგორც „მილანი“, ჯერ რონიც ვერ არის ოპტიმალურ ფორმაში. თუმცა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოედანზე უსარგებლოა და საქმეს ვერ აკეთებს. გაუჩო დღესაც დიდ ძალას წარმოადგენს და როდესაც ოპტიმალურ ფორმას აკრებს, შეუჩერებელი გახდება. რონალდინიოს გადმობირებას არაერთი წელი ვცდილობდით და მიზანს გასულ წელს მივაღწიეთ. ამ გარიგებით ძალიან კმაყოფილი დავრჩი, რადგან „მილანს“ დიდი ვირტუოზი შეემატა. ამაში ალბათ თქვენც დამეთანხმებით.

**- ბევრს მიაჩნია, რომ რონალდინიომ საუკეთესო წლები უკან მოიტოვა და „მილანში“ მისი იმედი არ უნდა ჰქონდეთ.**

- იმედი რომ არ გვქონდეს, არც გადმოვიყვანდით. დარწმუნებული ვარ, რომ რონი გუნდისთვის შეუცვლელი ფეხბურთელი გახდება და ტიტულების მოგებაში თავის წვლილს შეიტანს. ის უკვე სასარგებლოა და ამაში, ალბათ, ნებისმიერი გულშემატკივარი დამეთანხმება. პირადად მე, რონის გადმობირებას არც ერთ შემთხვევაში არ ვინანებ, რადგან მისი ფინტების ცოცხლად ხილვა ძალიან ძვირად მიღირს.

**- ბრაზილიური ფეხბურთის დიდი მოყვარული ჩანხართ.**

- თუ სპორტის უპირველესი სახეობა გიყვარს, არ შეიძლება ბრაზილიური ფეხბურთი არ მოგწონდეს. პენტაკამპეონთა ნაკრების თამაშის ხილვა ერთ რამედ ღირს და თუ ამის საშუალება მაქვს, ტრანსლაციას ყოველთვის ვუყურებ. ბრაზილიელები ბურთს სხვანაირად ეპყრობიან, მათში რაღაც განსაკუთრებულია. მათი ქმედების განჭვრეტა შეუძლებელია, სწორედ ეს მხიბლავს ყველაზე მეტად. „მილანში“ ბრაზილიელი ყოველთვის მრავლად იყო, აქედანაც კარგად ჩანს ჩემი დამოკიდებულება ამ ქვეყნის ფეხბურთისადმი.

**- მსოფლიოს ჩემპიონატზე ბრაზილიის ნაკრებს არაერთი მილანელი ეყოლება, ალბათ, უგულშემატკივრებთ დუნგას გუნდს.**

- რა თქმა უნდა. როგორ შეიძლება არ გამიხარდეს კაკას, რონალდინიოს, პატოს ან ემერსონის წარმატება. ბუნებრივია, პირველ რიგში, ჩვენს ეროვნულ ნაკრებს ვუქომაგებ, შემდეგ კი ბრაზილიას. საერთოდ, ვფიქრობ, რომ 2010 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ერთ-ერთი ყველაზე სანახაობრივი იქნება. ბრაზილიას და არგენტინას უძლიერესი გუნდები ეყოლებათ, მათ ევროპელებიც ღირსეულ კონკურენციას გაუწევთ. ამასთან, ძალიან რთული იქნება აფრიკულ ქვეყნებთან თამაში, ისინი მშობლიურ კონტინენტზე არნახულად თავდაჯერებულები და მიზანდასახულები იქნებიან.

**- რონალდინიოზე დიდხანს ვისაუბრეთ, პატოზე კი არაფერი გვითქვამს. არადა, „რომასთან“ დიდებულად გაისარჯა.**

- ალეშანდრეს რამდენიმე თამაში ვნახეთ ბრაზილიაში და მაშინვე გადავწყვიტეთ მისი შეძენა. „მილანის“ სელექციას სამხრეთ ამერიკაში ლეონარდო კურირებს და პატოს შეძენა სწორედ მან გვირჩია. ახალგაზრდა ბრაზილიელს აქვს იმის პოტენციალი, რომ „როსონერის“ ისტორიაში ახალი ფურცელი დაწეროს. მას ამისთვის ყველა პირობა აქვს შექმნილი. ასეთ პარტნიორებთან თამაშით ძალიან ბევრს ისწავლის.

**- ამასობაში, გავრცელდა ინფორმაცია, რომ კაკას სანაცვლოდ „მანჩესტერ სიტის“ მესვეურები ასტრონომიულ თანხას შემოგთავაზებენ.**

- ეს მეც გავიგე. თუმცა, მანჩესტერელები დროს სულ ტყუილად კარგავენ, კაკა რომ „მილანში“ კიდევ დიდ ხანს დარჩება, ეს გადაწყვეტილი ამბავია. რიკის არაერთხელ ვესაუბრე და ზუსტად ვიცი, რომ „მილანიდან“ წასვლის არავითარი სურვილი არ აქვს. მის გაშვებას არც ჩვენ ვაპირებთ, „სიტის“ მესვეურებს კი ვურჩევდი, დრო და ენერგია სხვა საქმეზე დახარჯონ. ბევრია ისეთი ფეხბურთელი, რომელიც კლასის და კვალიფიკაციის ნაკლებობას არ განიცდის, მაგრამ ამა თუ იმ გუნდს ვერ შეეწყო. სწორედ, ასეთი მოთამაშეების გადაბირებაზე ჯობია მუშაობა, რადგან საჭირო ფეხბურთელს დიდი კლუბი არ გაასხვისებს.

**- დევიდ ბექჰემის თემას ვერ ავცდებით, რას იტყვით მასზე?**

- დევიდ ბექჰემის „მილანში“ გადმოყვანის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი სწორედ მე ვიყავი. რონალდინიოს მსგავსად, ბექჰემის გადმობირებაც დიდი ხნის წინ მინდოდა და ეს სურვილიც ამიხდა. ახლა, რონიც და ბექზიც ერთად შემიძლია ვნახო „მილანის“ მაისურში. საერთოდ, დევიდზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია. ნამდვილი პროფესიონალია, მას თამაშის საკუთარი, ყველასგან განსხვავებული მანერა აქვს. თანაც, ძალიან თავმდაბალი პიროვნებაა, რაც ასევე ძალიან მომწონს.

**- ანჩელოტის ხშირად აძლევთ რჩევებს, რომელ ამპლუაში ისურვებდით ბექჰემის ხილვას?**

- „რეალში“ მას ხშირად მოედნის ცენტრში ათამაშებდნენ, თუმცა მე ეს არ მომწონს. ბექჰემი ტიპური ფლანგის ფეხბურთელია და მწვრთნელი რომ ვიყო, აუცილებლად მარჯვენა ფრთას ჩავაბარებდი. როგორც ვიცი, კარლეტოს მისი გამოცდა ცენტრშიც სურს და ვნახოთ, შესაძლოა ამან გაამართლოს კიდეც. თუმცა მე მაინც ჩემს აზრზე ვრჩები და ვაცხადებ, რომ დევიდი ტიპური ფლანგის ფეხბურთელია.

**- შევჩენკო ჯერ კიდევ ვერ ჩადგა ფორმაში, ჩაიარა მისმა მატარებელმა?**

- საუკეთესო წლები უკან მოიტოვა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მაღალ დონეზე თამაშს ველარ შეძლებს. ანდრეი მონდომებით ვარჯიშობს და ანჩელოტი მისით კმაყოფილია. შევა ჩადგება ფორმაში და გუნდში თავისი ადგილი ექნება, შესაძლოა, ერთპიროვნული ლიდერის ფუნქციები ველარ ითავოს, მაგრამ თავის სიტყვას აუცილებლად იტყვის. უკრაინელს ბოლოს რომ შევხვდი, შევატყვე, თავს ბედნიერად გრძნობს. მთავარიც ეს არის, მიხარია, რომ ის კვლავ ჩვენი გუნდის წევრია.

**- ანჩელოტი ისევ ერთი გამოკვეთილი ფორვარდით თამაშობს, არ გიჯერებთ კარლეტო?**

- ვერ გადმოვიყვანე ჩემს ჭკუაზე (იცინის). „მილანი“ დღეს შემტევ ფეხბურთს თამაშობს, ტაქტიკაც შეტევაზეა ორიენტირებული და უკმაყოფილების საბაბი ნამდვილად არ მაქვს. კაკა და რონალდინიო სიღრმიდან თამაშობენ და ალბათ, ეს ასეც უნდა იყოს, მათი შესაძლებლობების ფეხბურთელი მეტოქის საჯარიმოში არ უნდა გამოამწყვდიო.

**- შეძლებს ასეთი „მილანი“ „ინტერის“ დაწევას?**

- იყო დრო, როდესაც მეკითხებოდნენ, შეძლებს „მილანი“ „იუვენტუსის“ დაწევას? ჩვენ არავის მივდევთ. „მილანს“ თავისი გზა აქვს, ვცდილობთ, თითოეულ შეხვედრაში სამი ქულა ავილოთ, დანარჩენი კი სეზონის ბოლოს გამოჩნდება. ისე კი, „ინტერი“ ძალიან კარგ ფეხბურთს თამაშობს და თანაქალაქელთა მისამართით საქებარი სიტყვების მეტი არაფერი მეთქმის.

**- არადა, სეზონის პირველ ნახევარში, პატარა გაუგებრობასაც ჰქონდა ადგილი. გახსოვთ ალბათ, მორატის გამონათქვამები „მილანის“ გალიდერებასთან დაკავშირებით?**

- ნუ მივუბრუნდებით ამ თემას. ეს ფეხბურთია, აქ ემოციებით ცხოვრობენ და ხშირად ისეთი რამე წამოგცდება, რასაც ცივი გონებით არასდროს იტყვი. სენიორ მასიმომ განაცხადა, რომ „მილანი“ პირველობას მიჩვეული არაა. მგონი, ეს ყველაზე დიდი სისულელეა, რაც კი ოდესმე მომისმენია. მორატიმ არ უნდა მიწყინოს, რადგან მე მასზე არ გავბრაზებულვარ.

**- ლუჩანო მოჯი გაასამართლეს, რას იტყვით ამაზე?**

- რა უნდა ვთქვა, სასამართლომ ასე გადაწყვიტა და აქ ყველაფერი დასრულდა. ჩემი აზრით, წარსული უნდა დავივიწყოთ და წინ ვიყუროთ, კალჩო ვითარდება და მთავარი ესაა. იტალიურ ფეხბურთში მიმდინარე პროცესები ძალიან მომწონს, პროგრესი სახეზეა.

**- კი, მაგრამ ამბობენ საქმე ჯერ კიდევ არ დახურულა და მოჯის საქმეზე, ჩვენების მისაცემად სილვიო ბერლუსკონის დაიბარებენო...**

- ვერაფერს გეტყვით. მოჯისთან საქმიანი ურთიერთობა არასდროს მქონია და შესაბამისად, წარმოდგენა არ მაქვს, რას აკეთებდა ეს კაცი. თუ უნდათ, გამომიძახონ და დამკითხონ, სათქმელი მართლაც არაფერი მაქვს. დროს დაკარგავენ და მეც დამაკარგვინებენ.

**- რას ელით 2009 წლისგან?**

- 2008 წელს დაწყებულმა მსოფლიო ეკონომიკურმა კრიზისმა ყველა შეგვაშფოთა. ჩემი უმთავრესი საზრუნავია, რომ ეს კრიზისი ჩვენს ქვეყანას ყველაზე ნაკლებად შეეხოს. ვისურვებდი, 2009 წელი პრობლემებთან გამკლავების წელი ყოფილიყოს.

ტრანსფერი

# პაცინი სამპდორიელია




**გუშინ** გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, დღევანდელი დღიდან „ფიორენტინას“ ან უკვე ყოფილი ფორვარდი **ჯამპაოლო პაცინი** ამიერიდან „სამპდორიას“ ღირსებას დაიცავს. კლუბებს შორის მოლაპარაკებები რამდენიმე დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და გუშინ, წარმატებით დასრულდა. გენუელებმა ფეხბურთელსაც შეუთანხმეს პირობები და „ვიოლას“ მესვეურებსაც მოელაპარაკნენ სატრანსფერო თანხის ოდენობაზე. ჯერჯერობით, დეტალები არ ხმაურდება, მაგრამ ის, რომ გარიგება შედგა, ორივე მხარემ დაადასტურა. ასე რომ, იტალიის ახალგაზრდული ნაკრების წევრი ამიერიდან ანტონიო კასანოს მხარდამხარ იასპარეზებს.

გვერდი მოამზადა
**ლაშა ნიკლაურმა**



ბუნდესლიგა

# სრული ძალაუფლება მწვრთნელებს

## მოდელი, რომელიც მხოლოდ იმ შემთხვევაში ამართლებს, როცა მწვრთნელი ძალიან მაგარია



ისინი თავიანთ კლუბებში ყველაფერს აკონტროლებენ: „ჰოფენჰაიმის" თავკაცი რალფ რანგნიკი და „ვოლფსბურგის" მწვრთნელი ფელიქს მაგათი

**„ვოლფსბურგის" მიერ შარშან დაწყებული საქმე, წელს „ჰოფენჰაიმმა" გააგრძელა - ტენდენცია იქითკენ მიდის, რომ გერმანელები ნელნელა გადავლენ ისეთ მოდელზე, რომელიც ინგლისშია აპრობირებული - სრული სამწვრთნელო და მენეჯერული ძალაუფლება გუნდის მთავარ მწვრთნელს!**

როდესაც **ფელიქს მაგათი** „ვოლფსბურგის" მწვრთნელის პოსტზე დანიშვნას დათანხმდა, ამ ფაქტით ბევრი ექსპერტი გაკვირვებული დარჩა. რაც არ უნდა იყოს, „დესპოტი ფელიქსი" მანამდე მიუნხენის „ბაიერნს" წვრთნიდა, რომელსაც ზედიზედ ორჯერ გერმანიის ჩემპიონობა და თასი მოაგებინა. „ბაიერნის" შემდეგ საშუალოზე დაბალი დონის გერმანული კლუბის გაწვრთნა კი, თავმოყვარე მწვრთნელისთვის აშკარად უკან გადადგმული ნაბიჯია. სანამ „მგლებში" მაგათი მივიდოდა, ეს გუნდი ზედიზედ ორი სეზონის განმავლობაში ძლივძლივობით გადაურჩებოდა ხოლმე მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას. და როგორაა ამ გუნდის საქმე დღეს? „ვოლფებმა" მაგათის ხელში, პირველივე სეზონში უეფას თასის საგზური მოიპოვეს და წელსაც კარგად მისდით საქმეები - ისევ მინიმუმ ხუთეულში მოსახვედრად იბრძვიან.

...და კითხვაზე, რატომ დათანხმდა მაგათი „ვოლფსბურგის" გაწვრთნას, ფელიქსმა კონტრაქტის გაფორმების დღეს ასეთი პასუხი გასცა: *„იმიტომ, რომ მე აქ სრული ძალაუფლება მექნება, გავაკეთებ იმას, რაც მინდა და გუნდს ჩემს გემოზე მოვაწყობ. ახალი გუნდის შენებას ვიწყებ, სრული პასუხისმგებლობითა და შემართებით!"* ჰო, „ვოლფსბურგის" შეფებმა მას სრული კარტ-ბლანში მისცეს - აკეთე რაც გინდა, მწვრთნელიც შენ ხარ, მენეჯერიც, სპორტული დირექტორიც და პრეზიდენტიცო. დაინახეს რა შედეგი პირველივე სეზონში, გასულ ზაფხულს გუნდის პირველმა დამფინანსებელმა „ფოლკსვაგენმა" მაგათს ტრანსფერებისთვის ორჯერ მეტი ფული გამოუყო, ვიდრე შარშან...

დაინიშნა თუ არა მაგათი „მგლების" დამრიგებლად, სამიოდ დღის შემდეგ ის ხორვატიაში წავიდა, სადაც ძველ ნაცნობს შეხვდა. ეს 2007 წლის ივნისის ამბავია: მაგათი ზაგრების გარეუბანში ახალგაზრდა ბიჭს შეხვდა, რომლის შესახებაც ბევრი კარგი რამ უამბეს. დღეს ეს ბოსნიელი ფეხბურთელი „ვოლფსბურგის" თავდამსხმელია, თანაც, საკმაოდ წარმატებული და შედეგიანი. ლაპარაკია **ედინ ჯეკოზე**, რომელსაც „ვოლფსბურგში" გადასვლამდე არავინ იცნობდა. ფელიქსი ამბობს, რომ ჯეკო თავისი ასაკის ფორვარდებში, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო თავდამსხმელია. წელიწადნახევარია, რაც მაგათი „ვოლფსბურგის" ბოსია (დიახ, ბოსი და არა მარტო მწვრთნელი). წელს კი ბუნდესლიგაში კიდევ ერთი გუნდი გამოჩნდა, რომლის თავკაციც ასევე სრული ძალაუფლებით მართავს კლუბს - „ჰოფენჰაიმს" და მის დამრიგებელ **რალფ რანგნიკს** ვგულისხმობთ, რომელსაც **დიტმარ ჰოპი** თავის მილიონებს ანდობს. და ნახეთ: ბუნდესლიგის ახალწვეული „ჰოფე" პირველი წრის გამარჯვებულია!

ინგლისში მწვრთნელებს მენეჯერები ჰქვიათ. გუნდის მენეჯერი იქ ყველა სპორტულ ასპექტს აკონტროლებს. ის არის როგორც მწვრთნელი (ვარჯიში, ტაქტიკა, ძირითადი შემადგენლობა), ასევე მენეჯერიც (ტრანსფერები, სკაუტინგი, ბავშვთა გუნდების კურატორობა). პრემიერლიგიდან ასეთი სისტემის საუკეთესო მაგალითები **არსენ ვენგერი** (არსენალი) და **სერ ალექს ფერგიუსონი** (მანჩესტერი) არიან.

„ვოლფსბურგისა" და „ჰოფენჰაიმის" შემდეგ, სადაც ამ სისტემამ იდეალურად გაამართლა, მწვრთნელისთვის სრული ძალაუფლების მიცემის იდეა „ჰანოვერშიც" დაიბადა, სადაც სპორტული დირექტორი **კრისტიან ჰოხშტეტერი** პოსტიდან გაათავისუფლეს და დიდი შანსია, რომ მისი საქმე მთავარ მწვრთნელ **დიტერ ჰეკინგს** შეუთავსონ.

რა ავალია ფელიქს მაგათს „ვოლფსბურგში"? ის ანაწილებს და პასუხისმგებელია ბიუჯეტზე, განსაზღვრავს და საჭიროებისამებრ ცვლის სატრანსფერო პოლიტიკას, აკონტროლებს ბავშვთა ფეხბურთს კლუბში, სკაუტინგს და ხშირად თვითონ დადის შერჩეული ფეხბურთელების საქმეში სანახავად, თვითონვე აწარმოებს მოლაპარაკებებს ფეხბურთელებთან - როგორც ეს ჯეკოს შემთხვევაში იყო.

*„მწვრთნელი აუცილებლად უნდა იყოს ყველაფერში ჩართული, რადგან მხოლოდ მან იცის, რა სჭირდება გუნდს. მწვრთნელისთვის ძალაუფლების მიცემა - ეს ყველაზე სუფთა და სწორი გადაწყვეტილებაა. როდესაც მწვრთნელს მენეჯერები და სპორტული დირექტორები ადგანან თავზე, ეს უფრო მეტ დისკუსიას და დროის კარგვას ნიშნავს. ერთი ეგაა, რომ როცა მწვრთნელს ასეთ ძალაუფლებას აძლევ, მას უნდა ენდობოდე კიდეც,"* - აცხადებს მაგათი.

ინგლისური მოდელის გადაღების ტენდენცია მხოლოდ გერმანიაში როდი შეიმჩნევა. მაგალითად, „მონაკოს" პრეზიდენტმა **ჟერომ დე ბონტინმა** ცოტა ხნის წინ მენეჯერი **მარკ კელერი** და სპორტული დირექტორი **ჟან-ლუკ ეტორი** თანამდებობიდან გაათავისუფლა, რათა მთავარი მწვრთნელის, **რიკარდოს** პოზიციები გაემყარებინა. *„ჩვენ ახალი სტრუქტურა გვჭირდებოდა, რადგან მუდმივი გაუგებრობები და უთანხმოებები იყო. მას მერე, რაც ყველაფერი მწვრთნელს ავალია, როგორც იქნა, არსებობს ერთი ხედვა და ამავე დროს, მწვრთნელი სრულ პასუხისმგებლობასაც საკუთარ თავზე იღებს. შესაბამისად, გვაქვს ერთი ხედვა, აღარ გვაქვს ქაოსი და გაუგებრობები,"* - აცხადებს ბონტინი.

აი, იტალიაში კი აბსოლუტურად სხვაგვარი ვითარებაა. იქ მწვრთნელები პირდაპირ კლუბის ბოსებს ექვემდებარებიან და მათ წინაშე არიან პასუხისმგებლები. „ინტერის" პრეზიდენტ **მასიმო მორატის** ისევე არ სურს სადავეების ხელიდან გაშვება, როგორც „მილანის" ვიცე-პრეზიდენტ **ადრიანო გალიანის**. აბა, რომელი თქვენგანი იტყვის, ვინ არის „მილანის" სპორტული დირექტორი? იცით კი, რომ ასეთი კაცი საერთოდ არსებობს და მას **არიედო ბრაიდა** ჰქვია? შედარებით განსხვავებული და უფრო ჯანსაღი ვითარებაა „იუვენტუსში" - მას მერე, რაც **ლუჩანო მოჯი** დამთავრდა. პრეზიდენტი **ჯოვანი კობოლი ჯილი** თავისუფლად ამუშავებს როგორც **ბლანს** ისე **ალესიო სეკოს**, რომლებიც, თავის მხრივ, თითქმის ყველაფერს მთავარ მწვრთნელ **კლაუდიო რანიერის** უთანხმებენ.

„ლიონში" ძალაუფლება **ჟან-მიშელ აულას** ხელშია, „მარსელში" - **პაპე დიუფისა**, მადრიდის „რეალში" **რამონ კალდერონი** ყველაფერს თვითონ აკონტროლებს, „ბარსელონაში" ბოსი **ხუან ლაპორტაა**...

გერმანიაში მწვრთნელების პოზიციები მხოლოდ „ვოლფსბურგსა" და „ჰოფენჰაიმში" როდია ძალიან მყარი. რაც დრო გადის, მიუნხენის „ბაიერნში" **იურგენ კლინსმანს** უფრო და უფრო მეტ ძალაუფლებას აძლევენ. დორტმუნდის „ბორუსიაში" ლამის უკვე ყველაფერი ისე ხდება, როგორც **იურგენ კლოპი** იტყვის და უკვე საკითხავია, რაღაში სჭირდება ამ გუნდს სპორტული დირექტორი **მიხაელ ცორკი**. ბერლინის „ჰერტაში" **ლუსიენ ფავრის** პოზიციები უფრო და უფრო გამყარდა, „კიოლნში" კი **კრისტოფ დაუმია** ბოსი. მართალია, ამ მწვრთნელებს არ აქვთ ისეთი ძალაუფლება, როგორიც მაგათს და რანგნიკს, მაგრამ მათი შესაძლებლობები, მართონ გუნდი თავის გემოზე, გაცილებით დიდია, ვიდრე სხვა ქვეყნების კლუბებში, თუნდაც იმ კლუბებისა, რომლებიც ზემოთ ჩამოვთვალეთ.

სამაგიეროდ, კვლავინდებურად „ძველებური" სქემების მიხედვით მუშაობენ „შალკეში", „ვერდერში", „ჰამბურგში", „ლევერკუზენსა" და „შტუტგარტში". იგივე ვითარებაა სუსტ გუნდებშიც: „არმინია", „კარლსრუე", „კოტბუსი", „ბოხუმი". ამ კლუბებში მწვრთნელს სრული ძალაუფლება არ აქვს და ის ბოსის წინაშეა პასუხისმგებელი. „ვერდერის" მწვრთნელმა **თომას შააფმა კლაუს ალოფსს** უნდა აბაროს ანგარიში, მასთან საერთო ენა უნდა გამონახოს და ცხადია, იძულებულია, ბევრ რამეზე დათანხმდეს მხოლოდ იმის გამო, რომ შეფთან აქვს საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა მან მწვრთნელი აითვალწუნოს და მერე ეს უკანასკნელი უმუშევარი დარჩება. „შალკეში" მწვრთნელი **ფრედ რუტენი** მენეჯერი **ანდრეას მიულერის** ქვეშევრდომია, „ლევერკუზენში" **ბრუნო ლაბადია რუდი ფიოლერისა** და ა.შ.

აგერ, „შტუტგარტის" მენეჯერ **ჰორსტ ჰელდტს** მოეპრიანა და მთავარი მწვრთნელი **არმინ ფეე** პოსტიდან გააგდო - არადა, ეს ის მწვრთნელია, რომელმაც ორი წლის წინ „შტუტგარტი" სენსაციურად გააჩემპიონა და თუ მას მერე შვაბებს ჩავარდნა დაეწყოთ, პირველ რიგში, მენეჯერის არასწორი პოლიტიკის გამო, რომელიც ფეეს არ უჯერებდა. „შალკეში" მიულერმა ჯერ რანგნიკი გაათავისუფლა და დანიშნა **მირკო სლომკა**, რის შემდეგაც გუნდი უფრო უარეს შედეგებს აჩვენებდა, მერე კი სლომკა გაათავისუფლა და დანიშნა რუტენი და „შალკეს" შედეგები კიდევ უფრო გაუარესდა, ვიდრე სლომკას დროს იყო. ამასთან, მიულერმა იყიდა ფეხბურთელები (მწვრთნელს არაფერს ეკითხებოდა), რომლებმაც ვერ გაამართლეს...

*„მენეჯერის, სპორტული დირექტორისა და მწვრთნელის ტრიო მხოლოდ იმ შემთხვევაში ამართლებს, როდესაც მათ შორის არ არის გაუგებრობები, ისინი ერთმანეთს უსმენენ და უჯერებენ. თუ მენეჯერი მწვრთნელის თხოვნებს და მოსაზრებებს არ გაითვალისწინებს, გუნდი წარუმატებლობისთვისაა განწირული. მე ზუსტად ვიცი, რომ მირკო სლომკას არაფერში სჭირდებოდა არც გროსმიულერი, არც ზე რობერტო და არც სანჩესი. შესაძლოა, სხვა მწვრთნელის ხელში მათ თავიანთი შესაძლებლობები გამოევლინათ, მაგრამ ფაქტია, რომ სლომკას ხელში ვერ გაამართლეს. ხოლო ის, რომ ამ სამეულს ვერც რუტენმა ვერ გაუგო, უკვე იმაზე მეტყველებს, რომ მიულერი შეცდა. მენეჯერმა ყოველთვის უნდა გაითვალისწინოს მწვრთნელის რჩევა-მოსაზრებები,"* - აცხადებს „შალკეს" ყოფილი ბოსი **რუდი ასაუერი**, რომლის დროსაც გელზენკირხენულ კლუბს საუკეთესო შედეგები ჰქონდა.

*„სხვა გუნდებში მე ვერ ვავლენდი ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმს, რადგან ბოსებს განსხვავებული აზრი ჰქონდათ,"* - იხსენებს მაგათი და „შტუტგარტთან" ერთად „ბაიერნსაც" გულისხმობს, - *„მე ვეთანხმები იმ მოსაზრებას, რომ მოდელი, რომლის მიხედვითაც გუნდის მთავარი მწვრთნელი მენეჯერიცაა და სპორტული დირექტორიც, ძალიან რთული შესასრულებელია და ამას ყველა მწვრთნელი ვერ მოახერხებს. თანაც, ამდენი საქმის შეთავსება მეტ ენერგიასაც მოითხოვს. ჰო, ეს ძალიან ძნელია, მაგრამ თუ მწვრთნელს შეუძლია, მაშინ სწორი მიმართულებაა. მე მოვითხოვე ძალაუფლება, რაც მომცეს კიდეც და ამისათვის მადლობელი ვარ. შედეგიც სახეზეა: გუნდი, რომელიც წინა სეზონში გავარდნას ძლივს გადაურჩა, პირველსავე წელს უეფას თასზე გავიყვანე, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ გაისად უკვე გერმანიის ჩემპიონები გავხდებით."*

ჰო, მაგათი სუპერმწვრთნელია და არა სუპერმენი...

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ბაიერნი



იურგენ კლინსმანი ლენდონ დონოვანს აქებს

# დონოვანი კლოზეს ამოაგდებს?

## კლინსის საყვარელი ამერიკელი აღარ ხუმრობს!

თუკი ეს ფეხბურთელი მართლაც ისე ითამაშებს, როგორც მასზე „ბაიერნის" მთავარი მწვრთნელი **იურგენ კლინსმანი** საუბრობს, მაშინ „ბაიერნს" ნამდვილი რაკეტა შეუძენია! თამამად შეიძლება ითქვას, რომ 26 წლის ამერიკელი ფეხბურთელი **ლენდონ დონოვანი** კლინსის ახალი „სიყვარულია". „ლოს ანჯელეს გალაქსიდან" არენდით აყვანილმა მოთამაშემ, რომელიც რეკორდმაისტერში 15 მარტამდე ისპარეზებს, ტესტ-მატჩებში საკმაოდ კარგი შთაბეჭდილება დატოვა და გოლიც გაიტანა. კლინსმანი: *„ლენდონს ძალიან ეფექტური გოლი გამოუვიდა. ზოგადად, ის შესანიშნავად გამოიყურება."*

დონოვანმა ჯერ კიდევ მანამდე დაჩაგრა **ლუკას პოდოლსკი**, სანამ „ბაიერნში" პირველ თამაშს ჩაატარებდა. კლინსმანმა მას გუნდის მესამე თავდამსხმელი უწოდა **ლუკა ტონისა** და **მიროსლავ კლოზეს** შემდეგ. აღსანიშნავია, რომ კლოზე საკმაოდ ცუდ ფორმაშია და თუ ტენდენციას გავითვალისწინებთ, მიროს ნერვიულობა მოუწევს! ჩვენი გერმანელი კოლეგების აზრით, გამორიცხული არც ისაა, რომ დონოვანმა სასტარტო შემადგენლობიდან კლოზე ამოაგდოს!

უნდა ითქვას, რომ დონოვანმა აქამდე უკვე ორჯერ სცადა ბუნდესლიგაში ფეხის მოკიდება, მაგრამ იმედები ვერც ერთხელ ვერ გაამართლა - როგორც იცით, ის „ლევერკუზენის" საკუთრება იყო. თუმცა აშშ-ში ის ხუთჯერ დაასახელეს წლის საუკეთესო ფეხბურთელად. ეროვნულ ნაკრებში კი სულაც 105 თამაში აქვს ჩატარებული.

*„დონოვანი ძალიან მომწონს. ფეხბურთელებს მალე დაუმეგობრდა, ძალიან მონდომებულია და ვარჯიშებზე თავს არ ზოგავს. ვფიქრობ, მას აქვს შანსი, „ბაიერნს" იმდენად გაუშინაურდეს, რომ ჩვენ ის გუნდში დავტოვოთ,"* - აცხადებს კლინსმანი. თვითონ ფეხბურთელი კი რეგულარულად იმეორებს, რომ ამ შანსს ხელიდან არ გაუშვებს. თანაც, ის მწვრთნელის მხარდაჭერასა და თანადგომას გრძნობს. ეს კი ფეხბურთელისთვის ყველაზე მთავარია...

თმის გადანერგვის კლინიკა
«თალიზი»
თმის გადანერგვის პირველი სპეციალიზებული კლინიკა ამიერკავკასიაში
თმის აღდგენითი ქირურგიის საერთაშორისო საზოგადოების -ISHRS- წევრი

მრავალწლიანი გამოცდილება, ხარისხი, გარანტირებული შედეგები
უახლესი ამერიკული მეთოდები. მხოლოდ ჩვენთან!
ფოლიკულური გაერთიანებების მასშტაბური ტრანსპლანტაციები, სტერეომიკროსკოპული ტექნოლოგია, FOX-პროცედურები, წარბებისა და წამწამების გადანერგვა
თმის გადანერგვა ხორციელდება 2-3 საათში უმტკივნეულოდ
გადანერგილი თმა ბუნებრივად იზრდება და არ ცვივა.
კონსულტაციები უფასოა და ანონიმური.
მისამართი: ქ. თბილისი, ტაშკენტის ქ. №27
ტელ.: 25-37-39; 37-50-89; 899-53-07-10 www.talizi.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკითხავი

# როგორი ფეხბურთი გვინდა?

## რუმინული კონსერვებითა და ჩეხური ტკბილეულობით გაზავებული ხარისხი

შოტლანდიის მრავალგზის ჩემპიონის, „გლაზგო რეინჯერსის“ მთავარმა მწვრთნელმა შარშან ერთ-ერთ გაზეთის კორესპონდენტთან საუბრისას საინტერესო ფრაზა თქვა. საუბარი ეხებოდა ტიტულოვანი გუნდის მომავალს. **უოლტერ სმიტის** განცხადებით, „რეინჯერსის“ ხსნა მხოლოდ მულტინაციონალურ ტურნირს შეუძლია, მაგრამ განსხვავებული ფორმატით, ვიდრე ჩემპიონთა ლიგაა, რადგან ეს უკანასკნელი არსებული ფორმატით ბოროტება და სხვა არაფერიო.

რატომ არის ლიგის გათამაშება დამღუპველი? იმიტომ, რომ იქ გუნდებს შორის როლები დიდი ხანია ისევეა გადანაწილებული, როგორც შოტლანდიის ჩემპიონატში. სმიტის აზრით, უეფა ის ორგანიზაციაა, რომელმაც მსგავს „ტოტალურ უსამართლობას“ ბოლოს უნდა მოუღოს. ძნელია, პატივცემულ სპეციალისტს თავიდან ბოლომდე დაეთანხმო, მაგრამ არის მის სიტყვებში ჭეშმარიტების მცირე მარცვალიც. მოდით, ვცადოთ, იქნებ უოლტერ სმიტის სიტყვებში მეტი სინათლე შევიტანოთ. მით უფრო, რომ შოტლანდიელი არ არის არც პირველი და არც უკანასკნელი, ვინც ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მსგავს იდეებს აფრქვევს. ევროპულ პრესაში აქა-იქ ჩნდება ხოლმე მოსაზრებები, რომელიც შინაარსით მეტნაკლებად ახლოს დგას სმიტის მოსაზრებებთან.

ხუთი წლის წინ უეფამ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც გაუქმდა უეფას ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპი. მიზეზი მარტივი იყო: დატვირთვა, რომელიც სუპერკლუბების ფეხბურთელებზე მოდიოდა, აუტანელი გახდა. რატომღაც დღეს ბევრმა დაივიწყა, რომ როცა უეფა საკუთარ გადაწყვეტილებას ასეთი ჰუმანური მიზეზით ასაბუთებდა, სწორედ სუპერკლუბების ხელმძღვანელებმა (არა ყველამ, მაგრამ უმრავლესობამ) სთხოვეს ევროპული ფეხბურთის მამებს, რომ ფეხბურთელების ჯანმრთელობაზე ზრუნვით თავს ნუ გადაიტვირთავდა. ვარსკვლავებს კლუბების ხელმძღვანელები და მწვრთნელები მიხედავდნენ, უეფას კი ერჩივნა, მეორე ჯგუფური ეტაპი ხელუხლებლად დაეტოვებინა, რადგან ის ტურნირის ყველაზე სანახაობრივ ნაწილს წარმოადგენდა და ფინანსური თვალსაზრისითაც მომგებიანი იყო.

თუმცა ნიონში მაინც ისე გადაწყვიტეს, როგორც სურდათ. ამრიგად ფაბრიკა, რომელიც დედამიწაზე ყველაზე ხარისხიანი ფეხბურთის წარმოებას უწყობდა ხელს, დაიხურა. სამაგიეროდ, დღემდე მოქმედებს პირველი ჯგუფური ეტაპი, რომელშიც როლების წინასწარ გადანაწილებას დამწუხრებული ჩივის უოლტერ სმიტი. განა როლების გადანაწილება არ არის, როცა ლიგის წლევანდელ გათამაშებაში 16-დან 13-მა (!) გუნდმა, როგორც მინიმუმ, ტურით ადრე გაინაღდა ჯგუფიდან გასვლა?

ყველაზე დიდი სენსაცია „პანათინაიკოსის“ მიერ „ვერდერისა“ და „ინტერის“ ჯგუფში პირველი ადგილის დაკავება იყო. გახსოვთ, რამხელა აჟიოტაჟი გამოიწვია ჩემპიონთა ლიგაში ახალი რეგიონების მონაწილეობამ? ლამის ფეხბურთის ტრიუმფად გამოცხადდა ის, რომ ბორისოვის ბატე-მ სენსაცია შემოგვთავაზა. საბოლოო შედეგი? სამი ქულა 18 შესაძლებლიდან. ერთადერთი, რომელმაც წლევანდელ ჩემპიონთა ლიგას ინტრიგა შემატა, **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისი“ იყო - კლუბი რომელიც ქართველმა მწვრთნელმა ცარიელ ადგილას სულ რამდენიმე წელიწადში ააშენა და მოსავალიც მოიწია. მან ბოლო წამებამდე იბრძოლა ფლეი ოფში გასასვლელად და ბოლოს... ჯგუფში მაინც უკანასკნელ ადგილს დასჯერდა.

როგორც ალმოჩნდა, ჩემპიონთა ლიგაში ეთნოგრაფიული კურიოზების ადგილი არ არის. აქ ერთმანეთს ეჯიბრებიან მაღალი ტექნოლოგიები, ყველაზე მძლავრი და ყველაზე მდიდარი საფეხბურთო კორპორაციები. ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში გამონაკლისი შემთხვევები ნაკლებად მოიძებნება. ნამდვილი სენსაცია 2005/06 წლების სეზონში მოხდა, როდესაც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ლილის“, „ბენფიკისა“ და „ვილიარეალის“ კამპანიაში ბოლო ადგილი დაიკავა.

ისევ ისტორიას მივუბრუნდეთ: ჩემპიონთა ლიგის 2004-05 წლების გათამაშებაში მონაწილეობდნენ პრაღის „სპარტა“, ტრონჰეიმის „რუსენბორგი“ და ბრიუსელის „ანდერლეხტი“. ხსენებულმა გუნდებმა მაქსიმალური შესაძლებელი 54 ქულიდან 3 აიღეს და ბურთების ბალანსს აღარ იკითხავთ? გაიტანეს 10 ბურთი და მიიღეს 43 გოლი.

2003/2004 წლების სეზონში მართლა კარგი ლიგა გამოვიდა. ფინალი ალბათ ყველას გახსოვთ: „პორტუ“-“მონაკო“. აღარ გავიხსენებთ იმას, რომ „პორტუს“ **ჟოზე მოურინიო** წვრთნიდა. ქეცბაიასგან განსხვავებით, პორტუგალიელი გენიოსი ცარიელ ადგილზე არ მისულა და შენობას, რომელსაც ის აშენებდა, საძირკველი დიდი ხნის გამაგრებული ჰქონდა. აღარაფერს ვამბობთ „მონაკოზე“, რომელსაც ევროთასებზე თამაშის გამოცდილება უხვად გააჩნია და რომლის რიგებში იმდენ ვარსკვლავს უთამაშია, ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. ასე რომ, ჰაერიდან არც „მონაკო“ მოსულა. გარკვეულწილად, ეს იყო გამოთხოვება ძველ საფეხბურთო წესრიგთან, რომლის ალსასრული ბოსმანის საქმესთან ერთად დაიწყო და 2004 წლის ლიგის ფინალში დასრულდა. მსოფლიომ ახალი ფეხბურთი მიიღო, თუ შეიძლება ითქვას, ყოველდღიური, საყოფაცხოვრებო... ბოლო წლებში მყარად ჩამოყალიბდა 12-14 კლუბისგან შემდგარი საფეხბურთო კორპორაციები, რომლებიც ყოველ წელს მონაწილეობენ ლიგაში და რომელთა არყოფნაც გარკვეულ დისკომფორტს უქმნის ჩვენს მზერას. შარშან ასეთი „ბაიერნი“ იყო, წელს „მილანი“. განა სიმპტომატური არ არის, როცა უკვე 11 წელია ლიგას ისეთი კლუბი იგებს, რომელსაც გათამაშება მინიმუმ ერთხელ მაინც მოგებული რომ აქვს? უკანასკნელი ახალწვეული ხსენებულ კასტაში **ოტმარ ჰიტცფელდის** დორტმუნდის „ბორუსია“ იყო.

ახლა კი მთავარ შეკითხვას მოვადექით: გვაინტერესებს, რატომ ცდილობენ ჩვენს გაცურებას? რატომ არის, რომ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო რაუნდში თამაშების რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე იმავე გათამაშების ბევრად უფრო ხარისხიან (ფლეი ოფს ვგულისხმობთ) ნაწილში? განა საფეხბურთო გურმანებს გვაკმაყოფილებს ასეთი წესრიგი? განა ნორმალურია, როცა ორგანიზაცია, რომელსაც წლიურად მილიარდებთან უხდება შეხება, ჩვენ სოციალისტური იდეოლოგიის ნარჩენებით გვიმასპინძლდება? ეს არის ორგანიზაცია, რომელიც ხელოვნურად ბლოკავს მაღალი ხარისხის პროდუქციის წარმოებას და ამასთან გვამშვიდებს, რომ რუმინული კონსერვები და ჩეხური ტკბილეულობა ძალიან გემრიელია.

ლიგის ფლეი ოფებში მართლა თვალსასეირო სანახაობა გველის - 29 დაუვიწყარი თამაში. კარგია. მაგრამ განა საკმარისია? არა. არ გვჭირდება გაზავებული ხარისხი. ერთი მხრივ, თითქმის ყველაფერი კეთდება, რომ საკლუბო ფეხბურთი უფრო მეტად აღარ განვითარდეს (ჭეშმარიტებაზე პრეტენზია არ გვაქვს, უბრალოდ, ასე მიგვაჩნია) და მეორე მხრივ არაბუნებრივად იზრდება სანაკრებო შესარჩევი ეტაპების მატჩები. 2016 წლის ევროპის ჩემპიონატზე სულაც 24 გუნდი უნდა დაუშვან და ამტკიცებენ, რომ ეს ფეხბურთს წაადგება. განა ვინმეს დააინტერესებს ბოსნია-ნორვეგიის შეხვედრა ევროპის ჩემპიონატზე? განა მაგალითი წინ არ აქვთ? გაიხსენონ, რამდენი მაყურებელი ჰყავდა ავსტრია-ხორვატიის მატჩს ევროპის ბოლო პირველობაზე. ჩვენ უკეთესი საკვები გვინდა. უეფა კი ხარისხის ნაცვლად რაოდენობას გვთავაზობს და სანახაობას აუგემურებს.


ეროვნული ბიბლიოთეკა

2004 წელს ჟოზე მოურინიოს პორტუმ ჩემპიონთა ლიგაში იერარქია დაარღვია და თასი დაისაკუთრა

ჩელსი

# სკოლარის სიყვარულის ბუშტი გაუსკდა

## ჰიონესი: ჩელსი ერთ ევროდ გაიყიდება



ლუიშ ფელიპე სკოლარის უმუშევრად დარჩენა არ აშინებს

ინგლისურ პრესაში ბოლო ხანს გაჩენილმა ხმებმა **ლუიშ ფელიპე სკოლარის** შესაძლო გათავისუფლების შესახებ ბრაზილიელი სპეციალისტი ოდნავადაც ვერ ააღელვა. *„სულაც არ ვნერვიულობ. თუ სამუშაოს დავკარგავ, სხვას შემომთავაზებენ. 25 წელინადია, მწვრთნელად ვმუშაობ და სამსახურის დაკარგვა ამ მაშინებს. მომწონს „ჩელსი“, მომწონს ჩემი საცხოვრებელი სახლში ლონდონში, სკოლა, სადაც ჩემი შვილი სწავლობს, ჩემი სამსახური, აქაური ხალხი, პრესასაც კი პატივს ვცემ. მიყვარს ამ ქალაქში გატარებული ყოველი დღე... მაგრამ თუ სამშობლოში დაბრუნება მომიხდება, იქაც შესანიშნავად ვიგრძნობ თავს. როდესაც ქუვეითში ვცხოვრობდი, ქუვეითი მიყვარდა, სამი ფანტასტიკური წელიწადი გავატარე საუდის არაბეთში. მე საერთოდ ცხოვრება მიყვარს და ყოველივე ამაზე უარის თქმას არ ვაპირებ, იმ შემთხვევაშიც კი, თუ სამსახურიდან გამაგდებენ“,* - განუცხადა ფელიპამ „სანს“.

ამასობაში მსოფლიოში ერთ-ერთმა ყველაზე ავტორიტეტულმა ტოტალიზატორმა „უილიამ ჰილმა“ ფსონების მიღება დაიწყო „ჩელსის“ მომავალი თავკაცის შესახებ. რაც უნდა გასაკვირი იყოს, პირველ ადგილზე დგას არა **რობერტო მანჩინი**, რომლის ფავორიტობაზეც თავს დებს ბრიტანული პრესა, არამედ რუსეთის ნაკრების თავკაცი **გუუს ჰიდინკი**. ჰოლანდიელის ფსონი 5/2-ს შეადგენს, შემდეგ მოდის **მარჩელი ლიპი** - 9/2. ბოლო ადგილზე კი „ალკმაარის“ თავკაცი **ლუის ვან გაალია** - ფსონით 8/1.

„ბაიერნის“ გენერალურ მენეჯერ **ული ჰიონესს** თუ დავუჯერებთ, **რომან აბრამოვიჩმა** „არისტოკრატების“ გაყიდვა უკვე გადაწყვიტა და მისი საბაზრო ფასი სიმბოლურზე სიმბოლურია - 1 ევრო. ჰიონესის მტკიცებით ბოლო წლების ინგლისური პრემიერლიგის ყველაზე მდიდარი და მხარჯველი კლუბი ფინანსური კოლაფსის წინაშეა. საერთოდაც, ჰიონესს მიაჩნია, რომ მალე ინგლისური კლუბების ფინანსური დომინაციის ეპოქა წარსულს ჩაბარდება.

უნაჭარტალა ული ასეთია ტიპაჟია - ფულზე და, არა მხოლოდ საკუთარ ფულზე, ლაპარაკი ზომაზე მეტად უყვარს. მაგალითად აიღეთ რამდენიმე დღის წინანდელი ტირადა „ჰოფენჰაიმის“ მესაკუთრე **დიტმარ ჰოპზე**. „ბაიერნის“ მენეჯერი ამბობდა, მიუხედავად ფინანსური კრიზისისა, ჰოპს უფრო და უფრო მეტი თანხის გამოყოფა მოუწევს კლუბის კეთილდღეობისთვის და თუკი ასე გაგრძელდა, მილიარდერის ჯიბეში მალე რამდენიმე კუპიურაღა დარჩებაო. საინტერესოა, რომ „ჩელსის“ გარდაუვალ ფინანსურ კრახზე ჰიონესზე უფრო ავტორიტეტული ფინანსისტი, „ლევერკუზენის“ ყოფილი გენერალური მენეჯერი, 33 წლის **ილია კენციგიც** ლაპარაკობს.

„ბაიერნის“ 57 წლის მენეჯერი უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ „არისტოკრატთა“ გარდა, სერიოზული პრობლემები ელით სხვა ინგლისურ კლუბებსაც, მაგრამ რაც უნდა მოხდეს, მის მთავარ „მტრად“ ყველა შემთხვევაში სწორედ „ჩელსი“ დარჩება. *„ჩელსი“ მალე ერთ ევროდ გაიყიდება, რადგან მის მესაკუთრე რომან აბრამოვიჩს კლუბის შესანახი ფული აღარ გააჩნია. მან გლობალური კრიზისის წყალობით დაახლოებით 20 მილიარდი ევრო დაკარგა,* - ამტკიცებს ული. - *ხომ გესმით, დღევანდელ მსოფლიოში ძნელია ისეთი ადამიანის პოვნა, რომელიც თავისუფალი ფულის სახით 800-900 მილიონ ევროს გამონახავს და აბრამოვიჩისგან კლუბს იყიდის... გაითვალისწინეთ, რომ პრემიერლიგის ფეხბურთელები ძლიერ დაზარალდნენ ინგლისური გირვანქის კურსის 30-პროცენტიანი ვარდნით. მაგალითად, აიღეთ „ვესტ ჰემი“ – მისი ისლანდიელი მესაკუთრე თითქმის გაკოტრებულია. კლუბი უმძიმეს დღეში იმყოფება. კიდევ ბევრი კლუბი ჩაიძირება. გარწმუნებთ, რომ ეს ჩემი ავადმყოფური ფანტაზია კი არა, გარდაუვალი პროცესია. ხომ ხედავთ, „ლივერპულმა“ უარი თქვა ახალი სტადიონის მშენებლობაზე. ეს მხოლოდ დასაწყისია. ამიერიდან არც ერთი ბანკი მსგავს სიგიჟეს აღარ დააფინანსებს...*

*რაც შეეხება ჩემს კლუბს, კრიზისი ჩვენ ყველაზე ნაკლებად შეგვეხება. თუ რაიმე მოთხოვნილება გაგვიჩნდება, მის დასაკმაყოფილებლად ბანკებში ბოდიალი და კრედიტის აღება არ დაგვჭირდება. ამისთვის ოპტიმალური პირობები და სავსე ჯიბეები გვაქვს. მრჩება შთაბეჭდილება, რომ სულ მალე ინგლისის, იტალიისა და ესპანეთის ჩემპიონატების უპირატესობა ჩვენთან შედარებით თვალსა და ხელს შუა დადნება. ის ფეხბურთელები, რომლებიც კრიზისამდე ხელფასის სახით რამდენიმე მილიონს ითხოვდნენ, ქამრებს მოიჭერენ. ასე რომ, მანძილი სუპერვარსკვლავებსა და დანარჩენ ფეხბურთელებს შორის შემცირდება. ასეთ დროს ბუნდესლიგას შესანიშნავი მიეცემა. განსაკუთრებით კი ჩვენს წამყვან კლუბებს...“*

გვერდი მოამზადა
**შალვა ბიბილაშვილმა**

ჩოგბურთი

# ორნი ავსტრალიის ღია პირველობაზე



ანა ტატიშვილი




მაკა ჩახნაშვილი

მელბურნში იწყება წლის პირველი დიდი სლემის ტურნირი ჩოგბურთში – ავსტრალიის ღია პირველობა. ამ შეჯიბრებაში პირველად მიიღებს მონაწილეობას საქართველოს პირველი ჩოგანი **ანა ტატიშვილი** (158), საკვალიფიკაციო ბადეში მასთან ერთად იქნება **მაკა ჩახნაშვილი** (217). სამწუხაროდ, არ გაუმართლა **სოფიო შაფათავას**, რომელიც სეოკ-ის დაფინანსებით გაემგზავრა ავსტრალიაში, სოფიოს რეიტინგი საკმარისი არ აღმოჩნდა საკვალიფიკაციო ბადეში მოსახვედრად, ამ ბადეში რეიტინგით უკანასკნელი სწორედ მაკა ჩახნაშვილი მოხვდა. 26 წლის ჩახნაშვილს ერთდაერთხელ უთამაშია ავსტრალიის ღია პირველობაზე, 2007 წელს მან საკვალიფიკაციო ბადის პირველ წრეში წააგო რუს **ანასტასია პავლიუჩენკოვასთან** – 5:7, 4:6. მას მეტოქედ ავსტრალიელი **მარია მირკოვიჩი** ერგო. მირკოვიჩი მსოფლიოს 416-ე ჩოგანია, 18 წლის ჩოგბურთელი "უაილდ ქარდის" წყალობით მოხვდა ტურნირზე. დღეს მათი შეხვედრა ნომერ მე-3 კორტზე გაიმართება. მაკა ამ მატჩით ხსნის ახალ სეზონს.

ანა ტატიშვილს ავსტრალიის ღია პირველობაზე დებიუტი დღეს ხორვატ **კაროლინა შპრემთან** მატჩში ექნება. შპრემს ოთხჯერ უთამაშია ამ ტურნირში და ერთხელ მეოთხე რაუნდშიც (2005 წ.) გასულა. 24 წლის შპრემი ამჟამად მსოფლიოს 167-ე ჩოგანია და რეიტინგში ანას ჩამორჩება. მაგრამ იყო დრო, როცა იგი მსოფლიოს მე-17 ჩოგანი იყო. ტატიშვილის და ხორვატის მატჩი 14-ე კორტზე გაიმართება.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი

ინტერვიუ ნინო ელოშვილთან



ნინო ელოშვილი და მისი მეწყვილე ინა ჭკუასელი — ავტორის ფოტო

# ქართულ ხელბურთში ოთხი გოგონა მსაჯობს

**უკვე დიდი ხანია, ეროვნული ჩემპიონატის მატჩებს გოგონები მსაჯობენ. რამდენიმე წლის წინათ იმგვარი სიტუაცია შეიქმნა, რომ მამაკაცი მსაჯები აღარ დაგვრჩა და ხელბურთის ფედერაციამ ამ საქმისთვის ქალების მომზადება დაიწყო. ისინი შეხვედრებს საკმაოდ მაღალ დონეზე უძღვებიან. დღესდღეობით სულ ოთხი მსაჯი გვყავს: ნინო ელოშვილი, ინა ჭკუასელი, ელენე არაბული და თამუნა არჩაია. "ლელო" ერთ-ერთ მათგანს, ნინო ელოშვილს გაესაუბრა.**

**- ნინო, როდის დაინტერესდი ხელბურთით?**

- ეს სპორტი ბავშვობიდანვე მიყვარდა. ვარჯიში რომ დავიწყე, მეექვსე კლასში ვიყავი. საკმაოდ დიდხანს გამოვდიოდი სარბიელზე, გამთამაშებელი ვიყავი, გუნდის კაპიტანი. გაგეცინებათ, მაგრამ თბილისს მხოლოდ ერთი ქალთა გუნდი ჰყავდა და ვაჟების წინააღმდეგ ვთამაშობდით. ვიყავი საქართველოს ნაკრების წევრიც, 2006 წლის აპრილში ბოსნიაში გამართულ "ჩელენჯ ტროფიზე"გამოვდიოდი, სადაც მეოთხე ადგილი დავიკავეთ. სამწუხაროდ, დღეს ქალთა ხელბურთი საერთოდ აღარ არსებობს. სწორედ ამის გამო დავიწყე ნაადრევად მსაჯობა, თორემ კიდევ დიდხანს ვითამაშებდი. სამწუხაროა, რომ გასაქანი არ მოგვეცა, ნამდვილად შეგვეძლო მაღალ დონეზე ასპარეზობა.

**- მსაჯობა როგორ დაიწყე?**

- როცა გოგონებს ხელბურთის თამაშის საშუალება მოგვესპო, გაგვიჩნდა მსაჯობის პერსპექტივა. ლალი გახოკია და ხათუნა მაისურაძე ფეხბურთში წავიდნენ, ოთხნი კი ხელბურთის ერთგულები დავრჩით. სანამ მსაჯობაზე გადავერთვებოდით, ერთი პერიოდი ამ საქმეს მწვრთნელები ასრულებდნენ. უკვე სამი წელია, რაც მსაჯები ვართ.

**- კონკრეტულად რა მომზადება გაიარეთ მსაჯობის დასაწყებად?**

- ისეთი ფორსმაჟორული ვითარება იყო, მსაჯობა მოუმზადებლად დავიწყეთ და ნელ-ნელა ვიძენდით გამოცდილებას. ფედერაცია მაქსიმალურად ცდილობს ჩვენს ხელშეწყობას. 2006 წელს შვედეთში გაგვიშვეს, სადაც ხელბურთის ყოველწლიურ ფესტივალზე ვიმსაჯეთ. იქვე გავუძეხით 18-წლამდე გოგონათა ევროპის ჩემპიონატის შეხვედრებსაც. 2007 წელს ერთი კვირა დავყავით ნორვეგიაში და იქაურ ჩემპიონატიც ვიმსაჯეთ. ჩვენს ფედერაციას ნორვეგიელებთან პარტნიორული ხელშეკრულება აქვს დადებული. თურქეთში ვიმსაჯეთ ამ ქვეყნისა და საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებების თამაში. ბოლოს შვედეთში ვიყავით.

**- საზღვარგარეთ მხოლოდ ქალების თამაშებს მსაჯობდით?**

- დიახ. კაცების მატჩებზე მხოლოდ საქართველოში გვიმსაჯია.

**- იოლად შეეგუე ახალ ამპლუას?**

- თავიდან მქონდა გარკვეული პრობლემები, დღეს უკვე ყველაფერი კარგადაა. ძალიან რთული საქმეა, ჩემი აზრით, ხელბურთელობაზე გაცილებით რთული. მთელი შეხვედრის განმავლობაში კონცენტრირებული უნდა იყო, რომ არაფერი გამოგეპაროს. ეს ძალიან დამღლელია. სულ ორნი ვართ და ეროვნული და ასაკობრივი ჩემპიონატების მატჩების გაძღოლა უდიდეს ენერგიას მოითხოვს. კიდევ ერთი პრობლემა ნერვების მოთოკვაა. ზოგ ხელბურთელსა და მწვრთნელს ელემენტარული კულტურა არა აქვს და ჩემს თავს ყოველთვის ვაიძულებ, რომ წყობილებიდან არ გამოვიდე.

**- თუ გაქვთ იმის პერსპექტივა, რომ მაღალი დონის საერთაშორისო მსაჯებად ჩამოყალიბდეთ?**

- სამწუხაროდ, არა. საჭიროა ინგლისური ენის მაღალ დონეზე ცოდნა, ხელბურთის თეორიის კარგად შესწავლა. ინგლისურს კიდევ მოევლება, დანარჩენი კიდევ უფრო რთული განსახორციელებელია. სხვათა შორის, ხელბურთის წესები ქართულად მე ვთარგმნე, იმედია, მისი გამოცემა მალე მოხერხდება. უნდა ტარდებოდეს მსაჯთა სემინარები, ლექციები, სათამაშო მომენტების განხილვა... ამის საშუალება დღეს ნამდვილად არაა.

**- ანაზღაურების საქმე როგორაა?**

- იმდენად მიზერული გასამრჯელო გვაქვს, დასახელებაც კი არ ღირს. თანაც, თანხის მიღება ყოველთვის გვიგვიანდება. არაა შემოსავლიანი საქმე, ამას მხოლოდ ხელბურთის სიყვარულით ვაკეთებთ.

**- ფეხბურთში გადასვლა არ გიფიქრია? ავად თუ კარგად, იქ ცოტათი მეტს მაინც გადაგიხდიან.**

- არც ესაა გამორიცხული, მაგრამ ხელბურთი ყველაფერს მირჩევნია და ჯერ კიდევ ვიმედოვნებ, რომ ჩემი საქმე დაფასდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

რაგბი

# დაბლ თაჩი ქარიშხალაში

საქართველოს ქვიშის რაგბის ფედერაცია 17-18 იანვარს სპორტულ კომპლექს „ქარიშხალაში" უკონტაქტო რაგბის ანუ „დაბლ თაჩის" ტურნირს მართავს. როგორც ფედერაციის ხელმძღვანელებმა გვაცნობეს, მათ განზრახული ჰქონდათ ზაფხულში ქობულეთში ქვიშის რაგბის ტურნირის გამართვა, მაგრამ ეს პროექტი აგვისტოს ტრაგიკული მოვლენების გამო ჩაიშალა.

ამჯერად საქართველოს ქვიშის რაგბის ფედერაციამ გადაწყვიტა ტურნირი დახურულ დარბაზში მოაწყოს. შეჯიბრებაში მონაწილეობას რვა გუნდი მიიღებს: პირველი არხი, რუსთავი 2, სპორტული პრესის ნაკრები, „ვისოლი", სტუდია ფორმულა, „თბილისი", ქალაქის საფინანსო ზედამხედველობის სამსახური, TBC ბანკი.

ტურნირის მიზანი, რომლის გენერალური სპონსორია კომპანია „იოლი", ხოლო სპონსორები „ბაგრატიონი", „ავსტრიის ავიახაზები" და „რონიკო", რაგბის მასობრიობის გაზრდა და შემდეგი პოპულარიზაციაა. ბოლო ხანს, რაგბის საერთაშორისო საბჭო (IRB) რაგბის ამ ნაირსახეობის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობს. ვინაიდან თამაშში ძირითადად შოუს ელემენტები სჭარბობს, ის საკმაოდ ბევრ ადამიანს იზიდავს, რაგბის აზიარებს, რაც მის აღქმას ხელს უწყობს.

შეჯიბრება ყოველდღე 14 საათზე დაიწყება. გუნდები ორ ხუთწუთიან ტაიმს ითამაშებენ. ტურნირის დასრულების შემდეგ მოეწყობა დახურვის ცერემონიალი და გრანდიოზული ფოიერვერკი.

**ბესიკ ჯანგავაძე**



**71 წლისა გარდაიცვალა ქართული ხელბურთის ოქროს თაობის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, საბჭოთა კავშირის ორგზის ჩემპიონი და ოთხგზის პრიზიორი, საკავშირო უნივერსიადის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი**

**ბორის კოპალეიშვილი**

**საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაცია და ვეტერანი ხელბურთელები თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

**საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი და ტანვარჯიშის ეროვნული ფედერაცია მწუხარებით იუწყებიან, რომ მეუღლესთან ერთად ტრაგიკულად დაიღუპა ქართული სპორტის ღვაწლმოსილი ვეტერანი, სპორტის ოსტატი, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ტანვარჯიშში, სპორტის დამსახურებული მუშაკი, ღირსების მედლის კავალერი**

**თეიმურაზ ასათიანი**

**და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულთა ახლობლებს.**

გამოიწერეთ "ლელო"
და მიიღეთ თქვენთვის სასურველ მისამართზე ფასნამატის გარეშე!
3 თვით - 39 ლარი
6 თვით - 78 ლარი
1 წლით - 156 ლარი
„ელვა ჯი"
www.elva.ge
tel: 38 26 73, 38 26 74
fax: 38 08 63

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი

ქართველი NBA-ში

# ზაზას ორმაგი დუბლი ონილთან ჭიდილში

**ზაზა ფაჩულიასთვის** "ფინიქსთან" მატჩი მრავალმხრივ გამორჩეული იყო. ჯერ ერთი, მან სეზონის მეორე ორმაგი დუბლი მიითვალა (10 ქულა, 11 მოხსნა), მეორე – ზედიზედ მეორე მატჩი დაიწყო სასტარტო შემადგენლობაში და მესამე – ზაზას ძველი ნაცნობის, **შაკილ ონილის** წინააღმდეგ მოუნია თამაშმა.

მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრობით. "ატლანტა ჰოქსმა" ამერიკის დასავლეთში ვოიაჟი "ფინიქს სანსთან" მატჩით დაიწყო და ზედიზედ მეოთხედ დამარცხდა – 102:107. შეხვედრა საინტერესო სანახავი გამოდგა, რაშიც ფინიქსელი გულშემატკივრებიც დაგვეთანხმებიან. პირველი პერიოდი "ფინიქსმა" შაკილ ონილის შემწეობით 31:16 მოიგო. "ატლანტის" მხრიდან კი, ამავე მეოთხედში ზაზა ფაჩულია გამოირჩა, რომელმაც 6 ქულა და 5 მოხსნა ჩაიწერა. მეორე თორმეტწუთეულში ზაზამ შედარებით ცოტა ითამაშა, სამაგიეროდ, მისმა ტანდაბალმა თანაგუნდელებმა იყოჩაღეს და 30:19 იმარჯვეს. მეორე ტაიმი კატა-თაგვობანას მოგაგონებდათ – "ფინიქსი" გაქცევას ცდილობდა, "ატლანტა" წინ არ უშვებდა. საფინალო სირენამდე დაახლოებით 4 წუთით ადრე ზაზამ ბურთი მეტოქის ფარზე მეშვიდედ მოხსნა, თანაგუნდელ **ჯოშ სმიტს** "საგოლე" პასი გაუკეთა და "ჰოქსმა" სხვაობა 3 ქულამდე შეამცირა – 92:95. მომდევნო ორ წუთში მეტისმეტად გააქტიურდა ფინიქსელი შაკილ ონილი, რომლის შეჩერება ზაზას მე-6 ჯარიმად დაუჯდა და მოედანი მატჩის დასრულებამდე 1:49 წუთით ადრე დატოვა. ამ დროს ტაბლოზე საყაიმო ანგარიში ეწერა – 98:98.

დარჩენილ დროში მასპინძელი ონილის დაწყებული საქმე კარგად გააგრძელა **გრანტ ჰილმა** და "მზეებმა" 107:102 გაიმარჯვეს.

შეხვედრის მიმოხილვებში ფინიქსელთა წარმატება მთლიანად ცენტრ შაკილ ონილს დააბრალეს. გამოცდილმა გოლიათმა 26 ქულა და 10 მოხსნა მიითვალა. აქვე იმის თქმაც შეიძლება, რომ შაკს თამაში წაუვიდა და მისთვის უჩვეულოდ, შეტევაში მაღალი პროცენტული სიზუსტით ისროლა. იმას კი ვერ ვიტყვით, რომ "ფინიქსმა" "ატლანტას" ფარქვეშ აშკარად აჯობა – მოხსნების რაოდენობა სტუმრებს უფრო მეტი ჰქონდათ – 45:43.

მხოლოდ სტატისტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, არც ზაზა ფაჩულიას უთამაშია ურიგოდ. მან ხომ მიმდინარე რეგულარულში მეორე ორმაგი დუბლი მიითვალა – 10 ქულა, 11 მოხსნა. ქართველმა ცენტრმა 32 წუთში 9 ორქულიანი ისროლა და 5 მეტოქის კალათაში მოათავსა. პირველი დაბლ-დაბლი ფაჩულიამ დეკემბერში, "დალასთან" მატჩში მიითვალა – 13 ქულა, 12 მოხსნა.

სადღეისო მონაცემებით "ატლანტა ჰოქსს" 22 მოგების წილ უკვე 15 წაგება აქვს და აღმოსავლეთის კონფერენციაში მეხუთე ადგილზეა. მეოთხეადგილოსან "დეტროიტს" 22 მოგება და 14 წაგება უწერია.

მომდევნო მატჩს ზაზას თანაგუნდელები დღეს გამთენიისას გამართავდნენ – "ლოს ანჯელეს კლიპერსს" ესტუმრებოდნენ.

**ფაჩულიას მონაცემი**

32 წუთი: 10 ქულა, 11 მოხსნა, 1 დაფარება, 1 პასი, 1 შეცდომა, 6 ფოლი

| | |
|---|---|
| **I პერიოდი** | |
| 11:16 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 08:48 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:03 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 08:02 | მოხსნა: შეტ-1, დაც-0 |
| 08:02 | ორქულიანი: 2ქ (3:9) |
| 07:08 | ფოლი: 1 |
| 06:53 | მოხსნა: შეტ-1, დაც-2 |
| 06:07 | ორქულიანი: 4ქ (8:9) |
| 04:59 | მოხსნა: შეტ-2, დაც-2 |
| 04:59 | შეცდომა: 1 |
| 02:33 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 02:31 | მოხსნა: შეტ-3, დაც-2 |
| 02:31 | ორქულიანი: 6ქ (14:22) |
| 02:02 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 01:52 | ზაზა სმიტმა შეცვალა |
| **II პერიოდი** | |
| 09:40 | ზაზამ სმიტი შეცვალა |
| 06:25 | მოხსნა: შეტ-3, დაც-3 |
| 05:10 | მოხსნა: შეტ-4, დაც-3 |
| 03:37 | ორქულიანი: 8ქ (35:46) |
| **III პერიოდი** | |
| 10:54 | ფოლი: 2 |
| 07:43 | ფოლი: 3 |
| 06:51 | ფოლი: 4 |
| 06:51 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **IV პერიოდი** | |
| 08:43 | ზაზამ ევანსი შეცვალა |
| 08:25 | დაფარება: 1 (ბარბოსას დაუფარა) |
| 06:58 | მოხსნა: შეტ-5, დაც-3 |
| 06:57 | ორქულიანი: 10ქ (87:88) |
| 06:38 | მოხსნა: შეტ-5, დაც-4 |
| 04:47 | მოხსნა: შეტ-6, დაც-4 |
| 03:54 | მოხსნა: შეტ-7, დაც-4 |
| 03:50 | პასი: 1 (სმიტი 2ქ, 92:95) |
| 03:32 | ფოლი: 5 |
| 01:49 | ფოლი: 6 |
| 01:49 | ზაზა მორისმა შეცვალა |




ქართველები ევროთასებზე. ევროჩელენჯი

# ცინცაძემ კარი გამოიჯახუნა, მარკოიშვილმა გერმანელთა კალათი ჩამოტეხა



მანუჩარ მარკოიშვილი

ევროჩელენჯზე ქართველთა რაოდენობა განახევრდა. ამ ტურნირის პირველ ჯგუფურ ეტაპზე სამ გუნდში საქართველოს ნაკრების ოთხი კალათბურთელი თამაშობდა. ბოლო ტურში ბელგიურ "ოოსტენდესთან" გასვლითი მარცხის (82:92) შემდეგ **გიორგი ცინცაძისა** და **ვიქტორ სანიკიძის** "ტარტუ როკი" G ჯგუფის ფსკერზე აღმოჩნდა და გათამაშებას გამოეთიშა. არადა, გასულ სეზონში ამავე ტურნირის ფინალური ოთხეულის მონაწილე "ტარტუსგან" ასეთ შედეგს ნამდვილად არ ველოდით. ჯგუფური ეტაპი მეორე ადგილზე დაასრულეს **მანუჩარ მარკოიშვილის** "კიევმა" და **ტაირონ ელისის** "კახასოლმა". მათ 27 იანვრიდან მეორე ჯგუფურ ეტაპზე გაცილებით სერიოზული მატჩებიელით. "კიევი" J ჯგუფში იტალიის "ვირტუსთან", თურქეთის "გალათასარაისთან" და გერმანიის "ოლდენბურგთან" ერთად მოხვდა. "კახასოლი" ორ რუსულ კლუბთან გაარკვევს ურთიერთობას – პერმის "ურალ გრეიტთან" და როსტოვის "ლოკომოტივთან". მათ გარდა K ჯგუფში კვიპროსული აელ მოხვდა.

შესავალში მხოლოდ ქართველი ლეგიონერების კლუბებზე ვისაუბრეთ. არ გვითქვამს მთავარი – გიორგი ცინცაძემ და ვიქტორ სანიკიძემ ბელგიურ "ოოსტენდესთან" მატჩში კარი გამოიჯახუნეს. ეს განსაკუთრებით „ბუზე" ითქმის, რომელმაც გასული სეზონის გმირობები გაიხსენა და ბოლო მეოთხედში "როკს" მარტო გაუძლვა. მეოთხე ათწუთეული სწორედ გიორგის ორქულიანით გაიხსნა და მასპინძელთა (ბელგიელთა) უპირატესობა 1 ქულამდე შემცირდა – 65:64. ზუსტად ორ წუთში გიორგიმ კიდევ ერთი ორქულიანი შეასრულა და - 66:67. აქ ტარტუელებს სუნთქვა შეეკრათ და მეტოქეს 14:0 სპურტის მოწყობის უფლება მისცეს. თავადაც მიხვდებით, რომ სირენამდე 4:39 წუთით ადრე 66:81 ჩამორჩენა უკვე მარცხის მომასწავებელი იყო. თუმცა, მშრალი სერია ისევ ცინცაძემ დაასველა – სამქულიანით სხვაობა 12 ქულამდე შეკვეცა. „ბუმ" კიდევ 2-2 ქულა პასი ჩაიწერა, მაგრამ "ტარტუ" "ოოსტენდეს" ველარ დაეწია.

სხვათა შორის, ეს გიორგი ცინცაძის ყველაზე ეფექტური მატჩი იყო ევროჩელენჯზე: 20 ქულა (5-დან 3 ორქულიანი, 6-დან 3 სამიანი, 5-დან 5 საჯარიმო), 6 პასი, 3 მოხსნა. აქამდე გიორგის რეკორდი 18 ქულას შეადგენდა. ეს მაჩვენებელი მან ტურნირის გახსნით მატჩში ავსტრიულ "სვანსთან" დააფიქსირა.

მარგი ქმედების კოეფიციენტის მიხედვით ვიქტორ სანიკიძე ერთ-ერთი საუკეთესო ტარტუელი იყო. მან 10 წუთში 10 ქულა (3-დან 2 ორქულიანი, 3-დან 2 სამიანი) და 2 მოხსნა მიითვალა.

ამიერიდან "ტარტუ როკი" მეტ დროს დაუთმობს ბალტიის ლიგასა და ესტონეთის ჩემპიონატს.

**ოოსტენდე (ბელ)–როკი (ესტ) 92:82**

გიორგი ცინცაძე: 32 წუთი, 20 ქულა, 3 მოხსნა, 6 პასი

ვიქტორ სანიკიძე: 10 წუთი, 10 ქულა, 2 მოხსნა

**G ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ვირტუსი (იტა) | 6 | 5 | 1 | 11 |
| 2. სამარა (რუს) | 6 | 3 | 3 | 9 |
| 3. ოოსტენდე (ბელ) | 6 | 2 | 4 | 8 |
| 4. ტარტუ (ესტ) | 6 | 2 | 4 | 8 |

მართალია, მანუჩარ მარკოიშვილი ქულათა მაჩვენებლით ცინცაძეს 3-ით ჩამორჩა, მაგრამ "სკაილაინერსთან" გამართული მატჩი ჯგუფურ ეტაპზე მისთვის ერთ-ერთი საუკეთესო იყო. მან 23 წუთში 7-დან 6 ორქულიანი, 3-დან 1 სამიანი და 3-დან 2 საჯარიმო გამოიყენა, 17 ქულა მიითვალა და **ბაირამოვიჩთან** ერთად (მანაც 17 ქულას მოუყარა თავი) მატჩის სნაიპერი გახდა. სხვათა შორის 10-ქულიანი ბარიერი მხოლოდ ამ ორმა კალათბურთელმა გადალახა (ორივე მხრიდან).

მატჩის მსვლელობაზე მისი საბოლოო ანგარიშიც ამომწურავად მეტყველებს – 78:46. საინტერესო იყო მესამე პერიოდის მიმოხილვა "კიევის" ოფიციალურ ვებგვერდზე: *"მესამე ათწუთეულის გმირად მანუჩარ მარკოიშვილი იქცა, რომელიც მეტისმეტად ეფექტური იყო: ორი ალეიუპი შესანიშნავად შეასრულა მეორე ზემოდან გდების შემდეგ მეტოქის კალათის მიმართულებით ჯარიმაც ისროლა."*

შეხვედრის დასრულების შემდეგ "კიევის" მთავარმა მწვრთნელმა **საშა ობრადოვიჩმა** პრესკონფერენციაზე მანუჩარი იახლა. აი, რა თქვა ქართველმა ფორვარდმა: *"ჩემი გუნდის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მეტოქის შეჩერების გზა პირველივე წუთებიდან ვიპოვეთ და კარგად გამოვიყურებოდით როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში. აღებული ტემპი უნდა შევინარჩუნოთ, რადგან მომდევნო ეტაპზე კიდევ უფრო რთული შეხვედრები გველის."*

**კიევი (უკრ)–სკაილაინ. (გერ) 78:46**

მანუჩარ მარკოიშვილი: 23 წუთი, 17 ქულა, 1 მოხსნა, 2 პასი, 1 დაფარება

**H ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ტრიუმფი (რუს) | 6 | 4 | 2 | 10 |
| 2. კიევი (უკრ) | 6 | 4 | 2 | 10 |
| 3. სკაილაინ. (გერ) | 6 | 2 | 4 | 8 |
| 4. კალევი (ესტ) | 6 | 2 | 4 | 8 |




ტაირონ ელისი

ტაირონ ელისზე იმავეს ვერ ვიტყვით, რასაც მარკოიშვილზე და ცინცაძეზე, თუმცა თამამად შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ეს იყო "კახასოლის" საუკეთესო მატჩი მიმდინარე სეზონში. ამ გამარჯვებით სევილიელებმა მეორე ეტაპის საგზური მოიპოვეს.

**კახასოლი (ესპ)–ვენტსპ. (ლატ) 98:51**

ტაირონ ელისი: 10 წუთი, 7 ქულა, 1 მოხსნა, 1 ჩაჭრა

**A ჯგუფი**

| | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ლიეჟი (ბელ) | 6 | 6 | 0 | 12 |
| 2. კახასოლი (ესპ) | 6 | 3 | 3 | 9 |
| 3. ვენტსპილსი (ლატ) | 6 | 2 | 4 | 8 |
| 4. ენერგა (პოლ) | 6 | 1 | 5 | 7 |

გვერდი მოამზადა
ვაჟა **სიმონიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპიზოდები ჩემპიონის ცხოვრებიდან

# დაფნის გვირგვინი ცოლის დაკვეთით

**„სომეხმა გულშემატკივრებმა მამას ახალი მანქანის გასაღები აჩუქეს, ქართველებმა კი - სურათი, რომელიც ახლა ნებისმიერ მერსედესზე ძვირი ღირს“, - ეს სიტყვები ჭადრაკში მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონის ტიგრან პეტროსიანის გერს - მიხაილს ეკუთვნის. მასთან ინტერვიუ „სობიტიაში“ გამოქვეყნდა და ოდნავ შემცირებული ვარიანტის ქართველი მკითხველისთვის გაცნობა, ვფიქრობთ, არ იქნებოდა ურიგო. მით უფრო, რომ ტიგრან პეტროსიანს წლეულს, 17 ივნისს, დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდებოდა.**


ტიგრან პეტროსიანი მეუღლესთან და შვილებთან

შეგახსენებთ, რომ ტიგრანი თბილისში დაიბადა. მისი პირველი მწვრთნელი გახლდათ **არჩილ ებრალიძე**. საბჭოთა კავშირის ოთხგზის ჩემპიონმა და მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადის ცხრაგზის გამარჯვებულმა, 1963 წელს მატჩი მოუგო **მიხაილ ბოტვინიკს** და მსოფლიოს მეცხრე ჩემპიონი გახდა. 1966 წელს მან **ბორის სპასკის** დამარცხებით კიდევ სამი წლით შეინარჩუნა ტიტული, თუმცა შემდეგ მასვე დანებდა. არადა, კიდევ 11 წელიწადი იბრძოდა ჩემპიონის გვირგვინისთვის და ყოველთვის პრეტენდენტთა შორის იყო. ფილოსოფიის მეცნიერებათა კანდიდატი 1984 წლის 13 აგვისტოს მოსკოვში გარდაიცვალა.

თანამედროვეთა გადმოცემით, ტიგრან პეტროსიანი ჭადრაკის ისტორიაში ერთ-ერთი საიდუმლოებით მოცული პიროვნება გახლდათ: თვით მეგობრებისთვისაც ამოუხსნელი დარჩა, პეტროსიანი, რომელსაც ფრთხილი თამაშის სტილის გამო ხშირად აკრიტიკებდნენ, როგორ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი და 6 წლის განმავლობაში ტიტულის შენარჩუნება როგორ შეძლო.

ბოროტი ენები ამბობდნენ, რომ ამ საქმეში დიდი როლი მისმა მეუღლემ **რონამ** ითამაშა. გასული საუკუნის სამოც-სამოცდაათიან წლებში მაშინდელი საბჭოთა ბომონდის უმაღლეს ეშელონებთან რონას კავშირებზე ლეგენდები დადიოდა. ტიგრან პეტროსიანს, რომელსაც მშობლები ადრე დაელუპა და ლუკმაპურის საშოვნელად მეეზოვედ მუშაობდა თბილისის ქუჩებში, არაერთხელ აღუნიშნავს, რომ მეუღლის დაუხმარებლად ცხოვრებაში ვერასდროს ვერაფერს მიაღწევდა.

„რონას ქალიშვილობის გვარია ავინეზერი, - წერს ჰოლანდიაში მცხოვრები დიდოსტატი **გენადი სოსონკო**. - იგი მეუღლეზე ოთხი წლით უფროსი იყო. ტიგრანი მისთვის მეორე ქმარი გახლდათ. პირველი მეუღლისგან ჰყავდა ვაჟი მიშა, რომელიც ტიგრანს საკუთარ შვილ ვართანზე არანაკლებ უყვარდა.

თავის დროზე რონა მოსწონდა ოდესელ მოჭადრაკე **ეფიმ გელერსაც**. ქალმა არჩევანი დიდხანს ვერ გააკეთა. 1952 წელს, როცა ორივე დიდოსტატი შვედეთს საერთაშორისო ტურნირზე გაემგზავრა, რონას ჰკითხეს, უპირატესობას ვის აძლევო. მისი პასუხი მოკლე იყო: საზონათშორისო გვიჩვენებსო. იმ შეჯიბრებაზე პეტროსიანმა გელერს ნახევარი ქულით აჯობა...“

**ბოლო შეხვედრა რომ მოვიგო, ბოტვინიკთან მომიწევს თამაში. ღმერთმა დამიფაროს და, მასაც თუ დავამარცხებ და მსოფლიოს ჩემპიონი გავხდები, ეს უამრავ ხათაბალას გადამკიდებს... დედამ აიძულა - თუნდაც დაუზავდი მეტოქეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ წააგო, მერე კი ვნახოთო.**

„სობიტიას“ ჟურნალისტს მიხაილ პეტროსიანმა გაუმხილა, რომ მამას სრულებით არ უნდოდა მსოფლიოს ჩემპიონობა - დედამ დააძალაო.

- 1962 წელს ტროპიკულ კუნძულ კიურასაოზე, სადაც პრეტენდენტთა ტურნირი მიმდინარეობდა, მამას არ უნდოდა ბოლო პარტიის თამაში, - იხსენებს მიხაილი. - შინ დარეკა და დედას უთხრა: ბოლო შეხვედრა რომ მოვიგო, ბოტვინიკთან მომიწევს თამაში. ღმერთმა დამიფაროს და, მასაც თუ დავამარცხებ და მსოფლიოს ჩემპიონი გავხდები, ეს უამრავ ხათაბალას გადამკიდებს... დედამ აიძულა - თუნდაც დაუზავდი მეტოქეს, მაგრამ არავითარ შემთხვევაში არ წააგო, მერე კი ვნახოთო.

მამა მართლაც ასე მოიქცა. მისმა მთავარმა კონკურენტმა ესტონელმა დიდოსტატმა **პაულ კერესმა**, რომელიც ყოველთვის სიმშვიდით გამოირჩეოდა, გადამწყვეტ მომენტში ნერვები ვერ მოთოკა, შემთხვევით ხელი ჰკრა მეტოქის ფიგურებს და ჩამოაგდო. სანამ მათ გაასწორებდა, ალამი ჩამოუვარდა...

ვინც საჭადრაკო ცხოვრებით არის დაინტერესებული, ეცოდინება, რომ **ანატოლი კარპოვმა** ერთხელ პრესას აუწყა - რონამ სთხოვა **ბელა კორჩნოის** მეუღლეზე ზემოქმედება. ამის შედეგი იყო, **ვიქტორ კორჩნოიმ** 1962 წლის პრეტენდენტთა ტურნირის ბოლო პარტია ტიგრან პეტროსიანთან სპეციალურად რომ წააგოო.

დაბეჯითებით ვერავინ იტყვის, რომ ეს მართლაც ასე მოხდა, თუმცა არც უგულებელყოფა შეიძლება. მით უმეტეს, რომ პეტროსიანი და კორჩნოი ოჯახებით მეგობრობდნენ. მიხაილ პეტროსიანმა თაფლობის თვე ლენინგრადში სწორედ ვიქტორის სახლში გაატარა. 1976 წელს, როცა კორჩნოი საბჭოთა კავშირიდან გაიქცა, მისი შვილი იგორი კი ციხეში ჩასვეს, რადგან სამხედრო სამსახურზე უარი თქვა, მარტო დარჩენილ ბელას რონა ეხმარებოდა.

**- პრეტენდენტთა ტურნირის მოგების შემდეგ ტიგრან პეტროსიანს მატჩი ბოტვინიკთან უნდა ეთამაშა. როგორი იყო მათი ურთიერთობა?** - ჰკითხა კორესპონდენტმა მიხაილს.

- თავიდან - შესანიშნავი. მიხაილ მოისეევიჩი ყოველმხრივ ეხმარებოდა მამას, რადგან ვერასდროს წარმოიდგენდა, რომ ისინი ჩემპიონის ტიტულისთვის ოდესმე დაუპირისპირდებოდნენ ერთმანეთს. ბოტვინიკს სათამაშო განწყობისთვის მეტოქესთან აუცილებლად ცუდი ურთიერთობა სჭირდებოდა, ამიტომ მსოფლიოს ჩემპიონი ცდილობდა, წვრილმანებზეც კი გაებრაზებინა მამა. მიზანსაც აღწევდა.

**- მაინც რაში გამოიხატებოდა ეს „წვრილმანი“?**

- აი, თუნდაც ის, რომ რამდენიმე თვის განმავლობაში ვერ მოილაპარაკეს მატჩის დაწყების თარიღზე. ბოტვინიკს თებერვალში სურდა თამაში, მამას - მაისში, რადგან ზამთარში მას ყურები სტკიოდა. რომ ვერ მორიგდნენ, მათ დავას ფიდეს პრეზიდენტმა თავად დაუსვა წერტილი.

**- ბევრი ამბობს, რომ პეტროსიანს საჩემპიონო თამაშის სტილი არ ჰქონდა, რადგან ცოტას იგებდა, უფრო ხშირად მეტოქეებს უზავდებოდაო...**

- მაგრამ მამა ხომ, ფაქტობრივად, არ მარცხდებოდა, - წყენა დაეტყო ხმაში ტიგრანის გერს. - მართალია, ბოტვინიკმა პირველი პარტია მოიგო, თუმცა მერე ხუთჯერ დანებდა მამას, არადა, თავიდან მას საკუთარი შესაძლებლობების არ სჯეროდა. მატჩის მსვლელობისას შეამჩნია, რომ ბოტვინიკს ყოველდღიურად თერმოსი მოჰქონდა შავი ყავით. მამამაც იყიდა მსგავსი თერმოსი, ოღონდ ოდნავ მცირე ზომისა. მიზეზი უბრალოდ ახსნა - „ყველაფერი შედარებითია: მე პრეტენდენტი ვარ, ის კი ჩემპიონია.“

**- ბოტვინიკი უკმაყოფილოდ იგონებს, რომ მატჩის მსვლელობისას, როცა პეტროსიანი ესტრადის თეატრის კიბეზე ადიოდა, სომხები ფეხქვეშ ეჩმიაძინის წმინდა მიწას უყრიდნენო. მართლაც, ასე სცემდნენ თაყვანს მამათქვენს თანამემამულეები?**

- აბა, როგორ გგონიათ? შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, ვინ იქნებოდა მაშინ პატარა ერისთვის ჭადრაკში მსოფლიოს ჩემპიონი?! სახელმწიფო კი ამას მაინცდამაინც დიდ ყურადღებას არ აქცევდა: მამას ორი ათასი მანეთი მისცეს, ბოტვინიკს - 1200. მთავარი ის არის, რომ სომეხმა გულშემატკივრებმა მატჩის საზეიმო დახურვისას მანქანის გასაღები აჩუქეს, ქართველებმა კი სომეხი კლასიკოსის - მარტიროს სარიანის სურათი, რომელიც დღეს ნებისმიერ მერსედესზე ძვირი ღირს.

ცნობილი დიდოსტატი **მარკ ტაიმანოვი** იხსენებს: „ჩემპიონობამდე ერთი წლით ადრე პეტროსიანმა ერევანში მიგვიწვია. იმ საღამოს ოპერის თეატრში დაგვპატიჟეს. ის იყო მუსიკოსებმა შესავალი დაუკრეს და ფარდა აიწია, რომ უცებ ყველაფერი მიყუჩდა და დარბაზში შუქი აინთო. თურმე ტიგრანს მეუღლესთან ერთად დაუგვიანია. მის დანახვაზე მთელი დარბაზი ფეხზე წამოდგა და ტაშის გრიალით მიეგება კერპს. მერე ოპერა თავიდან დაიწყო.

რამდენიმე დღის შემდეგ ტიგრანმა ქალაქგარეთ, სკოლის მასწავლებლის სახლში ვახშამზე მისვლა მთხოვა. ტაქსით წამოდი და ქუჩაში დაგხვდებიო, დამირეკა. დანიშნულების ადგილას რომ ჩავედი, მძღოლს ფული გავუწოდე. იუარა: ვხედავ, რომ ტიგრან პეტროსიანი გელოდებათ. უდიდესი მოჭადრაკის მეგობრებისგან კი ფულს არ ვილებო, მითხრა.“

შვილის თქმით, ტიგრან ვართანის ძეს დიდად არ უდარდია ტიტულის დაკარგვა - სპასკისთან მატჩის დამთავრების შემდეგ პეტროსიანებს შინ სუფრა გაუშლიათ და მეგობრებთან ერთად აღუნიშნავთ... ჩემპიონობასთან დამშვიდობება.

**ვაჟა დანელია**


1963 წელი. საჩემპიონო მატჩი მიხეილ ბოტვინიკთან

სუმო

# ტოჩინოშინი წინ მიიწევს

გუშინ, ტოკიოს სუმოს მექაში, „კოკუგიკანში“ სამმა ქართველმა იჭიდავა, აქედან ორი გამარჯვებული დარჩა. არ გაუმართლდა მხოლოდ **კოკაის (ლევან ცაგურიას)**, ყველაზე მაღალი რანგის ქართველს, რომელსაც დონის შესაბამისად ძლიერ მეტოქეებთან უწევს პაექრობა. კოკაი დასავლეთის მე-4 მაეგაშირაა, მისი მეტოქე სუმოს იერარქიაში ნახევარი საფეხურით წინ მდგომი, აღმოსავლეთის მე-4 მაეგაშირა **ვაკანოსატო** იყო. იაპონელმა სუკუინაგეს ილეთით წააქცია ჩვენებური და იანვრის ბაშოზე პირველი გამარჯვება იზეიმა. ლევანს 1-3 ბალანსი აქვს, დღეს მისი მეტოქე მე-6 მაეგაშირა **ბუშუიამაა**. ბუშუიამა 32 წლისაა, მიუხედავად ამისა ელიტისთვის ძალზე გამოუცდელია, იგი მეორე ბაშოა, რაც უმაღლეს, მაკუუჩის დივიზიონშია. ბუშუიამამ, კოკაის მსგავსად, ახალი წლის ბაშოზე პირველი ორთაბრძოლა მოიგო, შემდეგ კი ზედიზედ სამი დათმო. კოკაი სულ ორჯერ შეხვდა კარიერაში ბუშუიამას და ორივეჯერ მოუგო. იმედია, ქართველი გოლიათი ამ ტრადიციას არც დღეს დაარღვევს.

**ტოჩინოშინის (ლევან გორგაძე)** მიმართ კი საქებარის მეტი რა გვეთქმის – გუშინ მან ბრწყინვალე ილეთით დოჰიოზე 179 კგ წონის გამოცდილი სუმოისტი, **ივაკიამა** დაანარცხა. სუმოს ფორუმზე, ერთ-ერთმა იაპონელმა ასე შეაფასა მისი გამარჯვება: „ქართველთა მეორე ნომერმა აჩვენა, რომ უდიდესი ღონის პატრონია, მან ბეჰემოტი დაანარცხა“. ლევანს 3-1 ბალანსი აქვს და ლიდერებს კვალში უდგას. დღეს მისი მეტოქე 31 წლის მე-15 მაეგაშირა **ტამანოშიმაა**, ყოფილი სეკივაკე. შარშან ისინი ოთხჯერ შეხვდნენ დოჰიოზე ერთმანეთს, ჩვენებურმა მხოლოდ ერთხელ იმარჯვა.

ბაშოს დაუმარცხებლად ექვსი სუმოისტი ლიდერობს. ორი მონღოლი იოკოძუნა (**ასაშორიუ, ჰაკუჰო**) ჯერაც ბეჭდაუდებელნი არიან, ისევე როგორც - ორი ოძეკი (**კოტოოშუ, ჩიოტაიკაი**). შესანიშნავ ფორმაშია ესტონელი გოლიათი **ბარუტოც**.




მესამე დივიზიონში მეორე ორთაბრძოლა მოიგო **თეიმურაზ ჯუღელმა (გაგამარუ)**, რომელიც მაკუშიტას მე-13 ნომერია. გუშინ მან მე-14 ნომერი **ნაკანო** ოშიდაშით დაამარცხა. გაგამარუს 2-0 ბალანსი აქვს, ორი მოგებაც და ის დადებით ბალანსს (შესაბამისად, წინსვლას რეიტინგში) დაიბევებს. თუმცა მას მეტის მიღწევაც შეუძლია, თუკი 7-0 ბალანსით დაასრულებს ბაშოს მეორე დივიზიონ ძურიოს საგზურს მოიპოვებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**ჰაცუ ბაშო (იანვრის სუპერტურნირი)**

11-25 იანვარი. ტოკიო (იაპონია)

IV დღე. მნიშვნელოვანი ბრძოლები: კოკაი (მ 4)-ვაკანოსატო (მ 4) 0:1 (სუკუინაგე); ტოჩინოშინი (მ 11)-ივაკიამა (მ 11) 1:0 (შიტატენაგე).

სატურნირო მდგომარეობა: 4-0: ასაშორიუ (იოკოძუნა); ჰაკუჰო (იოკოძუნა); ჩიოტაიკაი (ოძეკი); კოტოოშუ (ოძეკი); ბარუტო (სეკივაკე); ტოჩიოძანი (მაეგაშირა 12). ... 3-1 ტოჩინოშინი (მ 11)... 1-3: კოკაი (მ 4).

V დღე: მნიშვნელოვანი წყვილები: კოკაი (მ 4)-ბუშუიამა (მ 6); ტოჩინოშინი (მ 11)-ტამანოშიმა (მ 15).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ჩოგბურთი

# მარტინა ნავრატილოვა: შეამცირეთ სამუშაო საათები!

**ლეგენდარულმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა მარტინა ნავრატილოვამ ჟურნალ Newsweek-ის ფურცლებზე მკვეთრად გააკრიტიკა ჩოგბურთში დღეს მოქმედი კანონები, რაც ხშირ ტრავმიანობასა და შესაბამისად, საჩოგბურთო ვარსკვლავების პენსიაში ნაადრევად გასვლას იწვევს. გთავაზობთ „დიდი სლემის“ ტურნირების 18-გზის ჩემპიონის სტატიის რამდენიმე ფრაგმენტს.**

2008 წელს, ჩოგბურთი სასწრაფო დახმარების მანქანას უფრო ჰგავდა, ვიდრე სპორტს. ავსტრალიის ღია პირველობის გამარჯვებული **მარია შარაპოვა** სეზონის დიდი ნაწილი ტრავმებს ებრძოდა, რის გამოც აგვისტოდან მოყოლებული აღარ გასულა კორტზე და ახლა, ავსტრალიაში შარშან მოპოვებულ ტიტულს ვერ დაიცავს. როლან გაროსის ჩემპიონმა **ანა ივანოვიჩმა** უიმბლდონზე ხელი დაიზიანა და ველარ შეძლო თავისი საუკეთესო თვისებების გამოვლენა. ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებულმა **სერენა უილიამსმა** წელი წვივის ტრავმით დაასრულა, თანაც მთელი სეზონი სხვადასხვა დაზიანებას უმკლავდებოდა. მაგრამ ყველაზე საოცარი ის არის, რომ ქალი, რომელსაც ერთი წლის წინ მსოფლიოს პირველ ჩოგნად მოიხსენიებდნენ, ახლა სახლში უსაქმოდ ზის. **ჟუსტინ ანენი** კარიერის პიკზე 25 წლის ასაკში გავიდა, მაგრამ იმ ძალისხმევამ, რაც ამ წარმატების მისაღწევად დასჭირდა, მას მორალური და ფიზიკური ძალები აღარ დაუტოვა. მაისში მისმა სპორტიდან წასვლამ მთელი სპორტული სამყარო შეძრა. მსგავსი მოვლენა მამაკაცთა ჩოგბურთშიც მრავლად იყო. უიმბლდონის გამარჯვებულმა **რაფაელ ნადალმა** დაცემისას მუხლი დაიზიანა და ამან შანხაიში, მასტერსის თასზე და დევისის თასის ფინალში გამოსვლის საშუალება არ მისცა. **როჯერ ფედერერმა** სეზონის დიდი ნაწილი მონონუკლეოზთან ბრძოლაში გაატარა.

რა თქმა უნდა, ტრავმებისა და ავადმყოფობების ეს ალლუმი სულ მალე ავსტრალიის ღია პირველობაზე გაგრძელდება, რომელიც 19 იანვარს აიღებს სტარტს. მხოლოდ ყველაზე ჯანმრთელ ჩოგბურთელებს შეუძლიათ კარგად იგრძნონ თავი ტურნირზე, რომელიც თავისი ურთულესი პირობებითა და აუტანელი სიცხით არის ცნობილი. შარშან ანენის წასვლამ ქალთა ჩოგბურთში ერთგვარი ვაკუუმი წარმოქმნა. **ელენა იანკოვიჩი** პირველი ნომერი გახდა მათ შორის, ვინც ექიმების კაბინეტებში ისხდნენ. თანაც, რეიტინგის პირველ პოზიციაზე ჩოგბურთელთა ცვლა იმაზე სწრაფად მიმდინარეობდა, ვიდრე კორტზე ბურთის გათამაშება. რვა საუკეთესო ქალ ჩოგბურთელს შორის შემავალ ნებისმიერ მოთამაშეს შეუძლია მელბურნში წარმატების მიღწევა. კაცებს შორის ფედერერი და ნადალი კვლავაც უძლიერესებად ჩანან, ისევე როგორც **ნოვაკ ჯოკოვიჩი** და ბრიტანელი ვარსკვლავი **ენდი მიურეი**, რომელმაც ამ თვის დასაწყისში ერთმანეთის მიყოლებით დაამარცხა ფედერერი და ნადალი და აბუდაბის საჩვენებელი ტურნირი მოიგო.



და მაინც, მოახლოებული ტურნირი ბევრს ძალიან ძვირად დაუჯდება და ამან უკვე წამოჭრა საკითხი იმის შესახებ, თუ რატომ ითხოვენ ჩოგბურთელები მათი სამუშაო დროის შემცირებას. როცა 1978-87 წლებში „დიდი სლემის“ ტურნირების 18 ტიტული მოვიგე, ჩოგბურთში ყველაზე ჯანმრთელი ქალი ვიყავი, მაგრამ მაშინ სეზონის კალენდარი გონივრულად იყო შედგენილი და ამასთან, ჩვენგან არავინ ითხოვდა ყოველ კვირა თამაშს. არადა, სეზონი მაშინაც საკმაოდ გაწელილი იყო! 1989 წლიდან მოყოლებული, ერთადერთი საშუალება, რისი წყალობითაც სეზონებს შორის საკმარისი ფიზიკური და მორალური დასვენება შემეძლო, ავსტრალიის ღია პირველობის გამოტოვებასა და სეზონის თებერვალში დაწყებაში მდგომარეობდა. დღევანდელი ათლეტები ვერ მისცემენ თავს ამგვარი ფუფუნების უფლებას. კლასიფიკაციაში მნიშვნელოვნად დაქვეითების შემთხვევაშიც კი, მათ ასობით ათასი დოლარის გამომუშავების საშუალება აქვთ და ამაზე უარს ვერ იტყვიან. ამიტომაც, მატერიალური სტიმულით გამხნევებულნი, ისინი აგენტების, ორგანიზატორებისა და სპონსორების ზეწოლით ჩადიან „მწვანე“ კონტინენტზე და პრაქტიკულად, ყოველგვარი დასვენების გარეშე აგრძელებენ თამაშს. ზოგიერთ ჩოგბურთელს საერთოდ არ აქვს სეზონებს შორის არდადეგები, რადგან ისინი ნოემბერსა და დეკემბერში გამართულ საჩვენებელ ტურნირებში მაქსიმალური შემოსავლის მიღებას ცდილობენ.

გარდა ამისა, დღეს ათლეტები უფრო ადრეული ასაკიდან იწყებენ აქტიურ ვარჯიშს, თანაც პროფესიულ ტურში თამაში სულ უფრო და უფრო რთული ხდება. ზოგიერთი ბავშვი, თუნდაც ცხრა წლის ასაკში, კორტზე ყოველდღიურად ოთხხუთ საათს ატარებს.

კიდევ ერთი დიდი პრობლემაა - ჰარდისსაფრიანი კორტები. როცა ჩოგბურთელად ვყალიბდებოდი, ჩვენ თიხნარზე, ბალახზე, დახურულ კორტზე ან ხალიჩაზე ვთამაშობდით. ჰარდ-კორტებზე მხოლოდ რამდენიმე ტურნირზე გამოვდიოდით. ახლა კი, შეჯიბრებათა უმეტესი ნაწილი სწორედ ასეთ საფარზე ტარდება. გარდა ამისა, ხშირ შემთხვევაში საჩოგბურთო აკადემიებში კორტის საფარი სწორედ ჰარდი გახლავთ. არადა, ის ფეხებსა და ზურგის ქვედა ნაწილს განსაკუთრებულად მძიმე დატვირთვებს ანიჭებს.

თუ მსოფლიოს ჩოგბურთის ხელმძღვანელობა კალენდარს არ შეცვლის, ტრავმის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება. უნდა აეკრძალოთ საჩოგბურთო აკადემიებს ახალგაზრდა მოთამაშეების ჰარდ-კორტზე დაყენება. თუ ასე არ მოხდება, როგორც ჩანს ჩვენ შევალთ იმ ეპოქაში, სადაც ვერ ვიხილავთ დომინანტ ჩოგბურთელებს. ნელ-ნელა წარსულს ჩაჰბარდა **კინგის, ევერტის, ნავრატილოვას, გრაფის** დომინაციის წლები და დღეს ლიდერ ჩოგბურთელს ველარ ვხედავთ. ოდესლაც ეს ტენდენცია კაცების ჩოგბურთშიც გავრცელდება. სავარაუდოდ, ფედერერი იქნება ბოლო იმ მთელი წყება დომინანტ მოთამაშეებს შორის, რომელსაც **ბორგი, მაკინროი, კონორსი** და **სამპრასი** შეადგენდნენ.



ფედერერი ჯერაც ფორმაშია და ბოლო წლებში 13-ჯერ აქვს მოგებული „დიდი სლემის“ ტურნირები. ისე ჩანს, რომ გამარჯვებების რიცხვის 20-მდე აყვანაც შეუძლია. ის შეიძლება მამაკაცებს შორის ყველაზე დიადი მოთამაშე გახდეს, მაგრამ ამას იმ შემთხვევაში მოახერხებს, თუ ჯანმრთელობას შეინარჩუნებს. დიდი გამარჯვებების გარდა (შარშან ამერიკის ღია პირველობაზე და წყვილთა თანრიგში პეკინის ოლიმპიადაზე), როჯერს ბოლო 18 თვის განმავლობაში მნიშვნელოვანი დანაკარგებიც ჰქონდა, მაგალითად, ნადალთან წაგება უიმბლდონზე, ტურნირზე, სადაც ფედერერი დაუმარცხებელი ჩანდა. და იმავე ნადალმა (და არა ფედერერმა) მოიგო შარშან საფრანგეთის ღია პირველობა. როჯერმა ასევე წააგო ავსტრალიის ღია ნოვაკ ჯოკოვიჩთან და სწორედ ამ დამარცხებების შემდეგ აღიარა ის სირთულეები, რასაც კორტზე ხშირი გასვლა იწვევს: *„მე შევქმენი მონსტრი. ვიცი, რომ ჩემგან ყოველთვის გამარჯვებას ელიან. ძნელია - ყოველ კვირას გახვიდე კორტზე და მოგებისთვის იბრძოლო“*.

ეს გაკვეთილია ათლეტთა უმრავლესობისთვის - როგორც მოყვარულებისთვის, ასევე პროფესიონალებისთვის. შეცდომებზე უნდა ისწავლო.

# მიურეი ბუკმეიკერთა ფავორიტია

ოთხ დღეში მელბურნის კორტებზე ავსტრალიის ღია პირველობა იწყება. ამ მნიშვნელოვანი მოვლენის წინ, ბუკმეიკერებმა თავიანთი ფავორიტები დაასახელეს. მამაკაცებს შორის ყველაზე დაბალი კოეფიციენტი აქვს ბრიტანელ **ენდი მიურეის**, რომელმაც გასულ კვირას დოჰას ტურნირი მოიგო. ქალებში კი, ბუკმეიკერების აზრით, გამარჯვების ყველაზე კარგი შანსი ამერიკელ დებ **უილიამსებს** გააჩნიათ.

აი, როგორ გამოიყურება ავტორიტეტული საბუკმეიკერო კანტორა William Hill-ის კოეფიციენტები ავსტრალიის ღია პირველობის მოგებაზე.

| კაცები | |
|---|---|
| 1. ენდი მიურეი | 3.0 |
| 2. როჯერ ფედერერი | 3.5 |
| 3. რაფაელ ნადალი | 4.5 |
| 4. ნოვაკ ჯოკოვიჩი | 6.5 |
| 5. ჟო-ვილფრიდ ცონგა | 13.0 |
| 6. მარტინ დელ პორტო | 26.0 |
| 7. გაელ მონფილსი | 26.0 |
| 8. ჟილ სიმონი | 34.0 |
| 9. ერნესტ გულბისი | 34.0 |
| 10. დავიდ ნალბანდიანი | 34.0 |

| ქალები | |
|---|---|
| 1. სერენა უილიამსი | 3.5 |
| 2. ვინუს უილიამსი | 4.5 |
| 3. ელენა იანკოვიჩი | 7.0 |
| 4. ანა ივანოვიჩი | 8.0 |
| 5. დინარა საფინა | 11.0 |
| 6. ელენა დემენტიევა | 15.0 |
| 7. ვერა ზვონარევა | 21.0 |
| 8. სვეტლანა კუზნეცოვა | 26.0 |
| 9. ნადეჟდა პეტროვა | 26.0 |
| 10. კაროლინ ვოზნიაჩკი | 26.0 |

■ ■ ■

მიუხედავად იმისა, რომ ამ სეზონში **როჯერ ფედერერმა** ორჯერ წააგო ენდი მიურეისთან, შვეიცარიელი ჩოგბურთელი არ ეთანხმება ბუკმეიკერთა შეფასებას, რომლებიც ავსტრალიის ღიას მთავარ ფავორიტად ახალგაზრდა ბრიტანელ ჩოგბურთელს ასახელებენ.

*„ენდიმ ბრწყინვალედ დაასრულა გასული სეზონი და ახალი წელიც შესანიშნავად დაიწყო, მაგრამ ჯერ ნაადრევია მის ფავორიტობაზე ლაპარაკი. პრობლემა ისაა, რომ მას არ გააჩნია ასეთი დონის ტურნირებზე თამაშის გამოცდილება,* - განაცხადა ფედერერმა ავსტრალიის ღია პირველობის ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში, - *მოდით დავფიქრდეთ: მელბურნში ჩავა მოქმედი ჩემპიონი ნოვაკ ჯოკოვიჩი, მსოფლიოს პირველი ჩოგანი რაფაელ ნადალი და თქვენი მონა-მორჩილი. ჩემსთვის ცოტათი უცნაური მოსასმენია, რომ ამ ჩამონათვალის მიუხედავად, ბუკმეიკერები ფავორიტად მიურეის ასახელებენ. რიგით ტურნირებზე წარმატება და „დიდი სლემის“ ჩემპიონატში გამარჯვება სრულიად სხვადასხვა ცნებებია“.*

შვეიცარიელმა ავსტრალიის ღიას პირველობის წინ თავის განწყობილებაზეც გაუზიარა აზრი ჟურნალისტებს. როჯერს მოსწონს, რომ მომავალი ტურნირის ფავორიტად არა ის, არამედ სხვა ჩოგბურთელი მიიჩნევა.

*„დღეს ყველაფერი სხვანაირადაა: აღარ ვგრძნობ ზეწოლას, როგორც ეს წინა წლებში იყო. ჩემგან ყოველთვის გამარჯვებას ელოდნენ, ახლა კი სიტუაცია შეიცვალა და ეს შეიძლება უკეთესიცაა. მე, უბრალოდ, კორტზე გავალ და სიამოვნებას მივიღებ თამაშისგან, რომელზეც გულწრფელად ვარ შეყვარებული. მარტო ეს მიმაჩნია უდიდეს მოტივაციად“*, - აღნიშნა ფედერერმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**




# ბოიკოტი ისრაელს!

შვედეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი **ინგელილ ბიარტენი** თავისი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებს ისრაელთან დევისის თასზე მერვედფინალური მატჩის ბოიკოტირებისკენ მოუწოდებს. სწორედ ასე უნდა გამოხატონ სკანდინაველებმა პროტესტი ღაზას სექტორში ისრაელის სამხედრო ოპერაციის გამო.

ბიარტენმა თანამემამულეებს შეახსენა, რომ 1968 წელს, შვედეთში არ გაიმართა მატჩი ზიმბაბვეს ნაკრების წინააღმდეგ, რითაც სოლიდარობა გამოუცხადეს აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართულ დემონსტრაციას. ის მატჩი საფრანგეთში გადაიტანეს და შვედების გამარჯვებით დასრულდა. პოლიტიკოსმა ისრაელს „აპარტეიდის ქვეყანა“ უწოდა და აღნიშნა, რომ შვედეთში ისრაელთან მატჩის გამართვა დაუშვებელია. ბიარტენის სიტყვებით, პალესტინასთან მიმართებაში ისრაელი იმეორებს გერმანიაში ებრაელების წინააღმდეგ ნაცისტების მოქმედებას.

ბიარტენის პოზიციას მხარი დაუჭირა პარტიაში მისმა კოლეგამ, პარლამენტის წევრმა **ანა ლუდვიგსონმა**. მისი სიტყვებით, შვედეთმა არ უნდა ითამაშოს აგრესორი ქვეყნის წინააღმდეგ. მან აღნიშნა, რომ მატჩი სავარაუდოდ მაინც ჩატარდება, მაგრამ მას სრულ იგნორირებას გაუკეთებენ მაყურებლები.

ისრაელთან საჩოგბურთო მატჩის ბოიკოტის იდეამ შვედეთში გარკვეული მხარდაჭერა პოვა. ასე მაგალითად, ინტერნეტში შეიქმნა ჯგუფი, სახელწოდებით - „შეაჩერე მატჩი!“ და მას ორ დღეში 2 ათასამდე ადამიანი შეუერთდა.

შვედეთსა და ისრაელს შორის დევისის თასის მერვედფინალური მატჩი 6-8 მარტს ქალაქ მალმიოში უნდა გაიმართოს. ქვეყნის ჩოგბურთის ასოციაციის ოფიციალურმა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მატჩის გასაუქმებლად საჭიროა, ისრაელს ოფიციალური ბოიკოტი გამოუცხადონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ, ევროკავშირმა ან შვედეთის მთავრობამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცურვა

# ფელპსი პროფილს იცვლის

ცურვაში 14-გზის ოლიმპიური ჩემპიონი **მაიკლ ფელპსი** ახალ ოლიმპიურ ციკლში რამდენიმე ახალ დისციპლინაში აპირებს ძალების მოსინჯვას.

*„მომავალი ოთხი წელი ჩემთვის ისეთი დატვირთული არ იქნება, როგორიც წინა ოთხი სეზონი იყო, - განაცხადა 23 წლის ამერიკელმა. - ამასთან, ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლის გრაფიკი უფრო მარტივი იქნება, ვიდრე ეს პეკინის თამაშებზე. გარდა ამისა, სხვა დისციპლინებში ძალების მოსინჯვა მსურს, მაგალითად 100 მეტრზე თავისუფალ სტილით ცურვაში".*

ფელპსის სიტყვებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ ლონდონში ის არ ეცდება ერთ ოლიმპიადაზე მოპოვებული ოქროს მედლების რაოდენობით მსოფლიოს ახალი რეკორდის დამყარებას. როგორც იცით, ფელპსმა პეკინში რვა დისციპლინის მოგება შეძლო. ამერიკელი ამბობს, რომ 100 მეტრზე თავისუფალი სტილით ცურვის გარდა, მის გამოსვლაში სიახლე გულაღმა ცურვაც იქნება.

შეგახსენებთ, რომ პეკინში ფელპსმა 200 და 400 მეტრზე კომპლექსური, 100 და 200 მეტრზე ბატერფლაი, 200 მეტრზე კროლი მოიგო და ამას სამ ესტაფეტაზე მოპოვებული სამი ოქრო დაუმატა.

პეკინის ოლიმპიადაზე თავბრუდამხვევი წარმატების მიუხედავად, ფელპსს არ უფიქრია კარიერის დასრულება. პირიქით, უამრავი საზეიმო ცერემონიისა და ტელეგადაღების შემდეგ, ის სერიოზულად არის განწყობილი საწვრთნელი პროცესის განახლებისთვის.



*„ეს ყველაფერი სასიამოვნო იყო, მაგრამ სინამდვილეში მინდა, ჩემს ნორმალურ რეჟიმს, ჩვეულებრივ ცხოვრებას დავუბრუნდე, - ამბობს სპორტსმენი. - ალბათ, მოვა დრო, როცა გავილვიძებ და ვიტყვი: აღარ მინდა ამის კეთება. მაგრამ ახლა, საკმაოდ ბევრი მიზანი და ჩანაფიქრი მაქვს, რომლის ცხოვრებაში განხორციელებასაც ვაპირებ. და იქამდე არ წავალ, სანამ ამას არ გავაკეთებ".*

ჩვენ უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ ფელპსი ამ დღეებში ჩინეთში იმყოფებოდა და გუშინ დაბრუნდა სამშობლოში. სარეკლამო გადაღებებში მონაწილეობის გარდა, პეკინის „წყლის კუბში" რამდენიმე ვარჯიში ჩაატარა. *„დღეს მე შორს ვარ იდეალური სპორტული ფორმისგან, - თქვა ამერიკელმა „წყლის კუბის" აუზში გაცურვის შემდეგ. - მაგრამ დღეს ჩემს მწვრთნელთან ვისაუბრე და მითხრა, რომ უახლოეს დღეებში ინტენსიურ ვარჯიშებს დავიწყებთ. ოთხი თვე - ეს ყველაზე დიდი პერიოდია, რაც ვარჯიშების გარეშე გავატარე. წარმომიდგენია, რა რთული იქნება საწვრთნელი პროცესის პირველი რამდენიმე თვე".*

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ავტოსპორტი. დაკარი 2009

# დაკარზე ეტაპი გაუქმდა

გუშინ, დაკარზე მე-11 ეტაპი უნდა გამართულიყო, მაგრამ რალი-რეიდის ორგანიზატორებს ისევ შეექმნათ პრობლემები მარათონის მარშრუტთან დაკავშირებით.

წინა ეტაპებზე სპეცმონაკვეთების სიგრძე შეამოკლეს, ახლა კი საერთოდ გააუქმეს ერთი ეტაპი, რომელიც კოპიაპოდან (ჩილე) ფიამბალამდე (არგენტინა) 445 კილომეტრს მოიცავდა. ეტაპის გაუქმების ოფიციალურ მიზეზად ამინდის ცუდი პროგნოზი დასახელდა.

*„ოთხშაბათს, ამინდის პროგნოზი დილის განმავლობაში ნისლს გვპირდება, რაც მთელი ეტაპის პროგრამას ააფუჭებს. ამის გამო მოგვიწია ეტაპის გაუქმებამ",* - წერია ორგანიზატორების ოფიციალურ განცხადებაში.

**X ეტაპი**

**კოპიაპო-კოპიაპო. 430 კმ**

**ავტომობილები**

1. **საინსი** (ესპანეთი, VOLKSWAGEN TOUAREG) - 5:32.55; 2. **გორდონი** (აშშ, HUMMER H3) - +0.21; 3. **მილერი** (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +7.39; 4. **შიშერი** (საფრანგეთი, BMW X3 CC) - +12.25; 5. **რომა** (ესპანეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - +15.01; 6. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - +18.15.

**მოტოციკლები**

1. **ვილადომსი** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - 6:35.26; 2 **დუკლო** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +1.06; 3. **ულევალსეტერი** (ნორვეგია, KTM 690 RALLYE) - +2.07; 4. **როდრიგესი** (პორტუგალია, KTM 690 RALLY) - +8.29; 5. **კასტო** (საფრანგეთი, KTM 690) - +8.44; 6. **დესპრე** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +8.50.

**საერთო ჩათვლა**

**ავტომობილები**

1. **საინსი** (ესპანეთი, VOLKSWAGEN TOUAREG) - 38:59.02; 2. **მილერი** (აშშ, VOLKSWAGEN TOUAREG) - +27.31; 3. **დე ვილიერსი** (ს. აფრიკა, VOLKSWAGEN TOUAREG) - +41.13; 4. **რომა** (ესპანეთი, MITSUBISHI RACING LANCER) - +1:13.13; 5. **გორდონი** (აშშ, HUMMER H3) - +1:34.38; 6. **ტოლეფსენი** (ნორვეგია, NISSAN NAVARA) - +5:14.18.

**მოტოციკლები**

1. **კომა** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - 43:52.30; 2. **ფრეტინი** (საფრანგეთი, YAMAHA WRF 450) - +1:24.50; 3. **დესპრე** (საფრანგეთი, KTM 690 RALLYE) - +1:31.11; 4. **ვილადომსი** (ესპანეთი, KTM 690 RALLYE) - +1:56.40; 5. **როდრიგესი** (პორტუგალია, KTM 690 RALLY) - +2:05.38; 6. **კასტო** (საფრანგეთი, KTM 690) - +2:07.45.

კალათბურთი

## NBA რეგულარული ჩემპიონატი

**დეტროიტი-შარლოტი 78:80**

27:25, 21:16, 20:21, 10:18

დ: სტაკი (22), რ. უოლასი (16+7 მოხსნა), აივერსონი (13), პრინსი (11+9 მოხსნა), ჰემილტონი (10).

შ: ფელტონი (23+9 პასი), ჯ. უოლასი (18+10 მოხსნა), ოკაფორი (13+9 მოხსნა).

**მემფისი-კლივლენდი 87:102**

20:26, 24:21, 22:29, 21:26

მ: ლოური (25+7 პასი), ურრიკი (16+7 მოხსნა), დ. მაილზი (13), გეი (10), მ. გასოლი (6+11 მოხსნა).

კ: ლ. ჯეიმსი (30+11 მოხსნა+10 პასი+3 ჩაჭრა), დ. უესტი (19), მ. უილიამსი (16), გიბსონი (11).

**მინესოტა-მაიამი 96:99**

21:20, 31:26, 24:27, 20:26

მინ: ფოიე (29+8 პასი), კარნი (15), გომესი (11), ელ ჯეფერსონი (9+10 მოხსნა), ლავი (8+9 მოხსნა).

მაი: უეიდი (31+8 პასი+3 ჩაჭრა+3 დაფარება), ჰასლემი (17+10 მოხსნა), მერიონი (16+11 მოხსნა), ბიზლი (14+7 მოხსნა).

**ჰიუსტონი-ლეიკერსი 100:105**

26:25, 28:29, 28:24, 18:27

ჰ: ვაფერი (23), ლენდრი (21+8 მოხსნა), იაო მინი (19+17 მოხსნა+3 დაფარება), ელსტონი (11+6 პასი).

ლ: ბრაიანტი (33+7 მოხსნა), არიზა (14), რადმანოვიჩი (12), პ. გასოლი (11+7 მოხსნა), ბინუმი (11), ოდომი (10).

**დენვერი-დალასი 99:97**

33:26, 27:21, 18:25, 21:25

დენ: ბილაპსი(23), ნენე (20), დ. ჯონსი (16+5 ჩაჭრა), ანდერსენი (15+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ჩ.კთპიეპ (13).

დალ: ნოვიცკი (44+14 მოხსნა), ტერი (16), ბასი (10), კიდი (2+9 მოხსნა+7 პასი).

**ფინიქსი-ატლანტა 107:102**

31:16, 19:30, 31:29, 26:27

ფ: შ. ო'ნილი (26+10 მოხსნა+3 დაფარება), ნეში (23+6 პასი), ბარბოზა (22), სტაუდმაიერი (17+3 დაფარება), ბარნსი (6+10 მოხსნა).

ა: სმიტი (24+10 მოხსნა), ბიბი (17), მ. უილიამსი (16+12 მოხსნა), მიური (14), ჯ. ჯონსონი (11), ფაჩულია (10+11 მოხსნა).

**საკრამენტო-ორლანდო 107:139**

29:41, 27:34, 29:32, 22:32

ს: მარტინი (30), გარსია (15), ჰოვსი (14), ბ. ჯექსონი (13), სალმონსი (10), ტომპსონი (10).

ო: დ. ჰოვარდი (25+15 მოხსნა+4 ჩაჭრა), ჯ. ნელსონი (23+11 პასი+5 ჩაჭრა), ლუისი (19), თურქოგლუ (17+8 პასი), რედიკი (15), ბოგანსი (12), კ. ლი (11).

ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

**ბოსტონი-მონრეალი 3:1**

0:0, 2:1, 1:0

**გოლები:** 0:1 ა. კოსტიცინი-14 (ს. კოსტიცინი-11, მარკოვი-26), 1:1 ხარა-8 (კობესოუ-13, ა. უორდი-4), 2:1 ხარა-9 (ვიდემანი-21, კრეისი-31), 3:1 კრეისი-17 (რაიდერი-15, ველერი-15).

**აილენდერსი-რეინჯერსი 1:2**

1:0, 0:2, 0:0

**გოლები:** 1:0 კამპოლი-5 (გერინი-18, პარკი-13), 1:1 დრური-13 (გომესი-21), 1:2 დეივსი-8 (კელეპანი-5).

**ფილადელფია-პიტსბურგი 2:4**

1:1, 0:3, 1:0

**გოლები:** 1:0 ნუბლი-16 (საიმონ განიე-24, ტიმონენი-25), 1:1 კენედი-7 (ტელბოტი-4, ბისონეტი-1), 1:2 მალკინი-17 (კროსბი-39), 1:3 ჯ. სტაალი-14 (მატანი-15, ლეტანგი-13), 1:4 კუკი-5 (კროსბი-40, ორპიკი-10), 2:4 ლუპული-14 (პარტნელი-15, ჯ. კარტერი-18).

**ვაშინგტონი-ედმონტონი 2:5**

0:2, 1:1, 1:2

**გოლები:** 0:1 მაკინტაირი-1 (გრებეშკოვი-15, ბრული-1), 0:2 ე. კოული-9 (სურეი-18, ვიშნოვსკი-20), 0:3 ბრული-2 (ბროძიაკი-3), 1:3 ფლიშმანი-14 (მ. გრინი-19, ნიულანდერი-17), 1:4 ე. კოული-10 (ბროძიაკი-4, პოტულნი-3), 2:4 მ. გრინი-11 (სიომინი-21), 2:5 ე. კოული-11 (გილბერტი-17).

**კოლამბუსი-კოლორადო 4:3**

0:1, 1:0, 3:2

**გოლები:** 0:1 სვატოსი-7 (კ. სტიუარტი-3, ჰენსიკი-9), 1:1 ვორაჩეკი-6 (ჰუსელიუსი-14, უმბერგერი-10), 2:1 უმბერგერი-13 (რასელი-7, ჰუსელიუსი-15), 2:2 კ. სტიუარტი-4 (არნასონი-10, ბ. კლარკი-6), 3:2 ჰუსელიუსი-13 (მალორტა-9, ბოლი-5), 4:2 პეკა-4 (მოდინი-11, კ. მაკდონალდი-1), 4:3 რ. სმიტი-15 (ბ. კლარკი-7).

**ტორონტო-ნეშვილი 0:2**

0:0, 0:0, 0:2

**გოლები:** 0:1 ბონკი-4 (სალივანი-1, ერატი-18), 0:2 ლეგვანდი-10 (ერატი-19, შ. უებერი-18).

**ოტავა-კაროლინა 5:1**

2:0, 1:1, 2:0

**გოლები:** 1:0 ჰიტლი-17 (სპეცა-17), 2:0 მაკამონდი-2, 2:1 კორვო-7 (პიტკანენი-16, ჯასტინ უილიამსი-5), 3:1 ვერმეტი-5 (ნილი-3, ჰიტლი-22), 4:1 ფიშერი-4 (ალფრედსონი-26, კუბა-22), 5:1 ფილიპსი-4 (კელი-7, ვერმეტი-9).

**მინესოტა-ფინიქსი 6:3**

2:0, 1:1, 3:2

**გოლები:** 1:0 მ-ა. ბერჟერონი-4 (მიეტინენი-18, ჟიდლციკი-13), 2:0 ნოლანი-10 (ბრუნეტი-12, ბერნსი-12), 3:0 ბრუნეტი-11 (ნოლანი-6, მ. კოივუ-28), 3:1 ლინდსტრიომი-5 (რაინპრეხტი-15, დოუნი-23), 4:1 მ. კოივუ-12 (მიეტინენი-19), 4:2 ო. იოკინენი-15 (შეილი-4), 4:3 რაინპრეხტი-9 (დოუნი-24), 5:3 კლატერბუკი-5 (კ. იონსონი-11, ჟიდლციკი-14), 6:3 შეპარდი-3 (ვეილო-4, კლატერბუკი-3).

**კალგარი-სენტ ლუისი 3:1**

1:1, 0:0, 2:0

**გოლები:** 0:1 ჰინოტი-1, 1:1 კამალერი-16 (ფანოფი-24, კიპრუსოფი-1), 2:1 მოსი-14 (ლომბარდი-12, ჯორდანო-14), 3:1 კამალერი-17 (პარდი-4, ლომბარდი-13).

**ვანკუვერი-ნიუ ჯერსი 3:5**

0:3, 1:0, 2:2

**გოლები:** 0:1 როლსტონი-8 (კლარკსონი-9, მადენი-8), 0:2 პარიზე-25 (ზაიაცი-21, ლანგენბრუნერი-23), 0:3 ჯონსტა-11 (ზუბრუსი-17, ელიაში-30), 1:3 ბაროუზი-10 (კესლერი-14, უ. მიტჩელი-12), 1:4 ზაიაცი-12 (ლანგენბრუნერი-24, ოდუია-13), 2:4 დემიტრა-13 (სუნდინი-1, ო'ბრაიენი-7), 3:4 ბერნიე-10 (კესლერი-15), 3:5 ზუბრუსი-11 (ელიაში-31).

**სან ხოსე-ტამპა ბეი 7:1**

2:0, 3:1, 2:0

**გოლები:** 1:0 სეტოგუჩი-20 (ჯ. ტორნტონი-41, დ. მიურეი-2), 2:0 ჯ. ტორნტონი-10 (მარლო-24, რ. ბლეიკი-22), 2:1 სტემკოსი-5 (რეკი-16, არტიუხინი-6), 3:1 ჯ. ტორნტონი-11 (სეტოგუჩი-22, მარლო-25), 4:1 მ. მიხალეკი-10 (ჩიჩუ-11, ვლასიჩი-19), 5:1 ქლოუ-18 (პაველსკი-17, მ. მიხალეკი-15), 6:1 პაველსკი-12 (მ. მიხალეკი-16, დ. მიურეი-3), 7:1 პლიპალი-5 (მტაუბიცი-2, სემიონოვი-3).

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| კარლსრუე-ვენი | გადაიდო |
| დუისბურგი-კიოლნი | 0:1 |
| ჰამბურგი-ჰოფენჰაიმი | 2:0 |
| ჰერტა-ფრაიბურგი | 1:1 |
| კობლენცი-ოფენბახი | 2:2 |
| კოტბუსი-ომონია | 10:1 |
| სტ. პაული-რაპიდი | 3:3 |
| მარინო-მიუნხენი | 0:1 |
| **ინგლისი** | |
| მანჩესტერ იუნ.-ვიგანი | 1:0 |
| **ინგლისის თასი** | |
| ნიუკასლი-ჰალი | 0:1 |
| კრ. პალასი-ლესტერი | 2:1 |
| საუთენდი-ჩელსი | 1:4 |
| **იტალია** | |
| რომა-სამპდორია | 2:0 |
| **სერია C1/B** | |
| პაგანეზე-იუვე სტაბია | 1:1 |
| **იტალიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| იუვენტუსი-კატანია | 3:0 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **1/8 ფინალი. II მატჩები** | |
| ალმერია-მალიორკა | 1:1 (1:3) |
| დეპორტივო-სევილია | 0:3 (1:2) |
| ესპანიოლი-ეხიდო | 1:0 (2:3) |
| ბეტისი-რეალ უნიონი | 1:0 (1:0) |
| ვალენსია-რასინგი | 1:1, დ.დ. 3:1 (1:1) |
| ვალიადოლიდი-სპორტინგი | 2:1 (1:3) |
| ბარსელონა-ატლეტიკო | 2:1 (3:1) |
| **საფრანგეთის ლიგის თასი** | |
| **1/4 ფინალი** | |
| ბორდო-შატორუ | 2:1 |
| პსჟ-ლანსი | 2:0 |
| **ბელგიის თასი** | |
| **1/8 ფინალი** | |
| გენტი-მუსკრონი | 2:1 |
| კორტრიიკი-ვესტერლო | 3:1 |
| მეხელენი-ვარეგემი | 0:0, პენ. 10:9 |
| გენკი-ლოკერენი | 1:0 |
| **პორტუგალია** | |
| **ლიგის თასი** | |
| ნასიონალი-პორტუ | 2:1 |
| სეტუბალი-აკადემიკა | 1:2 |
| მარიტიმუ-ფერეირა | 2:1 |
| რიუ ავე-სპორტინგი | 0:1 |
| ბელენენსეში-გიმარაეში | 0:0 |
| ბენფიკა-ოლანენსე | 4:1 |
| **საბერძნეთის თასი** | |
| პანთრაკიკოსი-პანათინაიკოსი | 0:4 |
| პაოკ-არისი | 0:0 |
| **კვიპროსის თასი** | |
| ერმისი-ენტოი | 3:1 |
| აეკ-აპოპ | 0:2 |
| ომონია-დიგენისი | 3:1 |
| აეპ-აელ | 0:1 |

**კალათბურთი**

| ევროლიგა | |
|---|---|
| პანიონიოსი-მილანი | 77:87 |
| რეალი-ეფესი | 80:69 |
| ცსკა-პარტიზანი | 63:66 |
| ბარსელონა-ჟალგირისი | 90:68 |
| ნანსი-სიენა | 79:103 |
| პანათინაიკოსი-პროკომი | 75:53 |
| **გერმანია** | |
| გეტინგენი-პადერბორნი | 81:75 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| ატლანტი-ავანგარდი | 5:1 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ოკლენდი | |
|---|---|
| დელ პოტრო-გულბისი | 4:6, 6:4, 6:1 |
| ფერერი-ჟიკელი | 6:7, 6:4, 6:4 |
| ჯინეპრი-ისნერი | 4:6, 7:6, 6:7 |
| ტროიცკი-მონაკო | 3:6, 6:4, 6:2 |
| სიოდერლინგი-რეინოლდსი | 6:3, 4:6, 6:2 |
| კოლშრაიბერი-ფერერო | 6:4, 4:6, 7:6 |
| **ATP. სიდნეი** | |
| ლოდრა-ნალბანდიანი | 1:6, 3:6 |
| ცონგა-ბოლელი | 6:4, 6:1 |
| ანჩიჩი-რობრედო | 6:2, 6:1 |
| ჯოკოვიჩი-მატიო | 6:1, 6:2 |
| ტიპსარევიჩი-ჰიუიტი | 5:7, 4:6 |
| ნიემინენი-გუჩიონე | 7:6, 6:3 |
| ანდრეევი-შარდი | 4:6, 6:4, 4:6 |
| გასკე-სიმონი | 6:4, 6:4 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| რიბარიკოვა-ჩინკი | 6:0, 1:6, 7:6 |
| დულკო-ბენეშოვა | 4:6, 4:6 |
| რაზანო-პირონკოვა | 6:4, 6:1 |
| კვიტოვა-პავლიუჩენკოვა | 1:6, 7:5, 6:3 |
| **WTA. სიდნეი** | |
| კორნე-საფინა | 3:6, 4:6 |
| სუგიამა-კუზნეცოვა | უარი |
| დემენტიევა-ა. რადვანსკა | 6:2, 5:7, 6:4 |
| ს. უილიამსი-ვოზნიაჩკი | 6:7, 6:3, 7:6 |

TV სპორტი

**15 იანვარი. ხუთშაბათი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

**07:30** ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ატლეტიკო.
**09:20** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ვიგანი.
**11:10** ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-რასინგი.
**13:00** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**13:20** ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ატლეტიკო.
**15:10** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ვიგანი.
**16:55** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**17:10** ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ვალენსია-რასინგი.
**18:55** ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბარსელონა-ატლეტიკო.
**20:40** თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
**21:00** გასული კვირის ჰიტ-ალბომი.
**21:10** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**22:10** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ვიგანი.
**23:55** ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბილბაო-ოსასუნა (LIVE).
**02:00** FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
**02:40** 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
**03:45** ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩი. ბილბაო-ოსასუნა.
**05:35** გასული კვირის ჰიტ-ალბომი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

**08:15** კალათბურთი. FIBA-ს მიმოხილვა.
**08:40** ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. პიტსბურგი-აილენდერსი.
**10:30** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**10:35** ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ვიგანი.
**12:25** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ახალი ზელანდია.
**13:30** ძრავების სამყარო. ტელეჟურნალი.
**13:55** ფეხბურთი. იტალიის ჩემპიონატი. რომა-მილანი.
**16:45** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/4 ფინალი. ახალი ზელანდია.
**18:50** მინი-ფეხბურთი.
**19:00** ფეხბურთი. საფრანგეთის ლიგის თასი. 1/4 ფინალი. პსჟ-ლანსი.
**21:15** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**21:25** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
**21:55** ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ჩიკაგო-ბაფალო.
**23:45** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. უნიკახა-მაკაბი (LIVE).
**01:35** სპორტინფორმი. ახალი ამბები.
**01:45** კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. ხუვენტუდი-ტაუგრესი.
**03:25** ფეხბურთი. ესპანეთის ჩემპიონატი. ესპანიოლი-ალმერია.
**05:10** ჩოგბურთი. ATP-ის მასტერსის თასი. ფინალი. ნოვაკ ჯოკოვიჩი-ნიკოლაი დავიდენკო. შანხაი. ჩინეთი.
**07:30** ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი. ლოს ანჯელესი-დეტროიტი (LIVE).

**EUROSPORT**

**11:30** რალი-რეიდი. დაკარი. XI ეტაპი.
**12:15** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. ქალები. რუპოლდინგი. გერმანია.
**13:30** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. 1/2 ფინალი. სიდნეი. ავსტრალია.
**15:00** რალი-რეიდი. დაკარი. XI ეტაპი.
**15:45** სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. IV დღე. ლონდონი.
**17:30** სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. 1/4 ფინალი. ლონდონი (LIVE).
**20:00** ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS134. კვალიფიკაცია. ზაკოპანე. პოლონეთი (LIVE).
**21:00** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. კაცები. რუპოლდინგი. გერმანია (LIVE).
**22:15** ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
**22:30** რალი-რეიდი. დაკარი. XII ეტაპი (LIVE).
**22:45** სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. 1/4 ფინალი. ლონდონი (LIVE).
**02:00** რალი-რეიდი. დაკარი. XII ეტაპი (LIVE).
**02:45** სნუკერი. ბრიტანეთის მასტერსი. 1/4 ფინალი. ლონდონი (LIVE).
**03:15** ბიატლონი. მსოფლიოს თასი. ესტაფეტა. კაცები. რუპოლდინგი. გერმანია.
**03:45** რალი-რეიდი. დაკარი. XII ეტაპი.

**EUROSPORT-2**

**10:30** ახალი ამბები.
**13:00** სნოუბორდი.
**14:00** ახალი ამბები.
**14:30** კალათბურთი. ევროთასი. ჯგუფური ეტაპი. VI ტური. ხიმკი (რუსეთი)-ბენეტონი (იტალია).
**15:30** ახალი ამბები.
**16:00** სნოუბორდი.
**16:30** ახალი ამბები.
**17:00** ექსტრემალური სპორტი.
**18:30** ჰოკეი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ფინალი. კანადა-შვედეთი.
**19:30** ახალი ამბები.
**20:00** ბილიარდი.
**21:00** ახალი ამბები.
**21:30** სნოუბორდი.
**22:00** ფრისტაილი. მსოფლიოს თასი. პარალელური მოგული. საფრანგეთი.
**22:30** ახალი ამბები.
**23:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. გრასჰოპერსი-ბორუსია (მ). ტენერიფე. ესპანეთი.
**01:00** ექსტრემალური სპორტი.
**02:00** ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კრივი




# მე და ჩემმა ძმამ ჰეის გამო ვიჩხუბეთ

**სუპერმძიმე წონაში WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონი ვიტალი კლიჩკო მორიგ სატიტულო ბრძოლას 21 მარტს გამართავს. უკრაინელი მოკრივე ტიტულს კუბელ მძიმეწონოსან ხუან კარლოს გომესთან ბრძოლაში დაიცავს. შეხვედრის ჩატარების ადგილი მოგვიანებით გახდება ცნობილი. ბრძოლა გერმანიაში (შტუტგარტი) ან ამერიკაში გაიმართება.**

**ამ ორთაბრძოლასა და თავის სამომავალო გეგმებზე უფროსი კლიჩკო უკრაინული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში საუბრობს.**

**- ვიტალი, გომესთან ბრძოლაზე კონტრაქტს უკვე მოაწერეთ ხელი. ამის შემდეგ ვისთან გეგმავთ რინგზე გასვლას?**

- გრძელდება მოლაპარაკებები ვალუევთან, ლუისთან, ჩაგაევთან... მაგრამ, როგორც ცნობილია, WBC-ის ხელმძღვანელობამ ტიტულის თავისუფალი დაცვისა და მეტოქის ჩემი ნებით არჩევის უფლება არ მომცა. ამიტომაც მიწევს ოფიციალურ პრეტენდენტთან - კუბელ გომესთან ჩხუბი. შემდეგ ვნახოთ, რა მოხდება. ვალუევის კანდიდატურა ჩემთვის იმ შემთხვევაში იქნება აქტუალური, თუ ის WBA-ის საჩემპიონო ქამარს შეინარჩუნებს. თუ ვალუევი არა, მაშინ ჩაგაევს ავირჩევ: ძმებ კლიჩკოებს ძალიან სჭირდებათ სუპერმძიმე წონაში ბოლო საჩემპიონო ტიტული. ვალუევისა და ჰოლიფილდის ბრძოლის დროს ვნატრობდი, რომ რუს მოკრივეს არ წაეგო.

**- რატომ? მსაჯები ამერიკელს მიანიჭებდნენ უპირატესობას და შემდეგ ტიტულების გამაერთიანებელ ბრძოლაში ჰოლიფილდს შეხვდებოდით!**

- ჰოლიფილდი ყოველთვის ჩემი კერპი იყო და მის წინააღმდეგ რინგზე საჩხუბრად არასოდეს გავალ. ვალუევისა და ამერიკელის ბრძოლამ განსხვავებული შეფასებები გამოიწვია. მსაჯებმა დაინახეს, რომ რუსი უკეთესად გამოიყურებოდა, მაგრამ ისეთებიც მრავლად არიან, რომლებიც ევანდერს ანიჭებდნენ უპირატესობას. მე მხოლოდ ერთი რამ მაწუხებს - თუ ვალუევი ასეთი ულიმღამო სტილში გააგრძელებს კრივს, ის ვერ მიაღწევს ჩემპიონის სტატუსით კლიჩკოსთან ბრძოლამდე.

**- ახლა ლენოქს ლუისზეც ვისაუბროთ. თქვენ მას დეკემბერში შეხვდით და შემდეგ ჟურნალისტებს განუცხადეთ, რომ ლენოქსი თქვენთან სავარაუდო შეხვედრისთვის ჰონორარის შესახებ ვაჭრობს...**

- თქვენ ხომ იცით, ჩვეულებრივ როგორ მიმდინარეობს ვაჭრობა. ერთი მხარე - ამ შემთხვევაში ლუისი მაქსიმალურ თანხას ითხოვს. ჩვენ მინიმალურ ჰონორარს ვასახელებთ. იდეალურ სიტუაციაში, სადღაც შუაში კომპრომისი უნდა გამოინახოს. უკვე კარგია, რომ ლუისმა ვაჭრობა დაიწყო და რინგზე დაბრუნების შესაძლებლობას განიხილავს. რაც შეეხება მატჩ-რევანშის ბიუჯეტს, ეს ტელეკომპანიებთან მოლაპარაკებებისას უნდა განისაზღვროს, რადგან პოტენციურად სწორედ ისინი მიიჩნევიან ამ ბრძოლის დაფინანსების მთავარ წყაროდ.

**- როგორ მიმდინარეობს მოლაპარაკებები ვლადიმერ კლიჩკოსა და დევიდ ჰეის მომავალი ბრძოლის საკითხზე?**

- იცით, ჰეის გამო მე და ჩემმა ძმამ კინაღამ ვიჩხუბეთ. კარგა ხანი ვერ გავარკვიეთ, რომელი ჩვენგანი უნდა გავიდეს მის წინააღმდეგ რინგზე. ჯერ კიდევ რაჰმანისა და ვლადიმერის ბრძოლამდე მომიყვნენ იმ ფოტოკოლაჟის შესახებ, რომელშიც ჰეის ჩემი ძმის მოჭრილი თავი უჭირავს ხელში. ჟურნალის მოტანა მოვითხოვე. გადავშალე და ჩემი პირველი რეაქცია ასეთი იყო: ნაძირალა, რინგზე სიამოვნებით ვასწავლი ჭკუას!.. ძმამ ჟურნალი მხოლოდ ბრძოლის შემდეგ ნახა და თქვა, რომ თავად გაარკვევს ურთიერთობას ბრიტანელთან. მომიწია მისთვის დათმობამ.

**- მაგრამ ბევრი მოკრივე ესვრის ძმებ კლიჩკოებს შეურაცხმყოფელ რეპლიკებს იმისთვის, რომ ისინი რინგზე გაიტყუონ. როგორც წესი, თქვენ ამ ყველაფერს იგნორირებას უკეთებთ. ახლა კი გამოდის, რომ ჰეის პროვოკაციამ კარგად იმუშავა...**

- ჰეი ვილაც მეორეხარისხოვანი მოკრივე არ გეგონოთ. ის მძიმე წონაში მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი იყო, მის სახელს მსოფლიოს კრივში დიდი წონა აქვს. ჰეი - სერიოზული მოწინააღმდეგეა. დიახ, ვლადიმერს ამ ეტაპზე მხოლოდ ტიტულების გამაერთიანებელი ბრძოლა აინტერესებს, მაგრამ ასეთი ხომ მხოლოდ ერთი დარჩა და მის მოსაპოვებლად ბრძოლაც მოესწრება.

**- როდის და სად შეიძლება გაიმართოს ჰეისთან შეხვედრა?**

- ვფიქრობ, ზაფხულში ლონდონში. მისი ორგანიზატორი ჩვენი პრომოუტერული კომპანია - K2 Promotion იქნება.

**- სხვათა შორის, როგორ აისახა მსოფლიოს ეკონომიკური კრიზისი პრომოუტერულ ბიზნესზე?**

- ძნელია გვერდი აუარო მსოფლიოში მიმდინარე პროცესებს. სარეკლამო ბაზარზე ფასების რყევა ცუდ გავლენას ახდენს ჩვენს ტელეპარტნიორებზე, ტრანსლაციებზე. მაგრამ არ ვწუწუნებთ და მუშაობას ვაგრძელებთ. საკმარისი რეზერვი გვაქვს. ყველაფერს ვაკეთებთ იმისთვის, რომ K2 Promotion-ის მოკრივეებმა საკუთარ თავზე არ შეიგრძნონ კრიზისი. დღეისთვის, მათთან გაფორმებული არც ერთი კონტრაქტის პირობა არ დაგვირღვევია. და დარწმუნებული ვარ, საქმე აქამდე არ მივა.

**- პირადად თქვენ და თქვენი ოჯახის წევრებს საკუთარი თავი რამით ხომ არ შეგიზღუდავთ?**

- ჯერჯერობით, ამის მიზეზი არ არსებობს. შეიძლება, რაღაც დამატებით საყიდლებზე ვთქვათ უარი, რასაც ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მაგრამ ორ რამეზე ჩემი თავისთვის უარი არასოდეს მითქვამს: საკვებსა და ტანსაცმელზე.

ფორმულა 1

# რეკლამაც ასეთი უნდა

ავიაკომპანია Etihad-მა თავისი ერთ-ერთი ფართოფუზელაჟიანი თვითმფრინავი ფორმულა 1-ის სიმბოლიკით მორთო. ამ აქციით ავიაკომპანია აბუ-დაბის გრანპრის რეკლამას ეწევა. წელს ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატის ეს ეტაპი პირველად გაიმართება და ის 2009 წლის სეზონს დახურავს.

თვითმფრინავ A340-600-ს დინამიკური დიზაინი და ფერთა გამა აქვს - თეთრი ფერი ლაინერის კუდისკენ წითელში გადადის. ფორმულა 1-ის ლოგო ძრავებზეა წარმოდგენილი, ცნობილი ჭადრაკული დროშა კი, კუდის სტაბილიზატორზე. ეს თვითმფრინავი აბუ-დაბიდან ლონდონის, სიდნეის, ნიუ-იორკისა და ტორონტოს მიმართულებით იფრენს.

*„აბუ-დაბის გრანპრის გამართვამდე სულ 10 თვე რჩება და ვამაყობთ იმით, რომ ფორმულა 1-ის სიმბოლიკით მორთული ჩვენი თვითმფრინავი მთელ მსოფლიოში იფრენს და ყველას ყურადღებას მიიპყრობს აბუ-დაბისთვის და მთლიანად საამიროებისთვის ამ უმნიშვნელოვანეს მოვლენას“*, - განაცხადა ავიაკომპანიის აღმასრულებელმა ვიცე-პრეზიდენტმა **პიტერ ბაუმგარტნერმა.**

ფორმულა 1-ის სატიტულო სპონსორობის შესახებ გაფორმებული სამწლიანი ხელშეკრულება კომპანია Etihad Airways-ს უფლებას აძლევს, აბუ-დაბის ეტაპს ასეთი სახელი მიანიჭოს - Formula 1 Etihad Airways Abu Dhabi Grand Prix.

იმავე ხელშეკრულების თანახმად, Etihad-ს ასევე უფლება აქვს, ტრასის ძირითადი ნაწილის გაყოლებით და გრანპრის პოდიუმზე საკუთარი რეკლამა განათავსოს.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**








გამოვიდა ახალი ნომერი


ბომონდი

# ჩანთა 90 ათასად



მსოფლიოს ფინანსური კრიზისის პირობებში, **დევიდ და ვიქტორია ბექჰემები** ისევ აოცებენ ყველას ფულის არანორმალურად ხარჯვით.

როცა მთელს მსოფლიოში ხალხს ხელფასებს უმცირებენ და ბევრიც უმუშევარი დარჩა, ფეხბურთელი და მისი ცოლი ფუფუნებაში ცხოვრებას აგრძელებს. აი მაგალითად, ამ დღეებში „პოში“ საზოგადოებაში ახალი ჩანთით გამოჩნდა, რომელიც ძვირფასი თვლებით არის გაფორმებული.

როგორ ჩანს, ეს ჩანთა დევიდმა მეუღლეს შობას აჩუქა. ფეხბურთელს ყოველწლიურად სულ უფრო და უფრო უჭირს ვიქტორიას გაკვირვება, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, გამოუვიდა.

საჩუქრის ფასი 90 ათასი ევროა. ჩანთა - **ჯეინ ბირკინის** ნამუშევარია, ასეთი სულ რამდენიმეა მსოფლიოში. მის შესაძენად წლობით დგანან რიგში და ამიტომაც, დევიდს მისი დროულად მისაღებად ზედმეტის გადახდამ მოუწია.